საქართველოს ბიბლიოთეკა

№ 1.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

„ასეა გაბედი. მაგრამ, მაგ—ება ლეჩის, ხმის ამაღების ლანისაძეება მაინცა, ჩაე ხმა არა იყოს ჩა!"

ი—ია ჭავჭავაძე, 1866 წ.

N2 (91) 2023

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: **sakartvelosbiblioteka@gmail.com**

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი: **მაია მიქაბერიძე**

საპატიო რედაქტორი: **ალექსანდრე ლორია**

სარედაქციო კოლეგია: **გულნარა სტურუა**
რუსუდან ასათიანი
დალი მაჩაიძე
მირიან ხოსიტაშვილი

ტექნიკური რედაქტორი: **ლოლა სანაია**

დიზაინი: **გიგი გელაშვილი**

დაკაბადონება: **დიანა დანელიანი**

საქართველოს ბიბლიოთეკა №2 (91) – 2023; გამოიცემა 2000 წლიდან.
©საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ლოგოში გამოყენებულია გრავიორ გრიგოლ ტატიშვილის მიერ შესრულებული ქართული ანბანის ასოთა ბმული.

ISSN 1512-0880
www.nplg.gov.ge
www.gela.org.ge

www.fb.com/magazineLibraryofGeorgia

შინაარსი

რედაქტორისაგან
მაია მიქაბერიძე
ქართული პრესა - ეროვნული სულის აღორძინებისათვის — 3

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში
ლევან თაქთაქიშვილი
ძვირფასი შენაძენი (ილიას ხელნაწერი პრესის მუზეუმში) — 4

ილია ჭავჭავაძე
ტფილისი, 1866 [გაზეთ „დროების“ დაარსების გამო] — 5

პრესის მუზეუმი ეროვნულ ბიბლიოთეკაში — 9

მაია მიქაბერიძე
გიორგი გეხტმანის სახელობის ჯილდო - ღირსეულთ! — 11

საქართველოს ბიბლიოთეკები: დაარსების ისტორია და დღევანდელობა
გენადი გაბოძე
საბიბლიოთეკო კვირეული კასპში — 13

ნანა ლურსმანაშვილი
ხარაგაულის საბიბლიოთეკო ქსელში... — 15

თეკლე ვახტანგიშვილი
დედაენა ერთია - დედაენა ღმერთია: [ახალქალაქის მთავარ ბიბლიოთეკაში...] — 17

წიგნის ისტორია
ნინო ხვედელიძე
პეტერ პაულ რუბენსი - წიგნის ილუსტრატორი — 19

რეცენზია, მიმოხილვა, შთაბეჭდილებები

თამარ გაბოძე
გულქართლი კაცის სულის ნაწილი: ქართული წიგნის ამაგდარის - გურამ თაყნიაშვილის გახსენება — 24

ალექსანდრე ლორია
მნიშვნელოვანი განმაზოგადოებელი კვლევის შედეგი [როლანდ თოფჩიშვილის ახალი წიგნი] — 27

ლიტერატურა

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
გიორგი ქუჩიშვილის ეროვნული მრწამსი (1917-1921 წლები) — 28

მაყვალა ანთაძე
„თაგვუქმობის“ წარმართული დღესასწაულის ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში — 37

ნათია კოპაძე
იყო და არა იყო რა, სიკეთის უკეთესი რა იქნებოდა?! /ჩანახატი/ — 41

ისტორია

ბონდო არველაძე
კათალიკოს დომენტი III–ის ეპიტაფიის გამო — 43

ლია გიგაური
ერეკლე მეორის სტამბა და პირობის წიგნი — 48

ხელოვნება

ჟაკლინ სირაძე
ბოლშევიზმი - ქართული ეთნოსის (იმდროინდელ) სარკედ (გოჩა კაპანაძის სპექტაკლ „ჯაყოს ხიზნების“ მიხედვით) — 54

დავით გიგინეიშვილი
თბილისის ბაროკო ფესტივალი 2022 — 61

მაია მიქაბერიძე

ქართული პრესა - ეროვნული სულის აღორძინებისათვის

ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ყოფილა პერიოდები, როცა დაჭრილ-დაჩეხილ საქართველოს სხეულსა და კიდევ უფრო დასახიჩრებულ ქართულ ეროვნულ ცნობიერებას გადარჩენა სჭირდებოდა. ასე იყო მე-19 საუკუნეშიც. რუსეთის მძიმე იმპერიული მმართველობა ყოველივე ქართულის ჩაკვლას ცდილობდა ჩვენს სულში და თითქოს საშველიც აღარსად ჩანდა.

მაგრამ მაინც გამოჩნდა... 60-იან წლებში ასპარეზზე გამოსულმა ახალმა თაობამ, ე.წ. „სამოციანელებმა“, მოისურვეს თავიანთი სამშობლოს ამოთრევა ჭაობიდან და ამ მიზნის მისაღწევად, უპირველესად განათლება, საზოგადოების აზროვნების გამოფხიზლება-განახლებისათვის ზრუნვა აირჩიეს.

გამოუვიდათ! უკვალოდ არ ჩაუვლია „თერგის წყლის დალევას“ - ევროპულ ცივილიზაციას ზიარებულმა თაობამ საკუთარ თანამემამულეებსაც დაანახა განვითარებული საზოგადოების უპირატესობა და მისკენ სწრაფვის აუცილებლობაში დაარწმუნა იგი. ამ გზაზე კი ერთ-ერთ ეფექტურ იარაღად პრესა აღმოჩნდა, რადგან ინფორმაციის გავრცელების ამაზე სწრაფი ფორმა იმ დროს არ არსებობდა. ამიტომ „თერგდალეულებმა“ 1866 წელს დააარსეს გაზეთი „დროება“. და ამიტომაც წერდა ასე აღტაცებით ილია ამ ფაქტთან დაკავშირებულ წერილში: „ესეც გაზეთი. მოგვეცა, მადლობა ღმერთს, ხმის ამოღების ღონისძიება[ა] მაინც, რომ სხვა არა იყოს რა!“

გაზეთმა „დროებამ“ თითქმის 20 წელი ერთგულად ატარა დაკისრებული ტვირთი - დაეხმარა ერის საუკეთესო შვილებს საკუთარი შეხედულებების მოსახლეობამდე მიტანაში. შემდეგ იყო „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, ჟურნალები - „საქართველოს მოამბე”, „ცისკარი“ და ა.შ.

რთული და საინტერესო გზა განვლო ქართულმა პრესამ. მისი ისტორია 1819 წლიდან იწყება, როდესაც გამოიცა გაზეთი „საქართველოს გაზეთი“. აქედან მოყოლებული დღემდე დაარსებული ჟურნალ-გაზეთების რიცხვი ათასებს ითვლის. მათში აისახა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, გამარჯვებების სიხარული და დამარცხებებით გამოწვეული ტკივილი, იმედი და სასოწარკვეთა...

ჩვენი ჟურნალის წინამდებარე, მე-2 ნომერში რამდენიმე საინტერესო მასალა მოვათავსეთ ქართული ბეჭდური მედიის შესახებ, რომელთაგან უპირველესია ტექსტი ილია ჭავჭავაძის ხელნაწერი წერილისა, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული და რომელიც მან გაზეთ „დროების“ დაარსებას მიუძღვნა.

ასევე გაეცნობით საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გახსნილ პრესის მუზეუმს, რომელიც თავის სტუმრებს სთავაზობს საინტერესო ექსკურსს ქართული ჟურნალ-გაზეთების სამყაროში.

ძვირფასი შენაძენი
(ილიას ხელნაწერი პრესის მუზეუმში)

ლევან თაქთაქიშვილი
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი

2023 წლის თებერვალში ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ იყიდებოდა გრიგოლ ორბელიანის ხელნაწერი. როცა ციფრული ვერსია ვნახე, მაშინვე ვიცანი - ეს არ იყო გრიგოლ ორბელიანის, ის იყო ილია ჭავჭავაძის ხელნაწერი. ილიას ავტოგრაფს ათასი ხელნაწერიდან გამოვარჩევ.

ის იყო! მფლობელი კი ტექსტის წინ, ეპიგრაფის ქვეშ, გრიგოლ ორბელიანის მითითებამ დააბნია. ეს ეპიგრაფი მახსოვდა, რომ ილია ჭავჭავაძის ცნობილ წერილს აქვს წამძღვარებული, რომელიც მისი თხზულებების თითქმის ყველა კრებულშია შესული. იმ წერილის სათაური 1927 წელს გამოცემულ თხზულებათა სრული კრებულის მე-4 ტომში იყო „საქართველო (ზოგიერთი რამ)“, ხოლო 1953 წელს დაბეჭდილ თხზულებათა ათტომეულში კი პირდაპირ „ზოგიერთი რამ“ აქვს.

ჩემ წინ არსებული ხელნაწერი გამოქვეყნებული წერილის ნაწილია, მაგრამ დასაწყისი სხვა აქვს! თანაც როგორი?! - „ესეც გაზეთი. მოგვეცა, მადლობა ღმერთს, ხმის ამოღების ღონისძიება მაინც, რომ სხვა არა იყოს რა!“

რა დასაწყისია?! ბრწყინვალე! ეხება საქართველოში პირველი ევროპული ტიპის გაზეთის „დროების“ გამოცემის უფლების მიღებას.

როგორც ჩანს, ეს წერილი გაზეთ „დროების“ პირველ ნომერში უნდა დაბეჭდილიყო 1866 წლის 4 მარტს, მაგრამ ცენზურამ არ გაუშვა. ის წერილი შემდგომ მაინც გამოაქვეყნა მწერალმა, 1876 წელს დაბეჭდა იმავე გაზეთში. სავარაუდოდ, იმ დროს საცენზურო სუსხი შემცირებული იყო. თურქეთთან რუსეთის ურთიერთობის დაძაბვამ გამოიწვია საქართველოში ქართული წიგნისა და პრესის იმ საშინელი წნეხიდან ოდნავ განთავისუფლება, რომელსაც რუსეთი 1801 წლიდან ახორციელებდა საქართველოში.

კურიოზული იყო ერთი რამ: 1927 წლიდან 1990 წლამდე ყველა გამოცემაში ეს ხელნაწერი იყო მითითებული როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციის ნაწილი. მითითებული იყო საინვენტარო ნომერიც, მაგრამ... ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა აღწერილობის კატალოგებში აღნიშნული ხელნაწერი არ იყო აღრიცხული. პავლე ინგოროყვა კი ყველგან მიუთითებდა - დაცულია S-5029 ხელნაწერ კრებულშიო.

პავლე ინგოროყვა იყო შემდგენელი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის 1927 წლის გამოცემისა. როგორც ჩანს, მან გამოიტანა ილიას აღნიშნული ხელნაწერი საქართველოს მუზეუმიდან. აღსანიშნავია, რომ მაშინ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ცალკე ორგანიზაცია არ იყო. იგი შედიოდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში განყოფილების სახით და სწორედ ამ განყოფილებას ხელმძღვანელობდა პავლე ინგოროყვა. სავარაუდოდ, მუზეუმიდან წამოღებული ხელნაწერი მას ამ წიგნის საკორექტურო მასალებში ჩარჩა, ჩაეკარგა, აღარ ახსოვდა, რადგან მერე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში 2 ახალი გამოცემის შენიშვნებში იგი ამ ხელნაწერის შენახვის ადგილად კვლავ ქშწკგს-ს კოლექციას უთითებდა. მხოლოდ 1991 წელს დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის (20 ტომეული) მე-5 ტომის შენიშვნებში შემდგენლები აღნიშნავენ: „ამჟამად, როგორც ჩანს, დაკარგულია“!

ჰოდა, დღეს შეგვიძლია, სიამაყით ვთქვათ:

დღეიდან ილიას თხზულებათა ახალ გამოცემებში შეიძლება ჩაიწეროს, რომ ეს ხელნაწერი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პრესის მუზეუმში.

და ერთიც, აღნიშნულის გათვალისწინებით, ილიას ნაშრომების შემდგომმა გამომცემლებმა ეს წერილი დამოუკიდებლად უნდა დაბეჭდონ თხზულებათა სრულ კრებულში და არა „ზოგიერთი რამის“ ერთ-ერთ ვარიანტად.

გთავაზობთ ამ დღემდე ტყვეობაში მყოფი ხელნაწერის ტექსტს იმ სახით, რაც 1866 წელს გაზეთ „დროების“ პირველ ნომერში უნდა გამოქვეყნებულიყო. სამწუხაროა, რომ წერილის ბოლო ნაწილი (1 გვერდი) დღეს აღარ არსებობს ან ჯერ კიდევ არ ჩანს.

ტფილისი

„თქმით ჰმუნვა მაინც შემცირდებისა“
(თ.გ. ორბელიანი)

ქვეყნდება პირველად

ესე გაგეთო. მეგვეცა, მარჯვება ღმერთსა, ხმის ამღერების ლხინსძიება მაინც, ჩემ სხვა არა იყოს ჩა.

მწერალო, ჯსწერ; მკითხველო, იკითხ! მაგრამ ვაი მწერალს და წერაკი მკითხველსა! მკითხველი ყურმაღლიერი და ყელმეტრფალი ზის თავის ტახტზედ, აფრიალებს ვაგეთი, ჯსრულს ხელში სახეები მწერლის წერილსა და სიტყვებზედ მახარხარებით ნადირობს. იგი იმისთანა ავტორების არის, ჩემ ამის მეტს ვარჩიშობას ვერ ასწევს თავის აზნე მეკერდეს და მის ყანწ ღვინოს ვერ; ღმერთმანი ამის გაკვირვებს ვერების თვალსა და! ვანა ამას მარტო შეწერ ვამბობ, მკითხველო! ვიხარებ, მეც შენისთანა ვარ. ჩვენები თვითეული მწერალს იმას ჯკითხავს, რის გაკეთების საქმე ასა ასე ქონს ვერების მწერალსა: „სიტყვა ისეთ აფრა იხმარე, ვეყოფითი ჩვენ: ჩემ ჩვენმა ენამ „მის გამდიდრებში მეც მეც ნავით აშენდინება და ყურმა კიდევ იმისის სმენით სმენის ძალიერი ამყნიერება; ტკივნს კი თეფრა ნაღარი მიაყარე, მაგრენს არა ვინაღვითარ.“

ტკეთილად კი არ დავარქვით „თავსა“, ეს იგი, მას, რაშიც ტკივილი ქვეს - ვერება. ჩვენს ბერების ხელში ისეთ ქარია, ჩემ „თავი“ ვერება ქვა არა სხვა რამე. ამა, თქვენი ფრიად, ვერების წარჩინებს რა შორა ადამიანის ჯსეხერა, ჩემ იგინი მერჯობერება მწერალს? „ყურიც არ შეიტყობერა“ - ჩვენში ჩემ იტყვიან - ეგ იქნება იმასა ნიშნავს, ჩემ ჩვენ სიტყვა ყურის სამყარიდან რა ვქონება. ამის შემდეგ, ჩარა საკვირველია, ჩემ ჩვენები ენას იწერებს მაშინ, ჩერა მეც მეც ნავით აშენდინებს და ყურში სმენის ძალიერს ამერებით შეჯობრავს, შემყარიდან.

„ხელობერის მწერალს ენა არ აქვიათ, იძახიან ყველანი. მაგონებ, გვაქვს კი ენა, ჩემ ვიწყებ კიდეც? ამა ყური მერიდე, მე გეტყვი და შენ მისმინე და - ეგეთი, ასწორებ. მე ვიცი მასწერ, ჩასაც ვეტყვი, ვერ დავთანხმდება და შენ კი, მკითხველო, იქნება ის არ იცოდე, ჩემ თითო სიტყვას, ჩასაც ქვეით ეს წერილი მეგახსენებს, იქნება თითო ცეშკი სიხარული თან ამერია. მაგრამ ჩა ვქნათ?

აიტანს მერჩივი ქართველი მწერალი ეგ ამას ხელში თუ არა, მაშინვე ვერ ამხნევით შედგება ხელში და თავის თავსა ჯკითხავს: ვის ყნდა ვერ აქარაგვეს? და სადაც ხარისხი ძალიერში გაეშურება ხელმე. მართალ და, მკითხველო, ვის ყნდა ერ აქარაგეს? მეტყვით: ყველა. კიდო, კარგი და ქარცხანი, მაგრამ ჩვენ საყვედური ჩა გვაქვს, ჩემ მწერალმა იმდენი ვანადრეს საყვედური ნადრეთა, ან გარხინეს საყვედური ხილითა? ქართველება ხემ არ ვეხება ჩვენი საყვედური სანადრეო ერი და სახიერი? კიდევ, ეგ ყნდა იყეს, მეგრამ ქართველი სად არის? ვარსად? ჩვენ თუ ვარსად, შემდეგი ქვეყანით, მკითხველო! შენ თუ არამიანება, ყველანი ვერება ხელში მრავალ არ გვიხდია, თავი ვეგრად არ გერიდვევია და სიტყვა - ყურის სამყარიდან, ვიცი, ჩემ მეც კითხვაზედ ძალიერი ჩაეწყება, ისიც ვიცი, ჩა ტკივილი ამერებენს, მეგრამ ნუ ამირჩარები კი.

ქართველ რა - ენით ჩემ გააჯიერე და ასრულიერ - ივ გააკვირე იმ ხეს მეტყველ ვუყვეს, ერება ვეწყობა - ახლა, ჩემ - ერი ჩვენ - ქვეყნის სამსხვრევლად - ერხვრევას ვეძახით და ჩემ - იგიმერება ათასი სხვა და სხვა ეული ნაერთ ილიერება, სხვა და სხვა გზებზედ მიდის და „ჩაერთვება ყურიერებზედ შესწავ, ვერეს გაყოფ ყერების - მაშინ შენც ჩემთან ამერევნეს და იტყვი: „ვარსად? ჩა ნაკვირველია, არასერთი კერი ამის ქართველს აგვიანებს ჩვენ: მისი ცხელ - ერი: ეს ჩვენი ერა-ქართველი, ეს ნელ ხელ - ერი - მისი შვილები: მაშ ქართველები არ არიან, ვინ არიანა?

ქართველი იქნება ერა იყეს, ხელ - ერი იქნება შვილები არიან, მეგრამ ერის ძალზედ შვილი ალია ქერეს. ქართველები არ არიან, მაშ ჩა არიანა? არიან თავადები, აზნაურები, ერელ - ნი, ვაჭრები, ჩინიანი და ყრმანი, ყველანი არიან და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური ქერეს, აზნაურსა - თავადი, გლეხს - ქრისტე.

ნუ თუ ეგენი ქართველნი არიან ერთის ტანის შთამომავალნი? თავადი აზნაურსა მერჩივნის, აზნაური - თავადსა, ქრისტე გლეხსა, სამივეს ვაჭარი -

ნუ თუ ეგენი ქართველნი არიან ერთის ტანის შთამომავალნი? თავადის აზრი სათავადოა, აზნაურისა -

საამწაყრ, გ—ჯრისა - საგ—ჯრ, ლეგ—ისა - სამეგრე—ლ, ვაფრისა - საველრ,

ნუ თუ ჯუნი ჯარითვ—ნი არიან ქართის ტრლმის შთამლმავა—ნი? თავარის სათავარლ აწრი აწნაყრს არ აყნერება, აწნაყრისა - თავარსა, ლრიგუსი - გ—ჯნსა -

ნუ თუ ჯუნი ჯარითვ—ნი არიან ქართის ტრლმის შთამლმავა—ნი? ქვ თითლ-თითლე ქართის ვარუვეტრი—ის ჭარტის ჰგლ—ქნივით, ჩლმ ეარ—ეარ—ყ და თავთავარ ვაევლრიავთ ბლვი აყე, ბლვი იყით, ნუ თუ ქვ თვითვეყ—ი ჯარითვ—ი ჭელნია ვინმე? ეს აწლმთავრეყ—ი, ჩლმ აწლმეერრეყ—ს ვწას აყოლმავს, ეს თავარი ჩლმ აწნაყრს წატრეს აყრევს, აწნაყრი თავარსა და ლრიგუნი - გ—ჯნსა, ეს ვარჭრი ჩლმ სამრეს ქართნარრის ვეყ—ისტრკივი—ითა ჭეყვ—ჯნს - ნუ თუ ჯუნი თვითვეყ—ად ეარ—ყ და ყლვ—ნივე ქართ - ჯარითვ—ნი ჭელნია ვინმე?

ჯარითვ—ი საყლვ—თავლ სახე—ია და მამნი ჰა არის საყლვ—თავლ? ჰას ბრძანემთ: სარ არის ჯარითვ—ი? თქვნ მე მირჩვნეთ, საეა მვ თვითვეყ—ის ვწვნი ქართ იყრემა საჯარითვ—ლ[ნ], საყლვ—თალ სიეყთისათვის - მანნი მეე ვიტრეყი: ჯარითვ—ი აეეს იყ არის მეყი;

ის საქთლ წ'ტრ—ი მირჩვნ, საითეყნაე საჯარითვ—ლ, საყლვ—თავლ სიეყთისათვის თვითვეყ—ის ჩვნვანის ტრეი, ვლნემ, საჯრვი—ი ქართ ნა—ისიანარ მ ემრვეყ—არ მიიწ'ვრეს, მანნი მეე ვიტრეყი: ჯარითვ—ი აეეს იყ არის, მეყი; საქთლ ——ხინი მაჩვნ, საქთლ ტრნი მაიწეა, სხვა არა იყლს ჰა!... მვჩამ სარ არის? ჯარითვ—ი საყლვ—თავლ სახე—ია და ვიტრვ ამას ვეითხავ: საყლვ—თავლ ჰა ვვაჯვნ? არაეჯრი.

ჩვნნი არის: მე თუ შენ, შენ თუ მე მ ქართნი ქართ ვი არაქ. აეი ამიტრლმეე ჯარითვ—ი ეროთ არის!... ამა მაიძახე, ჯარითვ—ლ თქ, თუ ლიჟვარმლვრემეყ—ის ჯართ—ქ—ის ჯაეის მეტრმა შემლვხრლს ვინმე[მ] მა იყნემა ჯახე—მეე თავისი სხვი—ი ვისური შენვნ მლიტრიტრლს, სხვანი ვი ყეყნს მლიყრყეემ, მითამ ჯარითვ—ნი არ არიან.

ის შემჭრეე—ლმითი აწრი, ის ტიტრმეყ—ი აწრი, ჩლმე—ეე ყლვ—ნი ჩვნვანი „ეა—ხლმნი, ჯარითვ—ლმნი, ჯარითვ—ში“ აყნერა ხეტრავტრს - ის ტიტი აწრი ჩვნს ვლნემთან ქართ ამლში, ტაიქრვა, - მა ჯარითვ—ი ეხ—ა ქართ ჯაყნტყ—ის მეხლვჩრემთა საეყთარი, ვჩრძლმითი ნახე—იეა ვანტრა მა არა საქთლ, საყლვ—თავლ მთე—ის იმ ტრლმისა, ჩლმე—იე ქართ ტრნჭყ—ა, ჯარითვ—თა შენისხნ—ყ—ის ისტრქრის მძიმე აეეე—ი ტრნირნ თუ ——ხინნი ქართ ძმყრად აჭ'ვნია მა ჩლმე—იე ტეისეა ქართის ენით თუ არაეჯნს არ აეთებს, ტიმრთან მაიწეა აწეტრებს თავის მლმნსა მა ეაეთანაეა.

იმქრ—ი, ვაყრ—ი, მქრ—ი, ჯარითვ—ი - ეს ვანნაყლეყ—ი ნახე—ქნი ჩქრის სიტრყვის ეხტრი მვა—ითებია. მვჩამ მეტრყვიან: ქვ ყვე—ა ნა—ხნნი არის. არის მართა—ია, მვჩამ არა ქვე ვყ—ნაყვტრ. ით, სხვა ნა—ხნნი მვისთანა ნახე—ქნი შინაყრლნნი იხმარება აყრთიქთის ვანარჩ'ვრ და არა ნაჭეყლთ, ნავარეკ. ჯრლვნნის მეხლვჩრნი შინ, ეჯრნეეიანი, რანაკვირვე—ია, იტრყვის, ჯრლვანნიე—ი ვარ, მვჩამ ვარე კი იტრყვის ეჯრნეყნი ვარ. ქვ იმანა ნიშნავს რლმ ეჯრნეყნს თავის ნა—ხთან კავშირი არ რაყრეტრვია, ქვ იმანა ნიშნავს, რლმ „მე თყმეა ვარეთა ვარ, მვჩამ ჩქრის სიხნ—ი ყლვ—ს ეჯრნეყნთან ქართ რყრხლ; მე ეჯრნეყნი ვარ და ყლვ— ეჯრნეყნის ეხლვჩრნის ძარეტრი ჩქრი ეხლვჩრნის ძარეტროა, მე ეჯრნეყნი ვარ რა, თუ გინრა, ყლვ—ს ეჯრნეყნის ავრ და კარეტრ მყლეჯლმან ჩქ მაჭ'ნერ შეატრყლმლ; ხლრეი აქ არის, ხყ—ი იყრემ და იქ მიერვხლ“. ჩვნში? კჭ, ჩარა ვითხრა, მკითხვ—ლ? შნერ კარეტრ იქი, რლმ ჯარითვ—ი ჩვნის ტრლმის ყართლ სახე—ი აღარ არის არე შინა და აღარე ვარერ. იმქრ—ი იმქრ—ია, ვყრყ—ი ვყრყ—ია, ჯარითვ—ი ჯარითვ—ია, მქრ—ი მქრ—ია - და ხყ— ყლვ—ნი ქართ კი ჯარითვ—ნი არ არიან.

ვაი, იმ აჭერყის კაეთა ხრლვას - ხა—ხნ აღარ ვიტრყვი, ვაი იმ ქვყანას, ადამიანის ქლთა მწირვ—ს, საეა საქთლ ძარეტრი ვანჭრა, საეა საქთლ ძარეტრში სიხნ—ი ვაშრა, საეა ყვე—აში თითლ არ არის და თითლში ყვე—ა, საეა თვითვეყ—ი ყვე—ასათვის არა ჟიტრლმს, ყვე—ა თვითვეყ—ისათვის, საეა „მე“ წარრია და „ჩვნ“ იწვითი!

ვანთვითვეყ—ით, - და მვ ვანთვითვეყ—ემ ყლვ—ვან და ყლვ—ს ჟქრში ის საჭმე ვვიყლ, ჰარე ეწლჭს წრაჯარში თვითვეყ—ს ჭ'ყჯ—ას მლყვიდა, ქართ ძნ—ად ვადასამტრქვევს: ის ვავიმტრქვრიგუნით, რლმ საქთლ სახე—ით აღარ შევვრრა. მვ ვანთვითვეყ—ემ ხლმ დაევამტრქვრივა ხლრეით, სყ—ითარე დავვაყყ'შარ: ყლვ—ი აწრი, ჟიტრი, საჭიდ—ი, ვრძლემა დავვინამქვეეა, ვლნემითად, წნელმითად დავჯ'ატრარვიდით. და მას აჟთ, ჰასარე კი ხე—ი შევხართ, ვვრარ მლვრიგუნით, ავითით დავანაყყ'ჩრთ, იმლერნა ნატრრმად დავყავით, ჰამლერნისარე წიდვს ჩვნი ლილე შეჯ'ხძ—ქდრა. წრმლ არა ვჯ'სთქვით, რლმ ტრლმის სახე—ის აწრი შტრლწ'ვ ვადავიტრხნეთ - ქვ აყლილმის ვარმ მლვვივრა, აყლილმა კიდევ იმისგან, რლმ ჩქრი „მე“ და შენი „მე“ საყეჯარში ქართ აღარ არია. ჩვნი საქთლ სახე—ი აწრი ხლმ ვავაჭრთ, „მამაყ—ით“ ვვვიჟრა, ხე—ში ვაევიწ'ყა—ერა.

„მამაყ—ი“!... ამ სიტრყვის ლეითიური კიდერმაყ—ი აწრი, ამ სიტრყვის მწაჭრვ—ა მნიშვნელ—ლმა იყ, საეა ხა—ხლმა კარჭრეყ—ი არ არის და ვანთვითვეყ—ემა - ეს ტრნიტრნირი - არა მეჯლმს - იყ მთე—ის ხა—ხის ქართნი მაჭ'ის ძარეტრია; იყ მვ სიტრყვის ხსნერმაჭრ თვითვეყ—ა მთე—ის ხა—ხისა და მთე—ს ხა—ხსა თვითვეყ—ისა ტრნი და ——ხინი წარმლყრეემა ხლ—მ; იყ მვ სიტრყვის

სხვებმაც კიდი პატრიარქები, ქალი თუ კაცი თავის ქვეყნის ნატრობდა ნატრობდეს, სიხარულით მხიარულობდეს, კეთილმოსურნეობდეს, თავის ხალხის კეთილის სიკეთით, სიყვარულით, ძმობით სულგრძელობდეს; იქ მეც სიტყვაში ყალიბი და ყალიბში ყელი არის.

ჩვენშიაც მეც სიტყვას მეყოთი მნიშვნელობა ჰქონია თურმე. ისეთი ჩქარი? ჩქარა ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენის კეთილის ხალხის ლხინქეიფის საყოველში კეთილა ბმული.

ხი-ალ, მკითხავ შენ? ნუ თუ მეცან კითხვა რა ყოფა, მკითხველო!... ვინა შენ თითონ ახ ისეი ჩქარ ხი-ალ კი კიდევ კეთილი სიტყვა თვითეულის ჩვენების ვაილაგებულის ყმობაზე ჩქენობას ნიშნავს და ახა მეის ხალხის სამშობლო მიწასა, საცა ხალხის სახელოვანი ჭაბუკია გამახსოვრი, მის სახელოვნს სამახსოვრო ანდერძა არმცსოვრი, მლამაზის იმედით მაინც შეყმდეგენი.

საქია ახის „მამული“? ხალხის გაყოფისას, სოფლის გაყოფისაც ჭერ მცდელს, ჩვენსა სოფელ - ხალხის გაყოფა: ვინთეთეული-ით, - და ჰამდენათაც თვითეული ჩვენები ეიაკუ მეის ქალთაც ჩამდენათაც ყოფისია და შენახა, იმდენათაც თვითეული ჩვენების ახი საფასეთა სავანჭრე გაყოფილა, გაანგარიშება. ჩვენს ქალების-ყალებს საქია შეიძლება ეწერა კიდევ ახი კიდევ ეული ახის სიტყვის? მეც სიტყვის, ეს იგი, „მამული“ სხვებმაც ხალხები ქალების-ყალებს თავისი ნებიერაკი სახსავი მიჩა ჩაჰმალეგება ხალმე; „მამული-სათვის ბრძალა“ - სასამართალში შეტანილი კომიანს ქართველ სახსობაში საჩივარია; „ძალა-მალი-ება“ - მეგობრის საჭმის გადაწყვეტილების ჯერია ქვეყანად შემცნობელი; „მამული-ს სიმაგე“ - ტყიაშაული კალა ვინაც გაიჭრა შემტყდა; „მამული-ს ანგრევი“ - ნებია სახსავს მიჩვე სასაყვე გაყი; „მამული-შვილება“ მხვრალისა და მეისვილის სახელია.

საც ახის მამაკი? საბრის მეც სიტყვის ყალადმყოფელი ვიკვი, ჭითავაში ი მნიშვნელობა? ზოგა კაცით ჩქარ გაი-ვა, აი თუ ვის გაი-ვა, [...] ვინთეთეულ-ით, - და თვითეულის ბაყეფა ვერის [ზიდა] ის დიდი ახი, ჩქალი-ია ყველასათვის ეთად აღვი [სა]ზიდია. თვითეულ-ით ქვინი ამქვეყნად, შეგვიწყნარა და მეც სიტყვის ვიკვი მნიშვნელობა ვერის გაიქნა.

ია ყოფა გვყონა? ავიღოთ და თვითეულ-მა ჩვენებმა ხალ-ით და ენით ნამეცადი გავინამეცადეთ თვითეულის ენის კვალ-ამდე, ჩქარ ზიდაც შესაძლო ყალიბი ჩვენის ქალების კაცობის ბაყეფისათვის და გაანგარიშებულ ქვეყანაში მდაბიურად-ყო. გავაკეთოთ ეთი დიდი სამშობლო სახახე, ჩქარ-ის მძაღი იყო ეთანი ძმაკი მხარი ქათველობისა და მის ნანგრევის ნამეცნიერებისავან ათასი ხაფანგა ავაშენეთ, ჩქარ-შიაც ჩვენ გავეცნიერებით და ჩქარ-ია ჩვენში გავიცნიერეთ. გავაკეთოთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილ-თა ჩვენთა აკვანი; დიდი „მამული“ გავშალეთ, ანგარიში გავიკეთოთ და ახალ გავამარტოთ ჩვენის ჩასთავის-ის სიტყვა: „ყველი მეზავში მეზავნა ჭშობს“.

ეს შემდეგიროდეთ, შემდეგიჭაშე-ით დიდიდამ ანგარია თვითეული-მა თავითავი. იმ შემდეგრი-ში თვითეული-მა ჩვენებმა თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა, ჩქარ-საც საყველ-თავი სახელი „მამული“ გაარჩა, თავისი საკუთარი კეთილდღეობი ცხრი და ენაზი აიჩინა და ვინმა ჩქარ საყველ-თავი სავანჭრე ალთა ვალვარჭიშეთ, ისიც ის გავიმეორებდა, ჩქარ იგი ჩვენის ქალების როდეს იქით ვერის გადაგვიარ-ებია, ჩქარ კეთილს მაინც გავცნობილი;

შენ შენს მამული-ზე ჭსწყს და ჭსტრი, მე ჩემს მამული-ზე - ჩქარჩია მიყოფილი არ სხვა და სხვას საკარ ახი? ჩქარ ვიკით, ჩქარ ვის მიყოფებთ, ალი სა-ანარაქალთა ალთა შეყოფილ-ვარ!.. ან სა-ანარაკი ჩილოსთვის ყოფა შეყოფილ-იყალით? ენანარალი ახის ალტ-მილეობაა: მე ჩა მაქვს შენთან კეთი, ჩქარ კეთად გვალახია, საკარ ახის ალტ-მილეობა გადვიწია. შენ შენთვის, მე ჩემთვის. ალთხარით კეთმანეთს, თავი დაალარით, ალტიმ-ერ ვამერვალ-მენით, „შვილობით“ ალთხარით კეთმანეთს და შენ იქით წანგალ- და მე ალი წამერი.

მას ალი მე და შენ ალთ გვინ-ანარაკნია. ჩილიხნის ალ-ანარაკობამ ჩქარჩი ახით დაგვაშენა, ის სიტყვით: კეთი კეთმანეთის სიტყვას ყალი გადავაჩვეთ: შენ ჩემი სიტყვა შენებალად გესმის, მე ჩემებალად. ყველანი თითქ ქანალ-ნა ვინ-ანარაკობთ და ქანალ-ი ვიროანის ვის გვილენია. ნად მერია ეს? იმიტომ მერთა, ჩქარ ჩვენ ყველ-ნეკში ვადანალდით, ახი ვადინალდით, სიტყვის მნიშვნელობა ვადანალდა. ამიტომ ჩვენი ენა კინ-ოანი ვერია, ილანიანი, ჩანჩარი. კეთ და იგივე სიტყვას სხვა და სხვა ახი მიყო. ამა ნა გითხია, მკითხველო, იმისთანა, ჩქარ შენ კინ-ო ან ვამერება?

ი-ია ქავქავაძე

1866 წ.

პრესის მუზეუმი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცულია ქართული ბეჭდური ერთეულების, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, მრავალი უნიკალური ძეგლი. უაღრესად მნიშვნელოვანია მათი საზოგადოებისათვის წარდგენა, ჩვენება თითოეული მათგანის ისტორიული და კულტუროლოგიური ღირებულებებისა, რათა ყველამ, იქნება ეს ჩვენი თანამემამულე თუ ჩამოსული სტუმარი, დაინახოს „რა განძი გვქონია?!“

ეროვნული ბიბლიოთეკის ტერიტორიის, როგორც სამუზეუმო სივრცის ათვისება უკვე დიდი ხანია დაიწყო. წიგნის მუზეუმი, რომელიც ბიბლიოთეკის პირველ კორპუსშია განთავსებული, შესულია ტურისტულ გზამკვლევებში. ყოველდღიურად აქ მოდიან სხვადასხვა ასაკის დამთვალიერებლები - სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, მეცნიერები და რიგითი მოქალაქეები. მუზეუმის სტუმრებს, ადგილობრივებს და უცხოელი ტურისტებს, მასპინძლობას უწევენ იშვიათ გამოცემათა განყოფილების თანამშრომლები, რომლებიც ქართულ და ინგლისურ ენებზე ესაუბრებიან მათ თითოეული ექსპონატის შესახებ.

წიგნის მუზეუმის პარალელურად საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს პრესის მუზეუმიც. იგი შეიქმნა ეროვნული ბიბლიოთეკის საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის საარქივო ფონდის განყოფილების ბაზაზე.

მუზეუმი გაიხსნა გასული წლის 15 დეკემბერს. ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქეთევან დუმბაძე და სხვა მოწვეული სტუმრები.

პრესის მუზეუმის ცალკე გახსნა განაპირობა არა მარტო თვით ამ ტიპის გამოცემათა სპეციფიკამ, არამედ იმ მდიდრულმა მემკვიდრეობამ, რაც ეროვნული პერი-

ოდული გამოცემების - გაზეთებისა და ჟურნალების სახით არის დაცული ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მუზეუმის მიზანია, საზოგადოებას გააცნოს ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ისტორია, მისი ეტაპები.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე: „ეროვნულ ბიბლიოთეკაში პრესის მუზეუმი არის ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი კონცეპციის ნაწილი. მე ვფიქრობ, რომ ამ ტიპის მასალების გამოფენა იქნება ერთგვარი დიდი და მნიშვნელოვანი შეხსენება ჩვენი ისტორიისა ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის.“

დარბაზში, საგამოფენო კარადებსა და სტენდებში გამოფენილი ჟურნალ-გაზეთები შეირჩა ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპით.

პრესის მუზეუმის ექსპონატების დათვალიერება და მათ შესახებ ინფორმაციის მიღება ნებისმიერ სტუმარს შეუძლია ყოველდღე, ეროვნული ბიბლიოთეკის მუშაობის გრაფიკის თანადროულად. იგი განთავსებულია ეროვნული ბიბლიოთეკის მე-2 კორპუსში, მე-3 სართულზე.

გიორგი გეხტმანის სახელობის ჯილდო - ღირსეულთ!

მაია მიქაბერიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარე წლის 24 მაისს გაიხსნა საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, 1923–1930 წლებში საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის (დღეს ეროვნული ბიბლიოთეკა) დირექტორის, გიორგი გეხტმანის სახელობის კაბინეტი. ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში საბიბლიოთეკო

საქმის წახალისების მიზნით გიორგი გეხტმანის შთამომავლების, საქართველოს კულტურის აკადემიისა და ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ დაჯილდოვდნენ ბიბლიოთეკარები.

„ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის, ლეგენდარული გიორგი გეხტმანის სახელობის კაბინეტის გახსნა არის ჩვენი გზავნილი, რომელიც წარსულის პატივისცემას და დიდი ტრადიციის უწყვეტობის განცდას

მარჯვნიდან: შოთა მაღლაკელიძე, გუნა ბიბილეიშვილი და გიორგი გეხტმანის შვილთაშვილი ლელა ვაშაყმაძე

ემსახურება. სივრცე მეცნიერის შთამომავლებთან კონსულტაციით და მათი შემოწირულობებით მოეწყო. ასევე დაწესდა საბიბლიოთეკო ჯილდო - ,,გეხტმანი" - რომელიც ყოველწლიურად სამ გამორჩეულ ბიბლიოთეკარს გადაეცემა“ - განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ.

ამ ჯილდოს პირველი მფლობელები გახდნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები მადონა თოდრია, ნინო მუხაშავრია და ქეთევან თომაძე.

მადონა თოდრია, გიორგი კეკელიძე

მადონა თოდრია წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფონდებისა და კატალოგების ორგანიზებისა და დაცვის განყოფილებას. მას მუშაობა მოუწია საბიბლიოთეკო ცხოვრების ისეთ რთულ პერიოდში, როდესაც მიმდინარეობდა ძირითადი კატალოგების რეორგანიზაცია და მათი ფონდებთან შეჯერება. მადონა თოდრიას ხელმძღვანელობით განყოფილების თანამშრომლებმა წარმატებულად შეძლეს ათეული წლების განმავლობაში დაგროვებული ხარვეზების აღმოფხვრა და ფონდებისა და კატალოგების მოწესრიგება.

ნინო მუხაშავრია

ნინო მუხაშავრია საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტია. მისი ინტელექტი, პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა სამაგალითოა ახალი თაობის თანამშრომელთათვის. საბიბლიოთეკო საქმის ღრმა ცოდნისა და მდიდარი შრომითი გამოცდილების გამო ნინო მუხაშავრია ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ავტორიტეტული კადრია.

ქეთი თომაძე

ქეთი თომაძე ელექტრონული რესურსების ორგანიზაციის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტია. ენერგიული, მიზანდასახული და უაღრესად შრომისმოყვარე ეს ახალგაზრდა ქალი ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ სული და გულია. იგი აქტიურადაა ჩართული პროექტში, რომელიც ელექტრონული რესურსების შექმნისა თუ მოზიდვის საშუალებით მნიშვნელოვან ინფორმაციულ ბაზას აყალიბებს ეროვნულ ბიბლიოთეკაში და რომლის სიკეთესაც უკვე ხედავს საზოგადოება.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია ულოცავს დაჯილდოებულებს მათი ღვაწლის ასეთ დაფასებას, უსურვებს დღეგრძელობასა და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

გენადი გაბოძე
ფოტორეპორტიორი

კასპი. საბიბლიოთეკო კვირეული 2023

კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში (მენეჯერი მ. აბუაშვილი) 28 აპრილს ჩატარდა საინტერესო ლექციები - „კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკათა ისტორიის ფურცლები“ და „ქვათახევის მონასტრის წიგნსა-

ვანო ჯახუა

ცავი“. საქართველოს შსს არქივის განყოფილების უფროსმა, კასპის მკვიდრმა ვანო ჯახუამ საზოგადოებას გააცნო პირადად მიკვლეული მასალები და ბანერები. გამოფენა მომზადდა კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების ფინანსური მხარდაჭერით.

გამოფენა - საუბარს უძღვებოდა გაერთიანების დირექტორი ეთერ ჩადუნელი. ღონისძიებას დაესწრნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზურაბ კოპაძე; მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე; გაზეთ „ახალი განთიადის" რედაქტორი ნანა მერებაშვილი და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

ეთერ ჩადუნელი და ვანო ჯახუა

ვ. ჯახუამ კასპის მთავარ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა უნიკალური წიგნი - დავით ყოლბაია. „რეჩპოსპოლიტას ფრთებქვეშ. ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1921-1939 წლებში“, რომელიც 2019 წელს ვარშავაში გამოიცა ქართულ და პოლონურ ენებზე (გამ-ბა „პოლონეთის მეხსიერების ინსტიტუტი“).

ღონისძიების ბოლოს ეთერ ჩადუნელმა მადლიერების სიგელებით დააჯილდოვა

ოთხი ამაგდარი ბიბლიოთეკარი: ნ. ბერიანიძე, ლ. გელიაშვილი, დ. გოგინაშვილი და ლ. ყაბანაშვილი.

5 მაისს, ასევე კვირეულის ფარგლებში, კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში (მენეჯერი ლ. პეტრიაშვილი) მოეწყო კასპის მუნიციპალიტეტის ავტორთა წიგნების გამოფენა.

ანა ყურშავიშვილი,
თამარ გაბოძე,
ქეთევან გაბრუაშვილი

გამოფენას სტუმრობდნენ საქართველოს ქალთა აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან გაბრუაშვილი და პუბლიცისტი, მწერალი ანა ყურშავიშვილი. ანა ყურშავიშვილმა სახლს საჩუქრად გადასცა ახლად გამოცემული ლიტერატურა.

ქეთევან გაბრუაშვილმა მადლიერების სიგელებით დააჯილდოვა ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარები: მ. შაველაშვილი, მ. გზირიშვილი, დ. ხაჩიძე, ზ. ბარნოვა, ე. დალაქიშვილი, კასპის მთავარი ბიბლიოთეკის მენეჯერი ხ. ბახუაშვილი.

საქართველოს ქალთა საბჭოს წევრმა, ჟურნალისტმა ანა ყურშავიშვილმა ჩამოიტანა 1980 წელს იუგოსლავიაში გამოცემული დ. გურამიშვილის საიუბილეო (დაბადების 275 წლისთავი) ფერადი ილუსტრირებული ორტომეული. მან ამ ორტომეულით დაასაჩუქრა ქართულ-უკრაინულ ურთიერთობათა მკვლევარი, მთარგმნელი, დ. გურამიშვილისადმი მიძღვნილ ლექსთა ანთოლოგიის შემდგენელი (40-წლიანი შრომისათვის), პედაგოგი თამარ გაბოძე.

ღონისძიების პარალელურად გაიმართა კასპის მუნიციპალიტეტის ქალთა საბჭოს ხელმძღვანელობის დანიშვნა. თავმჯდომარედ დამტკიცდა პედაგოგ მ. ყაბანაშვილის, ხოლო მოადგილედ - ნ. მერებაშვილის კანდიდატურები.

ხარაგაულის საბიბლიოთეკო ქსელში...

ნანა ლურსმანაშვილი
ხარაგაულის საბიბლიოთეკო განყოფილებათა ხელმძღვანელი

მიმდინარე წელს, 24 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით, ხარაგაულის საბიბლიოთეკო ქსელში საბიბლიოთეკო კვირეული გაიმართა, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა სახის ღონისძიება ჩატარდა.

შეხვედრა მწერალთან

27 აპრილს, ხარაგაულის საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრა მწერალ ცირა ყურაშვილთან. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის, ხარაგაულის N2,N3 და მარელისის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები მწერლის წიგნებიდან, შეასრულეს სიმღერები და საგალობლები.

ცირა ყურაშვილმა უპასუხა ბავშვების მიერ დასმულ შეკითხვებს. მან ბავშვებს გააცნო თავისი ბიოგრაფია, ესაუბრა საკუთარ შემოქმედებაზე, წიგნის კითხვის მნიშვნელობასა და სხვა, ბავშვებისთვის საინტერესო თემებზე. ბოლოს თავისი წიგნიდან ზღაპარი წაუკითხა.

,,ვერ გამოვხატავდი იმას, რისი თქმაც მინდოდა. გადავწყვიტე მეწერა. იქნებ ასე მაინც ავუხსნა, გავაგებინო ადამიანებს, რა მინდა. როცა გიჭირს, გრძნობები გამოხატო, უფრო ხელსაყრელია, წერო. და, ასე დავიწყე წერა ბავშვობიდან. მადლობა, რომ წაიკითხეთ ლექსები, საინტერესო იყო თქვენთან

შეხვედრა. მადლობა, რომ გიყვართ კითხვა“ - აღნიშნა მწერალმა.

ღონისძიება მთავარი ბიბლიოთეკარის, სოფიო ლაცაბიძის ორგანიზებით გაიმართა.

სტუმარს ბიბლიოთეკისგან გადაეცა სამახსოვრო საჩუქარი.

„ცოცხალი წიგნები“

28 აპრილს ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი), ახალგაზრდული ფესტივალის ,,გაზაფხულის ხარაგაული“-სა და საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში, გაიმართა ღონისძიება - „ცოცხალი წიგნები“. აღნიშნული პროექტი 2016 წელს კულტურის სამინისტროს მიერ განხორციელდა. პროექტის ფარგლებში ხარაგაულს ესტუმრნენ მწერალთა და პოეტთა ჯგუფები, რომლებმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნეს თავიანთი შემოქმედება და ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს წიგნები.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოფლებში მსგავსი აქტივობების გატანა, სადაც ადამიანები მონატრებული არიან ცოცხალ ურთიერთობებს.

მრავალფეროვნებისთვის, წინა წლისაგან განსხვავებით, წელს, პროექტს მუსიკალური ნომრებიც დაემატა. ,,ხარაგაულის კვარტეტი“ გიორგი მაქაძის, დათო კვირიკაშვილის, ლიკო ჯანიაშვილისა და გია მეიფარიანის შემადგენლობით აქტიურად ჩაერთვნენ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში.

დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგნენ : მამუკა ჭიპაშვილი, იზა ვეფხვაძე, ზეინაბ ბუაჩიძე, ვალერი გოგნაძე, ნანა ჭანკვეტაძე და სპარტაკ ლაცაბიძე. ღონისძიება შინაარსიანად წარიმართა. მონაწილეები დიდი შემართებით აცნობდნენ თავიანთ შემოქმედებას დამსწრე საზოგადოებას. „ხარაგაულის კვარტეტის“ არაჩვეულებრივი ჰანგები ათბობდა გარემოს. შეხვედრაზე ჩაერთვნენ მერიის კულტურის სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე და მერიის მრჩეველი კულტურის დარგში, ნიკოლოზ მაჭავარიანი. მათ მამუკა ჭიპაშვილის ლექსები წაიკითხეს.

ა(ა)იპ ,,კულტურის და ხელოვნების ცენტრის“ დირექტორმა მამუკა ჭიპაშვილმა სამახსოვრო სიგელებით დააჯილდოვა ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები: თაკო მაისურაძე, არმაზ შავიძე, ნინო არევაძე, მარიამ თაბუკაშვილი, ცისანა ჭიპაშვილი, მარიამ თაბუკაშვილი, დიანა ბრეგვაძე, სოფო ლომსაძე, ანა ღონღაძე, ნინო ხუტაშვილი და მაკა გელაშვილი.

პროექტი ,,ცოცხალი წიგნები“ კვლავაც გაგრძელდება.

დედაენა ერთია - დედაენა ღმერთია

თეკლე ვახტანგიშვილი
ახალქალაქის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი

უკვე წლებია, წესად იქცა ახალქალაქის მთავარ ბიბლიოთეკაში, აპრილის თვეში ტარდება გაერთიანებული, კომპლექსური ღონისძიება „დედაენისა“ და წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ეს დღე, 27 აპრილი, გამოირჩეოდა დამსწრეთა და მონაწილეთა მრავალრიცხოვნობითა და მრავალფეროვნებით, თავისი შინაარსითა და თვალსაჩინოებებით. მოწვეულ სტუმრთა შორის იყვნენ რაიონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, დაწესებულებების თანამშრომლები, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები და სტუდენტები, მკითხველები, ასევე მთავარი ბიბლიოთეკის ფილიალთა გამგეები თავიანთი პატარა მკითხველებითა და მათი მშობლებით.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შეკრებილი საზოგადოება კიდევ ერთხელ ეზიარა დედაენისა და წიგნის მადლს, ქართულ ენაზე აჟღერებულ საერთაშორისო სიბრძნეს და იმ სიხარულს, რომელიც სუფევდა, სადაც დარბაზში ტევა არ იყო და ხალხი ფეხზე იდგა, ბოლომდე.

ღონისძიებაზე წაიკითხეს ცნობილი ქართველი მწერლების: ილიას, აკაკის, ვაჟას, სულხან-საბა ორბელიანის, შოთა ნიშნიანიძის, მუხრან მაჭავარიანის, ლადო ასათიანის, ანა კალანდაძის, ირაკლი აბაშიძის, გიორგი ლეონიძის ნაწარმოებები, ასევე გ. კეკელიძის, დ. ვასაძის, გ. თაყნიაშვილის, თ. ნაროზაულის, ა. ერისთავის, ც. ბულაშვილისა და ჩვენი სხვა კოლეგების ლექსები.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და ღონისძიება გახსნა საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა თ. ვახტანგიშვილმა, რომელმაც თავის სიტყვაში ისაუბრა ბიბლი-

მამა ალექსანდრე

ოთეკების მიმდინარე მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე, მათ წინაშე არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

საქართველოს მოქალაქეები, ეთნიკურად ქართველი და სომეხი გოგო-ბიჭები, ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ქართველი პოეტების ლექსებთა მხატვრულ კითხვაში. სომეხი ბავშვები, ჩვენი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები არიან და ისინი სუფთა ქართულით ახმოვანებდნენ ქართულ პოეტურ სიტყვას. მათ წაკითხულში იგრძნობოდა სიყვარული და პატივისმცემელი დამოკიდებულება ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისადმი, რომლის სათანადოდ დაუფლება მათთვის თვითრეალიზაციის გარანტი და საქართველოს აღმშენებლობაში სრულფასოვანი ჩართვის საშუალებაა.

ღონისძიებაში თავიანთი მრავალმხრივი ჩართულობით გამოირჩეოდნენ: სოფელ კოთელიის სასოფლო ბიბლიოთეკის მკითხველები (ბიბლიოთეკის გამგე ლ. მურჯიკნელი): მედეა საბაშვილი, მარიამ აჩელაშვილი, ანა აჩელაშვილი, მედეა და ანა საბაშვილები, ა. აბულაძე; სოფელ გოგაშენის სასოფლო ბიბლიოთეკის მკითხველები (ფილიალის გამგე ი. ბერიძე): ანა თაქთაქიძე, თ. კოჟორიძე, თ. ნათენაძე, ქ. ნათენაძე, გ. ნათენაძე, ი. ნათენაძე და ასევე მთავარი ბიბლიოთეკის მკითხველები: ლ. ბუცხრიკიძე, ბერიძე, თ. დიდია, თ. ზარიძე, მ. ინასარიძე, ხ. ვახტანგიშვილი, მ. ქასრაშვილი, ნ. ოსიძე, ნ. ინასარიძე, ა. პოღოსიანი.

„დედა ენისა“ და წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ ზეიმს უფრო მეტად ამშვენებდა ფანდურზე აჟღერებული ქართული სიმღერები და ცეკვები. შესრულდა ასევე საქართველოს ჰიმნი მონაწილეთა მთელი შემადგენლობით.

ღონისძიებაზე ბოლო სიტყვა დაეთმოთ და შემაჯამებელი შეფასება გააკეთეს მოწვეულმა სტუმრებმა - მკითხველ-მოსწავლეთა მშობლებმა და ბიბლიოთეკის რამდენიმე კეთილმოსურნემ: თ. ქასრაშვილმა, მამა ალექსანდრემ, მამა ნარეკიმ და სხვებმა. მათ მადლობა გადაიხადეს ამ სასიამოვნო და შინაარსიანი ღონისძიებისათვის.

გვჯერა, ბიბლიოთეკა, როგორც ცოდნის სახლი, ამ ლამაზი ტრადიციით, მკითხველებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობითა და თანადგომით მუდამ ცხოვრებისეული გზის გამკაფავი იქნება მომავალი თაობისათვის.

მამა ნარეკი

მიმდინარე წელს ჩვენი საბიბლოთეკო კვირეული გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით. მოეწყო აღსანიშნავ თარიღებთან დაკავშირებული ღონისძიებები: „დედაენა ერთია“, „წიგნის საერთაშორისო დღე“, „წიგნი ჩვენი მეგობარია - წიგნი ჩვენი მუდმივი თანამგზავრია“. ჩატარდა „წიგნის ხმამაღლა კითხვის დღე“.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, მერიამ, ჩვენი მომავალი თაობის ნიჭიერი, ხალისიანი, წიგნსა და სწავლაზე ორიენტირებული წარმომადგენლები დააჯილდოვა ქების სიგელებით და უსურვა მათ მშვიდობიანი, უღრუბლო, წარმატებული მომავალი.

პეტერ პაულ რუბენსი - წიგნის ილუსტრატორი



ნინო ხვედელიძე
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში დაცულ მრავალ გამოცემას შორის არის შავი საგამომცემლო ყდით, რელიეფური ორნამენტებითა და ოქროვარაყით შემკული წიგნი „Rubens sa vie, son oeuvre et son temps“ – „რუბენსი, მისი ცხოვრება, მისი მოღვაწეობა და მისი დრო“. გამოცემა დაიბეჭდა პარიზში 1900 წელს. წიგნის ავტორია ფრანგი მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე ფრანსუა ემილ მიშელი (1828-1909). მისი ნაშრომები ყოველთვის ეყრდნობოდა ისტორიულ მოვლენებს და შეულამაზებლად გადმოგვცემდა ცხოვრების ამსახველ ამბებს. ამასთანავე, ისინი განმსჭვალული იყო პოზიტივიზმით. წიგნი, რომელიც ეძღვნება ცნობილ ფლამანდიელ მხატვარს პეტერ პაულ რუბენსს (1577-1640), ასეთივე სიზუსტით და სიყვარულით არის გაჯერებული. ავტორი აღწერს მხატვრის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. გამოცემაში ჩართულია ოსტატის ნამუშევრების 354 რეპროდუქცია. რუბენსს დამსახურებულად უწოდებდნენ „მხატვართა მეფეს და მეფეთა მხატვარს“. პეტერ პაულმა, როგორც ბაროკოს ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა ფერმწერმა, მთელს ევროპაში გაითქვა სახელი თავისი მასშტაბური სურათებით რელიგიურ და მითოლოგიურ თემებზე. ის ამავე დროს პეიზაჟისა და პორტრეტის უბადლო ოსტატი გახლდათ. მრავალმხრივი ნიჭით შემკობილი დიდოსტატი ბეჭდური წიგნების მხატვრულ გაფორმებაზეც მუშაობდა და ეს წერილიც მისი შემოქმედების ამ კუთხით გაცნობას ისახავს მიზნად.

პეტერ პაულ რუბენსის ავტოპორტრეტი თავის ძმასთან, ფილიპ რუბენსთან (1574-1611), იუსტუს ლიფსიუსთან (1547-1606) და იოჰანეს ვოვერიუსთან (1576-1635)

წიგნში „Rubens sa vie, son oeuvre et son temps“ ცალკე თავი ეხება მხატვრის პოლიგრაფიულ მოღვაწეობას. რუბენსი მჭიდროდ თანამშრომლობდა ბალთაზარ I მორეტუსთან (1574 -1641). ის გახლდათ ცნობილი მესტამბე-გამომცემლის ქრისტოფერ პლანტენის შვილიშვილი და მისი საგამომცემლო სახლის ერთ-ერთი მემკვიდრე. პეტერ პაული და ბალთაზარი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. 1586-1590 წლებში ისინი ერთად სწავლობდნენ ლათინურ სკოლაში, რომელიც ანტვერპენის წმინდა ქალწულ მარიამის სახელობის საკათედრო ტაძრის მახლობლად მდებარეობდა. იქვე იყო რუბენსებისა და

ბალთაზარ I მორეტუსთან (1574 -1641)



იუსტ ლიფსიუსის თხზულებათა კრებული „Opera omnia“. 1637 წ.

მორეტუსების საცხოვრებელი სახლებიც. პაული „მწვანე მოედანზე“ მდებარე სასახლეში ცხოვრობდა. მას რამდენიმე პატარა ქუჩა აშორებდა „პარასკევის ბაზრის“ მოედანზე მდებარე პლანტენ-მორეტუსების სახლს, რომელიც მთელს ევროპაში „ფარგლების“ სახელით იყო ცნობილი. მოზარდებს ხშირად ხედავდნენ ერთად ქალაქის ქუჩებში. ბავშვობის მეგობრობა შემდგომში უფრო განმტკიცდა. „ფარგლებში“ გატარებული ყრმობის წლები გადაიზარდა საქმიან ურთიერთობაში, რომლის წყალობითაც შეიქმნა მსოფლიო პოლიგრაფიული ხელოვნების არაერთი შედევრი.

„ფარგლებს“ პლანტენმა 1555 წელს ჩაუყარა საფუძველი, როდესაც ის რელიგიური დევნის გამო საფრანგეთიდან ანტვერპენში გადასახლდა და დააარსა სტამბა, რომელსაც „ოქროს ფარგალი“ შეარქვა. მოგვიანებით მან რამდენიმე შენობა შეისყიდა, რომლებსაც ვერცხლის, სპილენძის, რკინისა და ხის ფარგლები შეარქვა. „Officina Plantiniana” - მსოფლიოს უმსხვილეს წიგნის ბეჭდვის ცენტრად ჩამოყალიბდა. პლანტენმა თავის ოფისში შემოიკრიბა ავტორები, ამწყობები და მბეჭდავები მთელი ევროპიდან. საგამომცემლო სახლმა ბეჭდვის ტექნოლოგიაში რევოლუციური გადატრიალება მოახდინა - ნაცვლად ხეზე გრავირებისა, მან დაიწყო სპილენძზე გრავირების მეთოდით იმ დროისათვის ყველაზე დიდი ზომის ფერადი ილუსტრაციების ბეჭდვა. ქრისტიანული ლიტერატურა გამოიცემოდა არაჩვეულებრივი ტომების სახით. იბეჭდებოდა საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური წიგნები, ძველ ბერძენ და რომაელ კლასიკოსთა ნაწარმოებები, მათემატიკის, ფიზიკის, გეოგრაფიის სახელმძღვანელოები, მოგზაურთა გზამკვლევები, ნოტები, გეოგრაფიული და ანატომიური ატლასები, პოლიტიკური ტრაქტატები და პამფლეტები. გამომცემლობას ფილიალები ჰქონდა ლეიდენსა და პარიზში. ქრისტეფორე პლანტე-



იუსტ ლიფსიუსი. მხატვარი პეტერ პაულ რუბენსი. გრავიორი კორნელის გალე. 1615 წ.



პლანტენ-მორეტუსების საგამომცემლო სახლის ნიშანი

ნის სიკვდილის შემდეგ, ანდერძის თანახმად, მისი საგამომცემლო სახლი მემკვიდრეობით შუათანა ქალიშვილის - მარტინას და მისი მეუღლის – იან მორეტუსის მფლობელობაში გადავიდა. იგი სათავეში ჩაუდგა გამომცემლობას, რომელსაც შემდგომში მისი ვაჟი ბალთაზარ I მორეტუსი ხელმძღვანელობდა ოცდაათი წლის მანძილზე.

ბალთაზარი 1592 წელს ლათინური სკოლის დამთავრების შემდეგ ლუვენში გაემგზავრა, სადაც არაჩვეულებრივი განათლება მიიღო ცნობილ ფილოლოგსა და ისტორიკოსთან, იუსტუს ლიფსიუსთან. მასთან ერთად სწავლობდა პეტერ პაულის ძმა, ფილიპ რუბენსი (1574-1611). ლიფსიუსმა იგი თავის მემკვიდრედ გამოაცხადა და მისთვის საკუთარი კათედრის გადაცემა მოისურვა. თუმცა, ფილიპი იტალიაში გაემგზავრა, სადაც დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა, კარდინალ ასკანიო კოლონის პირადი მდივანი და ბიბლიოთეკარი გახდა.

პეტერ პაულ რუბენსმა, 1600 წელს, რვაწლიანი „იტალიური მოგზაურობა“ დაიწყო. ამ წლების განმავლობაში რუბენსმა არა მარტო სრულყო საკუთარი შესაძლებლობები ფერწერაში, არამედ საფუძვლიანად შეისწავლა გრაფიკული ხელოვნების პრინციპები.

ბალთაზარ მორეტუსი 1594 წელს დაბრუნდა ანტვერპენში და საკუთარ სტამბაში დაიწყო მუშაობა. 1608 წელს მან გადაწყვიტა გამოეცა ფილიპ რუბენსის 124 გვერდიანი ნაშრომი „Electorum“. წიგნისთვის ხუთი ილუსტრაცია ბალთაზარის თხოვნით პეტერ პაულმა შეასრულა. ეს იყო მისი პირველი ნაშრომი წიგნის მხატვრული გაფორმების კუთხით. გრავიურაზე გამოსახული იყო რომაული ქანდაკება და მიმართვა მკითხველისადმი, გასცნობოდნენ რომაელთა ჩაცმულობას. აქედან გამომდინარეობდა მათი სიუჟეტებიც: „კაცი ტოგში“, „ქალი ტუნიკში“. რუბენსის ნახატი „გრავიურის ენაზე“ გადაიყვანა კორნელის გალლემ, რომელიც შემდგომში სახელგანთქმული მხატვრის მუდმივი თანამშრომელი გახდა. რუბენსისა და მორეტუსის პირველი ცდა წარმატებული აღმოჩნდა, მაგრამ მის განმეორებამდე რამდენიმე წელმა განვლო. მათი თანამშრომ-

სატიტულე ფურცელი. იუსტ ლიფსიუსის თხზულებათა კრებული

ლობა შემდგომშიც ნაყოფიერი აღმოჩნდა და თანდათან რეგულარული ხასიათი მიიღო. მხატვარი ამზადებდა ილუსტრაციებს პლანტენის საგამომცემლო სახლში დასაბეჭდი წიგნებისათვის. მან პირველი სატიტულე ფურცელი 1613 წელს შეასრულა ფრანცისკა არველონის თხზულებისათვის - „ექვსი წიგნი ოპტიკის შესახებ“. ამავე წიგნისათვის რუბენსმა შექმნა ილუსტრაციები - სამეცნიერო ტექნიკური შინაარსის სიუჟეტებში ჩართული მრავალფიგურიანი კომპოზიციები. საგამომცემლო სახლის მიერ გამოცემულ, პეტერ პაულ რუბენსის მიერ გაფორმებულ მრავალ წიგნთა შორის იყო საღვთისმსახურო წიგნი „რომაული მესსალა“ (1613 წ.), ფილოსოფოსისა და მწერლის ლუციუს ანეა სენეკას „თხზულებათა კრებული“ (1615 წ.), ბიბლია (1617 წ.), ლეონარდ ლესიუსის „იუსტიცია“ (1617 წ.), მათეუს ბარბერინის „პაპი ურბან VIII-ს „პოემები“ (1634 წ.), ნაშრომები ძველბერძნულ და რომაულ ნუმიზმატიკაზე და სხვა. ისინი მსოფლიოს უნიკალურ გამოცემებს და პოლიგრაფიულ შედევრებს წარმოადგენენ.

რუბენსისა და მორეტუსის თანამშრომლობის მოგვიანო პერიოდში, 1637 წელს, დაიბეჭდა იუსტ ლიფსიუსის თხზულებათა კრებული „Opera omnia“. გამოცემა XVII საუკუნის სამეცნიერო-ჰუმანიტარული ტრაქტატის კლასიკური ნიმუშია და განკუთვნილია განსაკუთრებული მკითხველისათვის. წიგნი იწყება შრიფტული ავანტიტულით, ხუთი მსხვილკეგელიანი სტრიქონი მკითხველს აცნობს ავტორის ვინაობას, ნაწარმოების სათაურს, გამოცემის ადგილსა და დროს. სპილენძზე გრავირებით შექმნილი სატიტულე ფურცელი წიგნის ერთგვარი კარიბჭეა. რუბენსის მიერ შესრულებულ სხვა სატიტულე ფურცლების მსგავსად, აქაც გამოსახულია თაღი, რომლის ქვეშ დაფნის გვირგვინით შემკული იუსტ ლიფსიუსის პორტრეტია. მთელი გრავიურა სიმბოლოებით არის დატვირთული და ესეც პეტერ პაულის მიერ შესრულებული სატიტულე ფურცლებისათვის არის დამახასიათებელი. ლიფსიუსის პორტრეტთან სამგლოვიარო სანათია განთავსებული იმის მაუწყებლად, რომ წიგნის ავტორი უკვე აღარაა ცოცხალი. გრავიურის ზედა ნაწილში, სანათის ორივე მხარეს, გამოსახულია ქალის ორი ფიგურა, რომლებიც მათზე დატანილი წარწერის მიხედვით „ფილოსოფიასა“ და „პოლიტიკას“ განასახიერებენ. მათგან ერთს ხელში ორი წიგნი უჭირავს, რომლებზეც ვკითხულობთ: „Stoica“ და „Constantia“ - ეს სახელწოდება ჰქონდა ლიფსიუსის ორ მთავარ ნაშრომს. თაღის გარშემო სივრცე დახუნძლულია პერსონაჟებით, ორივე მხარეს მარმარილოს ორი ბიუსტია. კვარცხლბეკის წარწერა იუწყება, რომ მკითხველის წინაშე ანტიკური სამყაროს ორი ბრძენკაცია - ფილოსოფოსი ლუციუს ანეი სენეკა და ისტორიკოსი ტაციტი. ეს მიგვანიშნებს, რომ ლიფსიუსმა გამოსაცემად მოამზადა სენეკას თხზულებათა კრებული და ტაციტის მონოგრაფია. სატიტულე ფურცელზე გა-

მოსახულია პოლიციის შუბი და ხმალი, რაც იმის მაუწყებელია, რომ ლიფსიუსმა ნაშრომი მიუძღვნა ძველი რომის სამხედრო-საომარ ხელოვნებას. რუბენსი სიმბოლიკის ოსტატი გახლდათ. სატიტულე ფურცელზე ის სწორხაზოვნად არასოდეს არ მიანიშნებდა წიგნის შინაარსს. მკითხველს ის თავად უნდა გამოეცნო. გრავიურის ქვედა ნაწილში მარცხენა მხარეს იკითხება: „Pet Paul Rubens inuenit“ და მარჯვნივ: „Corn Galleus sculpsit“. ე.ი. პეტერ პაულ რუბენსმა შექმნა ნახატი, კორნელის გალიმ -კი ლითონზე ამოჭრა. ანტვერპენელი გრავიორების თეოდორ, კორნ და იან გალების ოსტატობით იქმნებოდა რუბენსის ნახატების სპილენძზე ღრმა გრავირების მეთოდით შესრულებული უნიკალური გრავიურები.

ლიფსიუსის თხზულებათა კრებულის შემდეგი სამი ტომი იწყება ანაწყობი სატიტულე ფურცლებით. ყოველი მათგანის ცენტრში განთავსებულია 112x155 მმ ზომის გრავიურა, რუბენსის მიერ შესრულებული პლანტენ-მორეტუსის საგამომცემლო მარკა - დაფნის გვირგვინში ჩასმული ხელის მტევანი, რომელსაც ფარგალი უჭირავს. იქვეა დევიზი, რომელიც ევროპაში ჰუმანიზმის სიმბოლოდ იქცა - „Labore et Constantia” (შრომითა და შეუპოვრობით). გრავიურის ზედა ნაწილში რვაქიმიანი ვარსკვლავი კაშკაშებს - მორეტუსების ოჯახის დევიზის - „გზამკვლევი ვარსკვლავის კვალდაკვალ“ - სიმბოლური გამოხატულება. აქეთ-იქეთ კი გრავიურას ჰერკულესისა და ახალგაზრდა ქალის გამოსახულებები ამშვენებს. ჰერკულესი განასახიერებს „შრომას“, ქალი კი „მარადიულობას“. მხატვარი გრაფიკული საშუალებების გამოყენებით წარმოგვიდგენს საგამომცემლო სახლის კრედოს. კრებული ილუსტრირებულია 108 სპილენძზე შესრულებული გრავიურით. ილუსტრაციებისა და სატიტულე ფურცლების დასამზადებლად რუბენსმა შეკრიბა ნიჭიერ გრავიორთა ვიწრო წრე. გარდა გალების ცნობილი ოჯახის წევრებისა, ამ წრეში იყვნენ: ლუკა ვორსტერმანი, პეტერ საუტმანი და ვილემ სვანენბორგი. რუბენსი მათ უშუალოდ ხელმძღვანელობდა, ზოგჯერ კი თავად იღებდა ხელში საჭრეთელს.

ევროპული ბაროკოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფერმწერი, უდიდესი გენია, ჰუმანისტი, პოლიტიკოსი და დიპლომატი პეტერ პაულ რუბენსი უაღრესად განათლებული ადამიანი იყო: იცოდა არაერთი ენა, მათ შორის - ლათინურიც. თანამედროვეთა თქმით, ის იყო „ტანადი, სწორი ნაკვთებით, სათნო ხასიათით, საამური ხმით, მკვირცხლი და გამჭრიახი გონებით, მშვიდად და ბრძნულად მოსაუბრე მჭევრმეტყველი". რელიგიურ და მითოლოგიურ თემებზე შექმნილი მასშტაბური ნახატების გარდა პეტერ პაული ცნობილი იყო, როგორც პეიზაჟისა და პორტრეტის უბადლო ოსტატი. არაჩვეულებრივ ფერწერულ ტილოებთან ერთად ის პოლიგრაფიული ხელოვნების შედევრებს ქმნიდა, რის გამოც მას თამამად მოიხსენიებენ წიგნის ილუსტრატორ-გამფორმებელთა შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. De Nave, Francine. The Plantin-Moretus Museum . - Amsterdam : Ludion, 2004.

2. Булгаков, Ф.И. Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства : Т.1. - Санкт- Петербург : А.С. Суворин, 1889.

3. Немировский, Е. Шедевры мирового полиграфического искусства. Ч.1. - М., 1990.

გულჟართლი კაცის სულის ნაწილი ქართული წიგნის ამაგდარის - გურამ თაყნიაშვილის გახსენება

თამარ გაბოძე
პოეტი, მთარგმნელი

ინტელექტუალურ სამყაროში, ქართულ სინამდვილეში, თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ნიშა განსაკუთრებულია: „პედაგოგთა სამჭედლოდ“ იგი დღემდე დიდი სიყვარულით მოიხსენიება და არცთუ უსაფუძვლოდ. მაგრამ ალბათ ძალზე ცოტამ თუ იცის ის ფაქტი, რომ იქვე „ბიბლიოთეკათმცოდნეობა-ბიბლიოგრაფიისა იყო ერთადერთი ქართულენოვანი ფაკულტეტი, რომელმაც სათავე დაუდო გარუსებული ინსტიტუტის გაქართულებას“ (ალ. ლორია, დ. კოტორაშვილი).

გურამ თაყნიაშვილს 1962-1966 წლებში უსწავლია და წარჩინებით დაუმთავრებია ბიბლიოთეკათმცოდნეობის ჯერ ფაკულტეტი, შემდეგ ამავე სპეციალობის ასპირანტურაც. მან გამოაქვეყნა ამ დარგის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. იყო ქართული პროფესიული ჟურნალის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პასუხისმგებელი მდივანი. წლობით კი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდურ სამსახურს თავკაცობდა...

წიგნებზე შეყვარებული პიროვნება პოეზიის პარნასსაც გაშინაურებია; ლექსისთვის გაუნდვია ხვაშიადი, თუმცა გამოქვეყნებამდე კარგა დიდი დრო გასულა...

2010 წელს დასტამბულმა კრებულმა „განწმენდისაკენ განწმენდისაკენ“ ბევრი კარგი ლექსი დაიბინადრა და გულის კარი გაუღო მკითხველს - პოეზიით დააპურა.

ლექსების დათარიღებიდან ჩანს, რომ ავტორი ფხიზელი მეცხოვნისა და სამშობლოს მაჯისცემას მიყურადებული მემატიანის ერთგულებით გვიზიარებს თავის ტკივილებს თუ სიხარულს. იგი გამორჩეული სინაზით ეფერება ბავშვობის კერას, მტკივნეულად განიცდის მიტოვებული სოფლის ჩამკვდარ გარემოს: ნანობს, რისთვის დაშალა პაპის ურემი, რად გაიმეტა საბუხრედ მისი სოლი და ფერსო; წუხს, რომ დაჟანგებულ ცელს ფხას ველარ უსინჯავს, ხონჩაც გვიან იპოვა, მაგრამ ვარცლის სათლელ-საფხეკს ველარ მიაგნო: „გამრუდებულა იფლის ფიწალი, ალბათ დამიწვეს კევრის ფიცარი“-ო და:

„ჩრჩილს გამოუხრავს რცხილის ლატანი;
ჩამონგრეულა საბძლის კარები;
არ გამოდგება შინდის სატარე,
მიწაში ჰყრია ცხენის ნალები...“

მეოთხედი საუკუნის წინანდელი ლექსი თანადროულ პრობლემატიკას მიესადაგება დაცარიელებული ქართული სოფლის ტკივილით. გული მტკივა, როგორც მკითხველს, რომ კომპიუტერის თაობამ (დიდმა უმრავლესობამ) არ იცის ამ სიტყვათა მნიშვნელობა, სოფლის შრომის იარაღ-საჭურველი რამდენს არც-კი უნახავს!

ან როგორ არ დაეთანხმები წარსული დიდების აჩრდილად შემორჩენილ აწმყოზე ავტორის ნათქვამს, ერთ ქართულ ანდაზას რომ შეგვახსენებს - „თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს პანტასა“-ო.

„ვაგლახ, ღია გვაქვს ჭრილობა,
მამულს ვინ როგორ სდარაჯობს,
გარეთ ექიმბაშს დავეძებთ,
როცა სახლში გვაქვს მალამო.

ავტორს მიაჩნია, რომ დროთა დინებაა ერთადერთი, რაც ადამიანს უცვლის პირვანდელ სახეს და ძმათა შორის შუღლის დამგმობი გვემუდარება - ქართველი ქართველს ნუ ესვრისო: „ნუ გამახსენებთ მე მაინც ბაზალეთს, / ნუ მომაგონებთ სისხლიან წიწამურს!



გურამ თაყნიაშვილი

„ახლა რომ სულხანს წამოახედა,
ცოტა ხნით მაინც რომ ადგეს ტატო,
ამხედრებული მეფე ქართლ-კახთა,
თავს დაგვატეხდნენ რისხვას და ღვარცოფს!
წამით მაინც რომ წამოდგეს ცოტნე,
ან სააკაძე წამოდგეს მარტყოფს;
აღარას ვამბობ კაცზე, რომელიც
გელათში წევს და მტერს შიშით აკრთობს!“

გულწრფელი სტრიქონებით მიუსამძიმრა ერს ქართული მწერლობის დიდოსტატის სამზეოდან განსვლა: „შეიტყო ქართლის მემატიანემ, / რა მარგალიტი გამოეცალა?“ - და იქვე დაასკვნის: „თუმცა რას უზამს სიკვდილი იმას, / ვინაც დაახრჩო ენგურში მთვარე!“ (1975).

გ. თაყნიაშვილს, როგორც ქართულ ეროვნულ ტრადიციათა ერთგულებით აღზრდილს, ურყევად სწამს, რომ ადამიანი, ოქრო-ვერცხლით კი არა, სახელითა და ღირსებითაა ყველაზე მდიდარი. ჯვარი და ვაზი, რწმენა და წინაპართა სალოცავების საგალობელი, ყველაფერი ნაღდი ქართულია მისი ზრუნვისა და ყურადღების საგანი. იმდენი თბილი სიტყვაა ჩაქსოვილი ლოცვებსა და ტაძართათვის გულის სიღრმიდან ამოძახილში, შეუძლებელია ამ მომცრო კრებულის წაკითხვის შემდეგ განწმენდილი და ზნესრული არ გახდე! ავტორს, უფალთან ერთად, შეუმჩნეველი არ დარჩენია მეუდაბნოე, განმარტოებული ბერი, ძველ მანუსკრიპტებს რომ ჩასცქერის და მკითხველს მზედ ეფინება ბერის სულის სიმშვიდეც, სამაგალითო ნებისყოფაც. საინტერესოა სატრფიალო ლირიკა, მეუღლის, ოჯახის, შვილიშვილთა გულშემატკივრობა. სინათლის მომღერალს არ ავიწყდება პატარა მგალობელი ჩიტი - ქალაქის რკინის გისოსებში მოქცეულ ხიზნებს თავისუფლებით რომ სწვევია. არც ემიგრანტები დავიწყებია: „მანდ სრა სასახლეს გერჩივნოს / ქოხი სამშობლოს მიწაზე“ - დაბრუნდითო... კვირაძალზე სანთლით მლოცველ დედაზე ლექსის კითხვისას, საკუთარ დედასთან თანამყოფობ...

დამსახურებულ ბიბლიოთეკარს, ბატონ გურამ თაყნიაშვილს ლექსებთან ერთად წიგნში შეუტანია თავისი მშობლიური სოფლის მამულოს (სხალნარის) „მოკლე ისტორიული ცნობა და წყაროები“, აგრეთვე ტოპონიმების ნუსხა. ამით წიგნი უფრო ღირებულია! აფერუმ!

ძალიან გამახარა რამდენიმე ტოპონიმის ჩემს მშობლიურ - კასპის რაიონთან მსგავსებამ:

ა) კენჭიყარა წყაროა ქართლში, ს. ნოსტეში, გ. სააკაძის რეზიდენციის ნაშთებიდან დღემდე შემორჩენილი კოშკის მიდამოში (ს. მამულოშიც წყაროა და კენჭიყარია რქმევია).

ბ) შიოს ქედმა კასპის შიოს წყარო - ჩვენი ქალაქის სავიზიტო ბარათი - გამიცოცხლა. ხოლო

გ) არსენას წყარომ (ს. მამულო) კასპის „არსენას გამოქვაბული, სადაც შენახული „შვიდასი თუმანი“ დალაქიშვილთა წინაპარმა ამოიტანა, ფეხშველა ჩასულა თოკით და მის შთამომავლებს „ფეხშველაანთ“-ს ეძახიან



დღესაც. თავისებური ნოსტალგიით დამმუხტა „პუშკინელთა“ ლიტერატურული წრის „კაბადონის“ გახსენებამ, სადაც თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ ჩემი თაობის დამწყები პოეტები სტუდენტობისას ახალ ლექსებს ერთმანეთს ვუკითხავდით - „მათთვის, ვინც ეს წიგნი წაიკითხაო“, ბოლო ფურცელზე ავტოგრაფით მიუწერია:

„უფალმა უწყის, თუ როგორ განვვლე
ამ წუთისოფლის მოკლე მანძილი,
ზესთასოფელში გადასულს დამრჩეს
ეს წიგნი - ჩემი სულის ნაწილი“.

ეს პატარა კრებული -„ გულქართლი კაცის სულის ნაწილი“ - იმ ერთი მადლიანი სანთელივითაა, სინათლე სხვა სანთლებსაც რომ უწილადა და თვით კი არაფერი დაჰკლებია, შუქი უფრო მომატებია!... თუ ტ. ტაბიძეს დავუჯერებთ, ეს ლექსები გულზეც მომხვდა და ავტორისთვის კმარა გამოსარჩლებად!...

...გ. თაყნიაშვილს წელს 85 წელი შეუსრულდებოდა!

გახსენების ამ წერილით აღვნიშნოთ იუბილე ქართული წიგნის ამაგდარისა!

ვინ ვიქნებოდით ქართველნი მაშინ!

დავხურავ წიგნს და გონების თვალით,
სტრიქონებს შუა ვკითხულობ ამბავს,
რომ არ გვყოლოდა ქართველებს დავით,
ან არ ებოძა ღმერთს ჩვენთვის საბა,
არა გვყოლოდა მეფე თამარი,
ანდა წაგვეგო ომი ბასიანს,
არ აელესა ერეკლეს ხმალი,
არა გვქონოდა თუნდაც ვარძია...
არა გვქონოდა წიგნი რუსთველის,
სხვა გზა ეხმარა ცოტნე დადიანს...
ვინ ვიქნებოდით ქართველნი მაშინ?
ვიქნებოდით კი? - საკითხავია!

სოფლის ბიბლიოთეკარი

დაგხვდებათ წყნარი, მორცხვი ღიმილით,
თვით პროფესია სიწყნარეს ითხოვს;
მოგესალმებათ ის მოკრძალებით
და უკვე იცის, რა უნდა ჰკითხოთ;
იცის ყოველი წიგნის ადგილი,
მათი აზრი და დანიშნულება,
კაცობრიობის სიბრძნით აღზრდილი
ცოდნაში ხედავს თავისუფლებას!
ხალისით დადის თაროებს შიგნით,
დინჯად ბაასობს სიტყვაწყლიანი,
ასი ათასად უღირს მას წიგნი,
და უფრო მეტად ადამიანი!
გულუხვად გასცემს ყოველდღიურად
სულის საზრდოს და გულის მალამოს,
თავს დასტრიალებს დედაშვილურად
სოფლის ყველაზე მდიდარ სალაროს!

***

დიდი მადლობა ქალბატონ თამარ გაბოძეს, ამ დაუღლელი, შრომისმოყვარე და დიდად მოკრძალებული ადამიანის გახსენებისთვის. დიახ, ბატონი გურამი საბიბლიოთეკო საზოგადოების წარჩინებული წარმომადგენელი იყო, პედაგოგი, შემოქმედი, პოეტი, ქართულ საბიბლიოთეკო სამყაროზე შეყვარებული და მზრუნველი. უხმაუროდ და უჩუმრად ემსახურებდა იგი არჩეულ საქმიანობას და აქ დაგროვილ, მართლაც რომ უსაზღვრო ცოდნას და გამოცდილებას უშურველად უზიარებდა თითოეულ ბიბლიოთეკარს, თითოეულ წიგნმცოდნეობის შესწავლის მსურველს თუ მოყვარულს.

უფალო, ნათელში ამყოფე ჩვენი ერთგული მეგობრის - გურამის სული. არდავიწყება მის სახელს!

გულნარა სტურუა

ალექსანდრე ლორია

მნიშვნელოვანი განმაზოგადოებელი კვლევის შედეგი

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურას მეტად მნიშვნელოვანი გამოცემა შეემატა - გამომცემლობა „მწიგნობარმა“ გამოაქვეყნა წიგნი: როლანდ თოფჩიშვილი. დეეთნიზაციის პროცესი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში (ქართველთა რელიგიურ-კონფესიური ჯგუფები). - თბ., 2022, 234 გვ. რედაქტორები არიან: ჯუმბერ კოპალიანი და აპოლონ თაბუაშვილი. შინაარსი დაყოფილია ძირითადად 3 თავად: 1.ქართველი მუსლიმები, 2. ქართველი კათოლიკეები, 3.ქართველი მონოფიზიტები/გრიგორიანები. გამოკვლევის ბოლოში დართულია მოკლე შემაჯამებელი ნაწილი -„დასკვნის მაგიერ“.

როგორც ცნობილია, პროფ. რ. თოფჩიშვილი დაუღალავად და მეტად ნაყოფიერად მოღვაწეობს ეთნოლოგიურ სარბიელზე. ამაზე მეტყველებს მისი გამოკვლევები. რ. თოფჩიშვილის გამოკვლევების სიმრავლეზე მეტყველებს თუნდაც ის გამოცემები, რომლებიც ჩვენი ჟურნალის ინფორმაციის რუბრიკებშია ასახული.

ამჟამად წარმოდგენილი მისი განმაზოგადებული სამეცნიერო ნარკვევი დიდი და ნაყოფიერი შრომის შედეგია, რომელიც თავისი აქტუალობითა და მნიშვნელობით უდავოდ საყურადღებოა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ავტორის მიერ გამოყენებული თუ მითითებული კვლევითი მასალების სიუხვე, რომლებიც ჩართულია წიგნში სქოლიოების სახით. ეს კიდევ მეტ ღირსებას სძენს წიგნს. თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ე.წ. წიგნში ჩართული ბიბლიოგრაფიის საუცხოო ნიმუშებთან, რომლის ღირსება განუზომელია.

ნიშანდობლივია, რომ ავტორი ზოგ შემთხვევაში იძლევა წყაროს, რომელსაც ის იყენებს, ზოგ შემთხვევაში აღნიშნავს მოსაზრებათა თანხვედრას, მაგრამ არც კამათს ერიდება და ბევრ რამეს თავისით იკვლევს და ასაბუთებს, იძლევა არსებული მოვლენისა თუ შედეგის საფუძვლიან ანალიზს. აქ მინდა ერთ მოვლენას შევეხო: ზოგი მოღვაწე რატომღაც უგულებელყოფს ან ამდაბლებს სტატისტიკურ მონაცემთა მნიშვნელობას. ეს, საერთოდ, მიღებულია, რადგან სტატისტიკა თავისთავად ფაქტს წარმოადგენს, რომ არაფერი ვთქვათ მის ღირსებაზე ანალიზის შემთხვევაში.



წიგნი თავისი შინაარსით ერთგვარ საცნობარო ხასიათს იძენს, მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურულად ის ამისთვის არაა გათვალისწინებული, არადა ძალიან აქტუალურია. საერთოდ, ამგვარი გამოკვლევები ქართულ და არაქართულ გამოცემებში არაერთია, მაგრამ ამ დაქსასქსული მასალის გაერთიანება თუ მოხერხდა საერთო ცნობარის სახით, ეს მრავალმიზნობრივად შეიძლება წარმატებულად იქნეს გამოყენებული. რ. თოფჩიშვილის ამ წიგნში მეტად ორიგინალურადაა მოცემული გვარებისა და ეთნოლოგიური წარმომავლობის შეცვლის სურათი. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს, რა როგორ მოხდა და როგორ შეიცვალა, ამა თუ იმ რეგიონში, სოფელსა თუ ქალაქში ვითარება.

ჩვენი ბიბლიოთეკარები, უპირველეს ყოვლისა, მეთოდოლოგიურად ვალდებულნი არიან, ყურადღება დაუთმონ ეთნოლოგიურ საკითხებს მათი მხარეთმცოდნეობითი მუშაობის დროს. ჩვენს ჟურნალში წარმოდგენილი რ. თოფჩიშვილის ყველა წიგნი, მათ შორის ახლანდელიც, დიდ დახმარებას გაუწევს მათ.

გიორგი ქუჩიშვილის ლექსები შეცვლილი დათარიღებით

თეატრი და ცხოვრება
სათეატრო და სალიტერ. ჟურნალი
№ 14 – 1917 | ფასი 15 კ. | წელიწადი მეხუთე
ქვირა აპრილის 2 | გამოცემისა
ადგომა
1
ერი ჩემი აღსდგა მკვდრეთით
გზა მიეცით!
ჩამოდექით!
გმირთა გმირი ამირანიც
მოიმღერის გრგვინვა-ჭექით!
2
სანეტარო დახსნის ხმები
ეფინება ზურმუხტ მდელოს!
გაუმარჯოს ბორკილ აყრილ
თავისუფალ საქართველოს!..
დეპუტატი კაკო წერეთელი (ჯ. ხათისბირობა)

თეატრი და ცხოვრება
სათეატრო და სალიტერ. ჟურნალი
№ 21 – 1917 | ფასი 15 კ. | წელიწადი მეხუთე
ქვირა მაისის 21 | გამოცემისა
ჩემი მხარე
1
ვინც ეწვევა საოცნებოდ
საქართველოს სერებს,
სიმღერაც რომ არ იცოდეს
მაინც დაიმღერებს!
2
ვინც მისწვდება ჩემი მთების
მწვერვალებს და ღრუბლებს,
ისიც მგოსნად გარდიქცევა,
ღმერთთან ისაუბრებს!
3
საარაკო სილამაზე,
ხალხიც სასახელო,
მტერსაც კი მოინადირებს
ტურფა საქართველო!
გ. ნინოშვილი (ჭ 1894) კარდაგლებიდან 23 წლის შესრულების გამო. დღეს მის სამარხზე ახალ ცვრაში ხალხმა ძეგლი დაუდგა.


გიორგი ქუჩიშვილი
ლექსები
I
სახელმწიფო გამომცემლობა
მხატვრული ლიტერატურის სექტორი
თბილისი 46


საქართველო

საქართველო აღსდგა მკვდრეთით!
გზა მიეცით!
ჩამოდექით!
გმირთა-გმირი
ამირანი
მოიმღერის გრგვინვა-ჭექით!

სანეტარო დახსნის ხმები
ეფინება ზურმუხტ მდელოს:
გაუმარჯოს ბორკილაყრილ
თავისუფალ საქართველოს!

1921

ჩემი მხარე

ვინც ეწვევა საქართველოს
საოცნებო სერებს,
სიმღერაც რომ არ იცოდეს,
მაინც დაიმღერებს.

ვინც მისწვდება ჩემი ქვეყნის
მწვერვალებს და ღრუბლებს,
ისიც მგოსნად გადაქცევა,
მზესთან ისაუბრებს.

საარაკო სილამაზე,
ხალხიც სასახელო,—
მტერსაც კი მოინადირებს
ტურფა საქართველო!

1925

277

გიორგი ქუჩიშვილის ეროვნული მრწამსი
(1917-1921 წლები)

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

იმ ქართველ მწერალთა შორის, რომელთა შემოქმედებაშიც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით განპირობებული ემოციის გამოხატვამ გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ გიორგი ქუჩიშვილი (ჩხეიძე). არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ იმხანად გამოქვეყნებული თავისი ლექსებით ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას ღრმად შთამბეჭდავი ემოციით, პირველ ყოვლისა, სწორედ იგი გამოეხმაურა ყველაზე მეტად. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმდროინდელ პრესაში დაბეჭდილი ამ ლექსების ნაწილი დღევანდელი მკითხველისათვის უცნობია, რადგანაც საბჭოთა პერიოდში მრავლად გამოცემულ მის წიგნებში ისინი, იმდროინდელი იდეოლოგიური პოლიტიკიდან გამომდინარე, შეტანილი არ ყოფილა.

სამწუხაროდ, გიორგი ქუჩიშვილის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან არა მარტო ეს ნაწარმოებები დარჩა მკვლევართა ყურადღების მიღმა, არამედ გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში შეტანილი მისი წვლილის წარმოჩენაც.

გ. ქუჩიშვილის შემოქმედებითი ღვაწლის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის დასტურად აქ ის შეფასებებიც მინდა გავიხსენო, რასაც მწერლის თანამედროვე კოლეგები აძლევდნენ მის მხატვრულ ნააზრევს. მაგალითად, გ. ქუჩიშვილისადმი მიმართულ თავის ერთ-ერთ ჩანაწერში გალაკტიონ ტაბიძე წერდა: „მე კი არა, ვის არ უყვარხარ, გიორგი, ვინ არ სცემს პატივს შენს არაჩვეულებრივ თავმდაბლობას, შენს იშვიათ პატიოსნებას, შენს გულწრფელობას, შენს პირდაპირობას.

შენა ხარ იშვიათი მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა გადაუხვიოს პატიოსანმა პოეტმა ერთხელ არჩეულ გზას...

შენი ლექსებით გაჭედილია სახელმძღვანელოები“ (ტაბიძე, 1975: 550).

გიორგი ქუჩიშვილი

კიდევ უფრო მაღალი შეფასება მისცა გიორგი ქუჩიშვილის პოეტურ შემოქმედებას იოსებ გრიშაშვილმა. კერძოდ, მისი აღიარებით, „გიორგი, როგორც პოეტი, ქართული პოეზიის მოვარდნილ ჩანჩქერს“ წარმოადგენდა (გრიშაშვილი, 1985: 77).

გ. ქუჩიშვილის პოეტურ ღვაწლს ანალოგიურ შეფასებას აძლევდნენ ისეთი მაღალ-

ინტელექტუალური ლიტერატურათმცოდნეობიც, როგორებიც იყვნენ გერონტი ქიქოძე და აკაკი გაწერელია. მაგალითად, გ. ქიქოძის აზრით, „პოეტმა, რომელმაც თავისი ცხოვრების პირველი ნაწილი შიმშილში გაატარა, ხოლო მეორე - ბრძოლაში, მაინც ამდენი პატარა ლირიკული შედევრი დაგვიტოვა“ (ქიქოძე, 1958: 340).



აკაკი გაწერელიას ხაზგასმით კი „გიორგი ქუჩიშვილი თხემით ტერფამდე ქართველი რაინდი იყო... მისი საუკეთესო ლექსები უფრო მეტად შეიცავენ პოეზიას, ვიდრე ნაირნაირი ჩიქორთული ზაუმები და სხვა მისთანა „ტვინის ჭყლეტანი.“ მას აკლია მაღალ რანგში აყვანის ნიშნები, რის გამოც წმინდა ესთეტიკური კრიტერიუმით მისი შეფასება შეუძლებელია, მაგრამ იგი დარჩა, როგორც ეპოქის დოკუმენტი, ფუტურისტული აბრაკადაბრადან კი არაფერი დარჩენილა“ (გაწერელია, 1988: 258).

გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედებით ნააზრევს ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან შენაკადად მიიჩნევდა ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილიც, რომელსაც უაღრესად მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული მისი პოეტური ქმნილებების გამოქვეყნების საქმეში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია 1917-1918 წლებში, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში, ხსენებულ ჟურნალში გამოქვეყნებული მისი ლექსები, რომელთა მეშვეობითაც პოეტი არა მარტო თავის პიროვნულ ემოციას გამოხატავდა ღრმად შთამბეჭდავი ფორმით, არამედ მთელი ქართველი საზოგადოების ეროვნულ აღტყინებასაც.

ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ი. იმედაშვილის მოგონებათა წიგნიდან „ჩემი ცხოვრების გზაზე“: „თვითმპყრობელობის რეაქციის სასტიკ ხანაში გ. ქუჩიშვილის ჩანგის ჟღერა“ იყო „როგორც საყვირი, როგორც უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მომწოდებელი ხმა: ნათელი, გარკვეული, მზიანი სხივებით ჩამოგვირისტებული. ანკარა წყაროსავით მომდინარე მისი ბრძოლის ყიჟინა ყველას სწვდებოდა, განსაკუთრებით მშრომელ, ტანჯულ-წამებულ ხალხს ხომ გულზე მალამოდ ედებოდა...

იგი იყო ნამდვილი პოლიტიკური ტრიბუნი, რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგაც ყოველ მოვლენას გამოეხმაურებოდა ხოლმე მოკლედ, მაგრამ მკვეთრად და მკაფიოდ, რისი დასტურიცაა „თეატრსა და ცხოვრებაში“ თუნდაც 1917 წელს გამოქვეყნებული მისი ლექსები... მის ლექსებს ყოველთვის პირველ გვერდზე ვათავსებდი როგორც ბუკ-ნაღარას, როგორც მოწოდებას, როგორც ლოზუნგს, - დიდი, ღრმა აზრის სხარტულად, მკაფიო და ნათელ გამოხატულებად“ (იმედაშვილი, 1978: 354).

ქართული ლიტერატურის ისტორიაში გიორგი ქუჩიშვილის გვარ-სახელით დამკვიდრებული მწერალი, რომლის ნამდვილი გვარიც ჩხეიძე იყო, დაიბადა 1886 წელს თელავის მაზრის სოფელ ვარდისუბანში. მამის ნაადრევად გარდაცვალების გამო იგი იმდენად მძიმე ყოფით გარემოში აღიზარდა, რომ დაწყებითი განათლების სრულყოფილად მიღებაც კი ვერ შეძლო და ბავშვობიდანვე ჩაება უმძიმეს შრომით საქმიანობაში. ამ გა-

რემოებამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ გიორგი ქუჩიშვილი სიყმაწვილის დროიდანვე აღმოჩნდა დაკავშირებული სოციალური სამართლიანობისთვის აქტიურად მებრძოლ ანტისახელმწიფოებრივ რევოლუციურ ძალებთან. სახელისუფლებო რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული მისი ამ საპროტესტო დამოკიდებულების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ის დისკრიმინაციული ეროვნული პოლიტიკაც იქცა, რომელსაც რუსეთის იმპერიული ხელისუფლება ატარებდა ქართველი ხალხის მიმართ.

გ. ქუჩიშვილი არა მარტო პიროვნულ მონაწილეობას ღებულობდა 1900-1910-იან წლებში სოციალური სამართლიანობის დასამკვიდრებლად და ეროვნული ინტერესების დასაცავად გამართულ მასობრივ საპროტესტო გამოსვლებში, არამედ აღნიშნული პრობლემა მისი იმდროინდელი შემოქმედების უმთავრეს თემადაც იყო დამკვიდრებული.

ანტისახელისუფლებო საქმიანობაში ამგვარი აქტიური მონაწილეობის გამო იგი 1914 წელს დააპატიმრეს და რამდენიმე თვით სასჯელს იხდიდა ქუთაისის საგუბერნიო ციხეში.

გ. ქუჩიშვილი სამწერლო ასპარეზზე 1900-იან წლებში გამოვიდა და ამ დროიდან მოყოლებული, აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ჟანრობრივად მრავალფეროვანი მისი შემოქმედება თავიდანვე იქცა საყოველთაო ინტერესის საგნად. სწორედ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მისი ნაწარმოებები არა მარტო იმდროინდელ პრესაში ქვეყნდებოდა, არამედ მისი პირველი და მეორე წიგნებიც კი საკმაოდ დიდი - 6000-იანი ტირაჟითაც გამოიცა 1914 წელს.

გ. ქუჩიშვილის შემოქმედებითი დებიუტისადმი ლიტერატურული საზოგადოების ხაზგასმულად პოზიტიურ დამოკიდებულებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად აქ პოეტის პირველ წიგნისათვის თანდართული პეტრე გელეიშვილის ბოლოთქმაც მინდა გავიხსენო, სადაც ხსენებული პუბლიკაციის ავტორი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებით სიახლეებს საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა და მის მოქალაქეობრივ თვალთახედვას XIX საუკუნის ქართული მწერლობის ისეთი კორიფეების მსოფლმხედველობასთან მიმართებით აანალიზებდა, როგორებიც გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე იყვნენ.

კერძოდ, პ. გელეიშვილის შეფასებით, „ქუჩიშვილი სწერს იმ თემაზე, რაც თვითონ უშუამავლოთა და უმოციქულოთ განუცდია. ამიტომ არის, რომ ქუჩიშვილის ყოველი ლექსი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველებზე“ (ქუჩიშვილი, 1914: XIX). ამ თვალსაზრისის დასტურად იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა გ. ქუჩიშვილის მიერ წარმოსახული მუშის სოციალურ თვალთახედვაზე და მის აქტიურ საბრძოლო სულისკვეთებას ხაზგასმული ფორმით უპირისპირებდა გრ. ორბელიანისა და ი. ჭავჭავაძის მიერ ამავე თემაზე შექმნილი ლექსების მეშვეობით გამოხატულ მოქალაქეობრივ თვალთახედვას, რის შედეგადაც ასეთ დასკვნას აყალიბებდა: გრ. ორბელიანისა და ი. ჭავჭავაძის მიერ წარმოსახული მუშა „უძლური, უღონო და პასიური ძალაა... სულ სხვაა გ. ქუჩიშვილის მუშა. ეს გუშინდელი პასიური, უსულო მანქანა, უსიტყვო და უიმედო მუშა დღეს აქტიურ ძალათ გადაქცეულა... იგი მებრძოლია და თვითონ სჭედს თავის მომავალს“ (ქუჩიშვილი, 1914: XX).

წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გაანალიზებისა და შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება პირველ ყოვლისა მის მიერ შექმნილ იმ ტექსტებზე მინდა გავამახვილო, რომელთა მეშვეობითაც მან ღრმად შთამბეჭდავი ფორმით გამოხატა თავისი ნამდვილი ეროვნული გულისთქმა. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა 1921 წლის თებერვლამდე დაწერილი მისი ლექსები, რომელთა მეშვეობითაც პოეტი აქტიურად ეხმიანებოდა ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ცხოვრებაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მომხდარ დიდმნიშვნელოვან მოვლენებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული პრობლემატიკა გ. ქუჩიშვილის საბჭოთა პერიოდის დროინდელი შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს თემადაც იყო დამკვიდრებული, იმდროინდელი ცენზურულ-იდეოლოგიური პოლიტიკიდან გამომდინარე, ამ თემაზე მაშინ შექმნილი მისი ნაწარმოებები კონიუნქტურული აზროვნებითაცაა დაღდასმული და ნაკლებად შეესაბამება ავტორის ნამდვილ ეროვნულ და პოლიტიკურ თვალთახედვას.

გიორგი ქუჩიშვილი გარდაიცვალა 1947 წელს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში შექმნილ თავის ლექსებში გიორგი ქუჩიშვილმა, იმხანად მოღვაწე მის კოლეგებთან შედარებით, ყველაზე მეტი ემოციური აღტყინებით გამოხატა აღფრთოვანება ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის გამო. ეს ამბავი შემთხვევითი მოვლენა რომ არ ყოფილა და გ. ქუჩიშვილის იმდროინდელ შემოქმედებაში გამოვლენილი ამგვარი ეროვნული თვალთახედვა მანამდელი მისი მოქალაქეობრივი თვალთახედვის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა, ეს 1917 წლამდე დაწერილი მისი მხატვრული ნააზრევისთვის თვალის ერთი გადავლებითაც ნათლად ჩანს.

კერძოდ, დაწყებული 1900-იანი წლებიდან, სამწერლო ასპარეზზე მისი გამოსვლის პირველივე წლებიდან, გ. ქუჩიშვილის შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს თემად მყარად დამკვიდრდა ეროვნული პრობლემა. პოეტის მიერ ამ თემაზე იმხანად შექმნილი ლექსების მეშვეობით იგი არა მარტო იდეურად მოგვევლინა მისი წინამორბედი დიდი ქართველი მწერლების მემკვიდრედ, არამედ მათ შემოქმედებასთან თავისი ლექსების ტექსტოლოგიური მიმართებებითაც. კერძოდ, მის პოეტურ შემოქმედებაში ზოგჯერ აშკარად თვალხილული ფორმითაც კი იგრძნობა მათი ეროვნული და მოქალაქეობრივი მრწამსის ზეგავლენა. ამას ემატება ისიც, რომ მისი ლექსების გარკვეული ნაწილი მათი (პირველ ყოვლისა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის) სახე-სიმბოლოებითაცა და პოეტური ინტონაციებითაცაა აღბეჭდილი.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული პრობლემის გააზრება გ. ქუჩიშვილის 1921 წლამდელ შემოქმედებაში განუყოფელად აღმოჩნდა დაკავშირებული იმდროინდელ რევოლუციურ მოძრაობასთან. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ იგი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებიდან მოყოლებული არა მარტო თავისი მოქალაქეობრივი მრწამსით იყო ამ მოძრაობასთან დაკავშირებული, არამედ პიროვნულადაც მონაწილეობდა იმდროინდელ რევოლუციურ გამოსვლებში, რისთვისაც ცხოვრების გარკვეული პერიოდი პატიმრობაშიც აქვს გატარებული.

გ. ქუჩიშვილის 1917 წლამდელ მოქალაქეობრივ თვალთახედვაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ რამდენიმე მაგალითს მისი მაშინდელი შემოქმედებიდან. ფრაგმენტი ქართლისადმი მიძღვნილი ლექსიდან (ქუჩიშვილი, 1914: 19):

მყუდროებაა... გარინდულ ზეცას სარღვევად მხოლოდ კვნესა შთენია

და ღამის ბინდი ნიშნად გლოვისა ხრიოკ მიდამოს გადაჰფენია!..

ჩემო ქვეყანავ! შენს უბედურ შვილს შენივე კვნესა სცემს გულში მახვილს

და უნუგეშო ოხვრა-გმინვად სცვლის ჩემს მხნე სიმღერას, ჩემს შემოძახილს...

მყუდროებაა... სატრფო გარემოს სდარაჯობს მწუხრი, სდარაჯობს ღამე;

გული ქვითინებს, გული მიტირის, - ო, ქართლო! ქართლო! მითხარი რამე!..

ან კიდევ (ქუჩიშვილი, 1916: 20):

ვინ გაჰბედა, ვინ იშიშვლა სასიკვდილოდ ერზე ხმალი?

ვინ აღმართა სისხლის დროშა, ვის მიუძღვის ცოდვა, ბრალი?

ღმერთო! ღმერთო! შენს წინაშე ვსდგავარ ლოცვად გულმწუხარე...

დაიფარე ჩემი ერი, დაიფარე ჩემი მხარე...

ფრაგმენტი ლექსიდან „შავ ფიქრებს“ (ქუჩიშვილი, 1916: 21):

კმარა, რაც სასომიხდილი ვიდექ სამარის კარადა!

უკვე გაისმა ქუხილი ყრუდ ქცეულ მთათ და ბარადა!

დასჭექე, ცაო, დასჭექე! ჩამოიქეცი ღვარადა!

წალეკე ძველი ცხოვრება ახალის დასამყარადა!

1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინანდელ პერიოდში გ. ქუჩიშვილის შემოქმედებაში გამოვლენილმა ამგვარმა ეროვნულ-პატრიოტულმა შემართებამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბები შეიძინა უშუალოდ ამ რევოლუციის წინარე ხანაში რუსეთის იმპერიაში განვითარებულ მოვლენათა შედეგად. როგორც ამ ლექსებიდან თვალნათლივ ჩანს, პოეტი აშკარად გრძნობდა, რომ რუსულ იმპერიულ სივრცეში არსებული რეალობა სასიკეთოდ იცვლებოდა, რაც ქართველ მამულიშვილთა ოცნებას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით მყარ საფუძველს უქმნიდა.

გ. ქუჩიშვილის იმდროინდელი მრწამსის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ეს იმხანად დაბეჭდილი მისი ლექსებიდანაც თვალნათლივ ჩანს. კერძოდ, მის იმდროინდელ შემოქმედებაში პათეტიკური ფორმით გამოვლენილ საბრძოლო სულისკვეთებას ორი უმთავრესი ფაქტორი განსაზღვრავდა არსებითად - ერთის მხრივ, რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან ჩვენი ქვეყნის გასათავისუფლებლად მებრძოლ მამულიშვილთა ეროვნული იდეალებისთვის აქტიური მხარდაჭერა, მეორეს მხრივ კი არა მარტო სიტყვიერი თანადგომა სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად აღზევებულ ადამიანთა რევოლუციური მოთხოვნებისადმი, არამედ პიროვნული მონაწილეობის მიღებაც მათ მიერ გამართულ საპროტესტო გამოსვლებში.

ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს 1917 წელს დაწერილი ლირიკული პოემიდან „შავი სამეფო“ (ქუჩიშვილი, 1963: 73):

ძირს ბორკილები! - გრიალებდა ხალხი მრისხანე, -

სიკვდილი ყველა პირსისხლიან ხალხის ჯალათებს!

ჩვენ გავიმარჯვებთ! გაუმარჯოს თავისუფლებას!

აწ ჩვენს კისერზე ველარავინ მოიკალათებს!

და გაიმარჯვეს! ძირს დაემხო ქვეყანა ძველი,

მის ნანგრევებზე დაიმარხა კაცთმოძულება,

მაღლა ჰაერში აფრიალდა დროშა წითელი,

სისხლით სწერია: „სისხლში იშვა თავისუფლება!“

ხსენებული პოემა გამონაკლისი არ არის და მაშინდელ დიდმნიშვნელოვან მოვლენათა ამგვარი თვალთახედვით წარმოსახვა და ქვეყნად შექმნილი ახალი რეალობის განდიდება გ. ქუჩიშვილის იმდროინდელი შემოქმედების უმთავრეს თემად იყო დამკვიდრებული. მაგალითად (ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება,“ 1917 წლის 1 იანვარი):

ერო ჩემო, გვემულო, გენაცვალე გულითა,

ხუნდებით დაცემულო, აღსდექ მტკიცე სულითა!

შენის სენით სნეული ვკვნესი შენივ წყლულითა;

შენ გიგალობ, გადიდებ ციურ სიყვარულითა!

როგორც ითქვა, საქართველოს გასაბჭოებამდე შექმნილი იმ პოეტური ტექსტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა მეშვეობითაც გ. ქუჩიშვილი ღრმად შთამბეჭდავი ფორმით გამოხატავდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით განპირობებულ პატრიოტულ გრძნობებსა და ემოციებს, საბჭოთა პერიოდში გამოცემულ მის არც ერთ წიგნში აღარ დაბეჭდილა, რამდენიმე მათგანი კი 1921 წლით აღმოჩნდა დათარიღებული იმის ხაზგასასმელად, თითქოს მათი მეშვეობით გამოხატული ავტორისეული ეროვნული აღფრთოვანება ჩვენი ქვეყნის გასაბჭოებით იყო განპირობებული.

მაგალითად, ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ 1917 წლის 2 აპრილის ნომერში პირველივე გვერდზე გამოქვეყნებული ლექსის - „აღდგომა“ დაწერის თარიღად სწორედ 1921 წელია დაფიქსირებული, რითაც ეს ნაწარმოები მკითხველს საქართველოს გასაბჭოებით განპირობებული ემოციის გამომხატველ პოეტურ ტექსტად წარუდგინეს. ლექსის თავდაპირველი ვარიანტისაგან განსხვავებით, გ. ქუჩიშვილის თხზულებათა პირველ, 1940 წელს გამოცემულ, ტომში გამოქვეყნებული ამ ლექსის ტექსტში მხოლოდ ორი ცვლილება იყო შეტანილი - ლექსს „აღდგომის“ ნაცვლად საქართველო ერქვა, ხოლო მისი პირველი სიტყვა -„საქართველო“ შეცვლილი იყო სიტყვით -„ერი“ (თევზაძე, 1994: 223). ხსენებული ლექსის მეშვეობით გამოხატულ ავტორისეულ ეროვნულ სულისკვეთებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ მის თავდაპირველ ვარიანტს:

ერი ჩემი აღსდგა მკვდრეთით, გზა მიეცით, ჩამოდექით!

გმირთა გმირი ამირანიც მოიმღერის გრგვინვა-ჭექით!

სანეტარო დახსნის ხმები ეფინება ზურმუხტ მდელოს,

გაუმარჯოს ბორკილაყრილ თავისუფალ საქართველოს!

ასევე მოხდა ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ 1917 წლის 2 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ ფართოდ ცნობილ ლექსთან - „ჩემი მხარე“ დაკავშირებითაც. კერძოდ, გ.ქუჩიშვილის ლექსების 1946 წლის გამოცემაში ამ ნაწარმოების დაწერის თარიღად ნაცვლად 1917 წლისა 1925 წელია მითითებული.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინარე ხანისა და ამ ისტორიული მოვლენის მოხდენით განპირობებული საყოველთაო ემოცია სწორედ იმხანად შექმნილი და გამოქვეყნებული თავისი პოეტური ტექსტებით ყველაზე მძაფრი ფორმით გიორგი ქუჩიშვილმა გამოხატა. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ რამდენიმე მათგანს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში გამოცემულ მის არც ერთ წიგნში აღარ გამოქვეყნებულა: „ხალხის ბელადებს“ (ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება,“ 1917 წ. 9 აპრილი):

აღმართეთ დროშა! გაშალეთ ფრთები; წინ, არწივებო ახალ ქვეყნისა!

დაე, თქვენი ხმა, - ერის გულისთქმა, - ისმოდეს როგორც ქუხილი ცისა!

ერის ტრიბუნნო! აღანთეთ ცეცხლი! დარეკეთ ზარი მოწოდებისა, -

რომ თქვენს ძახილზე, ბრძოლის დაფდაფზე, აღზდგეს ბანაკი მეომრებისა!

„თეატრი და ცხოვრება,“ 1917 წ. 29 აპრილი:

წალკოტი კეკლუც ივერიისა დღეს ჩვენგან ითხოვს ხსნასა და შველას,

და მეც, მებუკე, მისი მგოსანი, აქეთკენ გიწვევთ, ერთგულნო, ყველას!

ვისაც ჯერ კიდევ არ ჩაქრობია სამშობლოს ტრფობა და სიყვარული, -

ჩემსკენ ისწრაფოს! - დიდია ვალი! - ჩვენ უნდა ვიხსნათ ჩვენი მამული!

„თეატრი და ცხოვრება,“ 1917 წ. 5 მაისი:

ჰაუ, სადა ხარ, სად ბანაკობ, ჩემო ლაშქარო,

ველად გაჭრილი შენ გიყივის შენი მხედარი!

რად არ იღვიძებ, ერო ჩემო, ერო მძინარო,

რით ვერ გაფხიზლებს მტერთა შენთა რისხვა და ზარი!

წარმოძეხ წინა, ატეხილო გრიგალო, ქარო!
თან წარიტაცე სული ჩემი დაუდეგარი!
დაიჭიხვინე, არაბულო სწორუპოვარო!
ჰერი! გაჰკურცხლე! გადაჰქუსლე უდაბნო მკვდარი!

„თეატრი და ცხოვრება,“ 1917 წ. 12 მაისი:

ისე არ მოვკვდე, არ დავხუჭო სამიწე თვალი,
რომ არ გიხილო, სატრფოვ ჩემო, თავისუფალი!
ისე არ მოვკვდე, არ ჩავიდე ოხერ კუბოში,
რომ ძლევის დროშა არ აღვმართო ჩემს სამშობლოში!

„თეატრი და ცხოვრება,“ 1917 წ. 3 ოქტომბერი:

დაირაზმენით! თოფქვეშ დადგეს ყოველი კაცი!
ხმალ-ამოწვდილი სდარაჯობდეს თვის სადარაჯოს!
სიკვდილი მუხთალთ! გაუმარჯოთ დროშის ერთგულებს!
დაფნის გვირგვინი მტერთა ზედა ვინც გაიმარჯვებს!
ვაი შეთქმულებს! და ვაი მას, ვინც კი გაბედავს
და რესპუბლიკის წინააღმდეგ აღმართავს მახვილს!
ფხიზლად ბანაკო! მზად იყავი! ახლოა ჟამი!
ყური დაუგდე მთავარ-სარდლის მტერზე დაძახილს!

როგორც გ. ქუჩიშვილის შემოქმედებიდან ჩემ მიერ დამოწმებული ამ ლექსებითაც თვალნათლივ ჩანს, თებერვლის რევოლუციის უმთავრეს სიკეთედ მათი ავტორი უპირველეს ყოვლისა იმ გარემოებას მიიჩნევდა, რომ რუსეთის იმპერიის დანგრევა რეალურად ქმნიდა საფუძველს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით ქართველ მამულიშვილთა დიადი ოცნების ასახდენად.

გარდა ზემოთ განხილული ლექსებისა, იმდროინდელი მოვლენებისადმი გიორგი ქუჩიშვილის დამოკიდებულებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად აქ პოეტის მიერ 1917 და 1920 წლებში გამოცემული პოეტური კრებულებიც - „ნანგრევებზე“ და „ლექსები“ მინდა გავიხსენო. მათში წარმოდგენილი პოეტური ტექსტების უმთავრესი მიზანსწრაფვის საგნადაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში სწორედ იმხანად მომხდარი დიდმნიშვნელოვანი მოვლენები იქცა. ამ მოვლენათა შედეგად იმხანად შექმნილი რეალობისადმი თავისი დამოკიდებულება პოეტმა იმითაც გამოხატა, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციისადმი მიძღვნილი თავისი ერთ-ერთი ლექსის სათაური - „ნანგრევებზე“ იმხანად გამოცემული მისი წიგნის სახელწოდებადაც აქცია.

ხსენებული ლექსისა და, საერთოდ, აღნიშნულ კრებულში წარდგენილი პოეტური ტექსტების პათოსსა და რუსეთის იმპერიაში იმხანად შექმნილი რეალობისადმი ავტორის დამოკიდებულებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ ფრაგმენტებს აღნიშნულ კრებულში გამოქვეყნებული ლექსებიდან:

1. დაემხო ძველი სამეფო მტარვალთა ბატონობისა
და მის ნანგრევზე აშენდა ტაძარი კაცთა ძმობისა!
განთავისუფლდა ქვეყანა, გმინვა აღმოხდა შვებისა
და კიდით-კიდეს მოედო ამბავი გამარჯვებისა!
2. მოვდივართ, მოვაფრიალებთ თავისუფლების ალამსა!
გახარებული გიგზავნით ძმობა-ერთობის სალამსა!
სალამი ჯარს და მშრომელ ხალხს, სალამი მამაცთ გულებსა
და საუკუნო ხსენება ბრძოლაში დაცემულებსა!
3. გამოფხიზლდი, შრომის შვილო, გაიღვიძე, გეყო ძილი!
თავისუფლად შემოსძახე ვაჟკაცური მოძახილი!
აღსდექ, აღსდექ, ქვეყნის ბურჯო! გაახილე ორივ თვალი!
შენს ხელთაა მთელი ძალა, შენ გეკუთვნის მომავალი!

გ. ქუჩიშვილის იმდროინდელი ეროვნული და სოციალური თვალთახედვის წარმოჩენის დროს რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა 1918 წელს დაწერილ მის მოთხრობაზეც - „წითელი დროშის ქვეშ.“ კერძოდ, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის - გენო მენაღარაშვილის საბრძოლო თავგადასავლის მოთხრობის საფუძველზე მასში რომანტიზებული ფორმითაა ნაამბობი რუსეთის იმპერიაში 1900-1910-იან წლებში აზვირთებულ იმ რევოლუციურ მოვლენებზე, რომელთაც შედეგად ამ იმპერიის დანგრევა მოჰყვა.

მწერალმა აღნიშნულ ბრძოლათა აქტიურ მონაწილეებად არა მარტო მოთხრობის მთავარი პერსონაჟი გამოიყვანა, არამედ ის ქართველი რევოლუციონერებიც, რომლებმაც ციმბირში სასჯელის მოხდის დროს გაიცვნეს ერთმანეთი. იმპერიაში შექმნილი ქაოსური მდგომარეობის შედეგად სასჯელს თავდაღწეული ამ ადამიანებისაგან შექმნილი საბრძოლო რაზმი პეტერბურგში ჩადის, რევოლუციონერთა მრავალათასიან ტალღას უერთდება და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რუსეთის სამეფო ხელისუფლების დამხობის პროცესში.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ძალადობრივი გზით მოქცევის პერიოდში იმპერიული ხელისუფლების მიერ გატარებულ იდეოლოგიურ და კოლონიურ პოლიტიკას მსხვერპლად უამრავი ადამიანი შეეწირა, ცოცხლად გადარჩენილი ჩვენი მოქალაქეების ცხოვრება კი ამ პოლიტიკის შედეგად დამკვიდრებული დოგმატური აზროვნების ტყვეობაში მოექცა. სწორედ ამ ტრაგიკული მოვლენის ერთ-ერთ გულსატკენ გამოვლინებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემები იმხანად მოღვაწე ჩვენი მწერლების შემოქმედებაში უმთავრესად საბჭოთა იდეოლოგიის მიერ დაწესებული პრინციპების შესაბამისად იყო გააზრებული.

სამწუხაროდ, ამ ტრაგიკული რეალობის მსხვერპლად მაშინ გიორგი ქუჩიშვილიც იქცა, რის გამოც საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიური პოლიტიკით დაღდასმულ მის მაშინდელ შემოქმდებაში გამოხატული ეროვნული თვალთახედვა არსებითად განსხვავდება მანამდელი მისი ეროვნული მრწამსისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაწერელია, ა. ნარკვევები, პორტრეტები, ლექსმცოდნეობა. - თბ., 1988.
2. თევზაძე, დ. საუკუნის თვალით: ლიტერატურული წერილები. - თბ., 1994.
3. იმედაშვილი, ი. ჩემი ცხოვრების წიგნი. - თბ., 1978.
4. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. – 1917. - N1, 14, 15.
5. ტაბიძე, გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII. - თბ., 1975.
6. ქიქოძე, გ. ეტიუდები და პორტრეტები. - თბ., 1958.
7. ქუჩიშვილი, გ. წიგნი 1: პოეზია. - თბ., 1914.
8. ქუჩიშვილი, გ. წიგნი 3: ლექსები, და პოემები. - თბ., 1916.
9. ქუჩიშვილი, გ. ერთტომეული. - თბ., 1958.
10. ქუჩიშვილი, გ. თხზულებანი ორ ტომად. ტ. II. - თბ., 1963.

„თაგვუქმობის“ წარმართული დღესასწაულის ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში

მაყვალა ანთაძე

ფილოლოგი, თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სპეციალისტი

ჩვენი ეპოქის გამორჩეული მწერლის გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მრავალფეროვანია. ავტორი თავის თხზულებებში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს წარმართული რწმენა-წარმოდგენებით ნასაზრდოებ ადათ-წესებს და მასთან დაკავშირებულ რიტუალებს მკითხველის წინაშე ისეთი სახით წარმოაჩენს, როგორითაც ათასწლეულების წინ არსებობდა. მწერალი უძველეს რწმენას ათანხმებს ახალთან - ქრისტიანობასთან. მათი ურთიერთშეხამებით შექმნილი არა ერთი ნაწარმოები მწერლის მსოფლმხედველობას ნათლად წარმოგვიდგენს.

გოდერძი ჩოხელის რომანებსა და მოთხრობებში გაცოცხლებული უძველესი ადათ-წესები და რიტუალები ისე შესისხლხორცებია ერთმანეთს, ხშირად გამიჯვნაც ჭირს, რადგან მათ შორის გარკვეული ზღვარი წაშლილია. მწერლის თხზულებები გამოსახვის თვალსაზრისით ორიგინალურია. მოთხრობაში „ჩემი წიგნი“ გოდერძი ჩოხელი გვიამბობს მთიულეთსა და გუდამაყარში არსებული წარმართული რიტუალის „თაგვუქმობის“ შესახებ, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობას ამ დრომდე შემორჩენია.

მწერლისთვის გუდამაყრის ხეობა უცნაური დიდი წიგნია, რომელსაც ყდებად მთები აქვს; სადაც მზე და მთვარე თანასწორად ანათებს იმ ჯადოსნურ სამყაროს, რომელიც მის წიგნშია თავმოყრილი. ავტორი ჯადოსნურ სამყაროში მკითხველსაც ამოგზაურებს და იმ კულტურასა და ტრადიციებს აცოცხლებს, რომელთაგანაც ზოგიერთი დღესაც სრულდება, ზოგი ძირეულად შეცვლილია და ზოგიც - მივიწყებული.

გოდერძი ჩოხელის მოთხრობის მიხედვით გუდამაყარსა და მთიულეთში ჯერ კიდევ სცემენ თაყვანს კერპებს და აქვთ ცხოველებისა და ფრინველების კულტი. აღმოსავლეთ მთიანეთის ყველა კუთხისთვის აქტუალურია მოსავალთან დაკავშირებულ ცხოველთა გაკერპება. მათგან ისედაც მცირე მოსავლის

გოდერძი ჩოხელი

განადგურება (შეჭმა) მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მთის კალთებზე შეკიდულ სოფლებს, რომელთაც სახნავ-სათესი მიწა ცოტა ჰქონდათ, რადგან გეოგრაფიული მდებარეობა არ იძლეოდა მათი გაფართოების საშუალებას; სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო მოწეული მოსავალი გლეხკაცისათვის, ამიტომაც უძველესი დროის წინაპარი წარმოდგენებით ქმნიდა ისეთ რიტუალებს, რომლებიც არსებობისა და სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა; ზარალის მიმყენებელ ცხოველებსა თუ ფრინველებს, მომადლიერების მიზნით, ცეკვა-სიმღერითა და ფერხისებით „ებრძოდნენ“ - მათი რწმენით, ეს რიტუალები ზეგავლენას მოახდენდა მათზე და მოსავალს ჩამოშორდებოდა.

„თაგვების დღესასწაული'' აღმოსავლეთ მთიანეთის ყველა კუთხისთვისაა დამახასიათებელი. ამ დღისათვის უქმეს იცავენ მთიულებიც, გუდამაყრელებიც, ხევსურებიც და მოხევებიც. ნ. აბაკელიას ცნობით, ზოგი თაგვის უქმეს დიდმარხვაში იცავდა, ზოგი - ყველიერის კვირას. ასე თანაარსებობდა ქრისტიანულ მარხვასთან წარმართული რწმენა-წარმოდგენით ნასაზრდოები რიტუალი. ნ. აბაკელიამ შეისწავლა აღმოსავლეთ მთიანეთისთვის დამახასიათებელი დღესასწაულები და მასთან დაკავშირებული რიტუალები, რომლებიც თავმოყრილია წიგნში „ქართულ დღეობათა კალენდარი“. იგი მნიშვნელოვან მასალას შეიცავს წარმართული და ქრისტიანული დღესასწაულების შესახებ. გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში ასახულია ორივე რწმენა-წარმოდგენა: „გუდამაყრელები და მთიულები, წელიწადში ერთხელ, თაგვების დღესასწაულს იხდიან. ყველა ოჯახი ხის თაგვს აკეთებს. ხის თაგვი სწორია, შუაზე გაპობილი ერთი ბოლოთი, რომელშიც თივა ან ჩალაა გარჭობილი თაგვის ულვაშივით“ [ჩოხელი გ., 2020: 102].

გოდერძი ჩოხელის მიერ აღწერილი თაგვების დღესასწაულის წარმართული რიტუალი ნ. აბაკელიასა და ს. მაკალათიას მასალების იდენტურია, განსხვავება მხოლოდ დასახელებაშია - მთიულეთში „თაგვების გარეკვას“ უწოდებენ (ს.მაკალთია). მეცნიერთა ცნობით ამ დღესასწაულისათვის გუდამაყრელები დიდმარხვაში უქმესაც იცავდნენ. ეს რიტუალი ქართლშიც ტარდებოდა, მაგრამ აქ „თაგვის უქმე“ ყველიერის კვირას სრულდებოდა. წარმოსათქმელი სიტყვები მსგავსი იყო, რიტუალში კი ბიჭები მონაწილეობდნენ, რომელთაც ხელში ასკილის ტოტები ეჭირათ.

აღნიშნულ რიტუალში ოჯახის ყველა წევრის ჩართულობა მნიშვნელოვანი იყო, ამიტომაც ბავშვებიც აქტიურად მონაწილეობდნენ - მღრღნელების მოშორება ოჯახის კეთილდღეობის გარანტი იყო. გამომცხვარი კვერის შეჭმა ბავშვების უპირატესობა იყო, რაც მათ ახარებდა, ამიტომ რიტუალი სასიამოვნოც იყო. დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ რიტუალში მონაწილე ბავშვმა სცენარის ყველა პუნქტი ზედმიწევნით იცის, ამიტომ არც უკან იხედება, რომც დაუძახონ და რიტუალურ ჯოხსაც ბოლომდე მიიტანს იქ, სადაც აკრძალვის წესი დასრულდება. ბავშვებისათვის ყოველი რიტუალი, რომელშიც უმცროსი ასაკიდანვე მონაწილეობდნენ, გარკვეული მოთმინებისა და ნებისყოფის გამტკიცების, აღზრდის საშუალებად იქცეოდა. დაწესებული აკრძალვები, თმენის ვალდებულება, სულიერი წვრთნის მიზანსაც ემსახურებოდა.

გოდერძი ჩოხელის მოთხრობიდან ნათელი ხდება, რომ „თაგვების დღესასწაულისთვის“ საგანგებოდ ემზადება აღმოსავლეთ მთიანეთის ორივე კუთხე - გუდამაყარი და მთიულეთი; აკეთებენ ხის თაგვს, სწორი ჯოხი თაგვს განასახიერებდა. ჯოხის ბოლო შუაშია გაპობილი და შიგნით გაჩრილი თივა ან ჩალა სიმბოლურად თაგვის ულვაშს წარმოადგენდა. ხის თაგვს ქალები მთელ სახლში მოატარებენ, ყველა „ბუნაგის“ ჩათვლით, ამ თაგვს ურტყამენ თან და მაღალი ხმით გაჰკივიან: „გამო, თაგვო, გამო, რწყილო, ანგელოზო, შინ დაბრძანდი!'' [ჩოხელი გ., 2020:102]. ამ რიტუალის შემდეგ დედაკაცები სწრაფად უნდა გაიქცნენ ჩაჭრილას მთისკენ, რათა „თაგვების“ გადაყრა მოასწრონ. მათი რწმენით, თაგვი, მოსახლეობისთვის ეკონომიკური ზიანის მიმყენებელი, იქ გამრავლდება, სადაც გადაყრიან. აქედან გამომდინარე მათი კუთხე დაცული იქნება მღრღნელებისგან. დასახელებულ რიტუალში მამაკაცებსაც აქვთ თავიანთი როლი. მათ ევალებათ ამ რიტუალის ჩატარებისას როგორმე უკან მიახედონ ქალები, მაგრამ ეს რომ არ შეიძლება, ყველამ იცის და თავს იკავებენ, მოთმინებით კი მოსავალს მთელი წელი დაიცავენ.

რიტუალი თეატრალიზებულია, ყველამ იცის მისი ჩატარების დრო, ადგილი და თავიანთი მოვალეობაც: ხეობაში მთიულ ქალებს გუდამაყრის მოსახლეობა ხვდება და სანამ ისინი თაგვების გადმოყრას მოასწრებენ, თავიანთ თაგვებსაც და მათ მოტანილსაც „კისერში ურჭობენ და უკან აბრუნებენ“. თუ ეს მოასწრეს, ფიქრობენ, რომ თაგვები მთი-

ულეთიდან გუდამაყარს ვერ შემოესევიან. ამ რიტუალში ორივე კუთხე თანასაწორადაა ჩართული. მასში ყველა მონაწილეობს, რითაც დასტურდება, რომ ამ კუთხეების რწმენა-წარმოდგენა ამ რიტუალისადმი საკმაოდ მტკიცე და მყარია. დარწმუნებულნი არიან, რომ მთელი წელი თაგვებს, როგორც მავნებელ ცხოველებს, მოიცილებენ და მოსავალიც ხვავრიელი ექნებათ.

აღნიშნული რიტუალები მავნებელი ცხოველებისა და ფრინველების წინააღმდეგ იყო მიმართული. დათქმული უქმის გატეხვას კი, ხალხის რწმენა-წარმოდგენით, უბარაქობა მოჰყვებოდა, ამიტომ გუდამაყრელები მიცვალებულის დღესთან ერთად უქმესაც იცავდნენ (ნ. აბაკელია). როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობა ოჯახის ეკონომიკური სიძლიერისათვის ქრისტიანულ მარხვასთან ერთად წარმართულ რიტუალსაც იყენებდა.

აღნიშნულ რიტუალებში ხალხთა რწმენა-წარმოდგენებით დამკვიდრებული „უქმეები“ ემსახურებოდა მოსახლეობის ქონების (საქონლის, სახლის, მიწის) ცხოველისგან დაცვას. ასევე ამ რიტუალებში იკვეთება კავშირი მათ ტოტემებთან, რომელთაგანაც შემწეობასა და მფარველობას ითხოვდნენ. ეს რიტუალი ამავე დროს გარკვეულ შესვენებასაც ითვალისწინებდა ნაშრომ-ნაჯაფი მთის მოსახლეობისათვის.

„თაგვუქმობის“ დღესასწაული გოდერძი ჩოხელს ასახული აქვს ასევე მოთხრობაში „თოვაში გასვენებული დღესასწაული“. ავტორი მთის კალთაზე საფარტნესავით შეკიდული სოფლის სურათს გვიხატავს, სადაც ცამეტიოდე მოხუცი ცხოვრობს სიმარტოვესთან ერთად. მოთხრობაში ცოცხლდება უძველესი რწმენა-წარმოდგენით ნასაზრდოები დღესასწაული „თაგვუქმობა“, ანუ თაგვების დღესასწაული. გოდერძი ჩოხელი ისტორიულ ცნობას გვაწვდის გუდამაყრის სარწმუნოებრივი მრწამსის შესახებ. მას შემდეგ, რაც მთიან აღმოსავლეთსა და მათ შორის გუდამაყარშიც თითქმის იძულებით გავრცელეს და მიაღებინეს ქრისტეს რჯული, ისინი მაინც ინარჩუნებდნენ ძველ რწმენა-წარმოდგენას, რომელიც წარმართულის სახელითაა ცნობილი: „გუდამაყარში, სანამ ქრისტიანობას მიიღებდნენ „ცეცხლითა და მახვილით“, კერპებს სცემდნენ თაყვანს. შეიცვალეს სარწმუნოება და მაინც მთლიანად ვერ გადაეფარა ქრისტიანული საბანი ძველ კერპებს, მერეც დიდხანს სცემდნენ თაყვანს კერპებს“ [ჩოხელი, 1989:179-180]. გოდერძი ჩოხელის ბიოგრაფიიდან და შემოქმედებიდან იკვეთება, რომ ავტორი გუდამაყრის ცხოვრების რეალურ სურათს ხატავს ეთნო-კულტურული და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით.

მოთხრობა „თოვაში გასვენებული მიცვალებული“ დრამატულია, რადგანაც მასში უძველესი ტრადიციების ერთგულ, წარმართული რწმენით გაჟღენთილ გუდამაყრელებს მთის წვერიდან დაქანებული ზვავი შეიხვევს თავის კალთებში და უკანასკნელი რიტუალით უკანასკნელად იხილავენ, „თუ როგორ ქსოვდა თეთრ წინდას ცის ლურჯი ხელები“.

გოდერძი ჩოხელის ამ მოთხრობაში რიტუალის ერთგული მსახურები წესს ზედმიწევნით ზუსტად ასრულებენ, ცდილობენ არ დაარღვიონ არცერთი პუნქტი, რათა მოსავალი გადაარჩინონ! ეკონომიკური სიძლიერე მათი სიცოცხლის გარანტიაა. უკან მოხედვა არ შეიძლება და წინ მზირალი, ბებრული მუხლებით მორბენალი მოხუცებისაკენ გაღმა მთიდან მათ შესახვედრად უზარმაზარი თოვლის ზვავი გამოემართა, ზვავი თავისი ჩვეული სიმარდით მოისწრაფოდა მათკენ, ხედავდნენ, მაგრამ... უკან არ შეიძლებოდა მოხედვა... აი, ასე დასრულდა უძველესი წეს-ჩვეულების შემსრულებელთა უკანასკნელი დღესასწაული თაგვუქმობა: „და შეიხვია ზვავმა უკანასკნელი დღესასწაული, ხევი ხველებით ჩაიარა და არაგვის ჭალაზე დაჯდა ფეხმორთხმით“ [ჩოხელი, 1989:180].

ერთადერთ ჭირისუფლად ხეების მესაიდუმლე, ლექსთა მთქმელი ეფრემია დარჩა. საფიხვნოში მჯდარი სიმარტოვე ახლა უკვე ეფრემას დასდევს ქვითინით. აბღავლებული, უწყლო საქონელი შემაძრწუნებელ სურათს ერთი-ორად ამძაფრებს. ამ ფონზე მსხლის

ხისგან გამოჭრილი ქაფქირი პოვლიას დერეფანში ქანაობს. ამით ავტორმა განაჩენი გამოუტანა მსხლის ხეების მომჭრელ პოვლიასა და მთელ სოფელს, რითაც შეგვახსენა, რომ მსხმოიარე ხეების მოჭრა, თუნდაც გამოუვალ ვითარებაში დაუშვებელია.

ლ. იარაჯულმა სადისერტაციო ნაშრომში: „სამყაროს მხატვრულ-ესთეტიკური საზრისი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“ (იარაჯული, 2017) მოთხრობის ამგვარი დასასრული წარმართობაზე ქრიტიანობის გამარჯვებად მიიჩნია. სადისერტაციო ნაშრომში: „გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (ნაზღაიძე, 2021) მკლევარი დაუჯერებლად მიიჩნევს ავტორის ზვავთან ერთად ზეიმს უპატრონოდ დარჩენილი მოხუცების თოვლში შეხვევას, რადგან ამ მოხუცებთან ერთად წავა და დაიკარგება ის, რაც უნიკალურს ხდიდა ამ მივიწყებულ ხეობასო.

მიგვაჩნია, რომ გოდერძი ჩოხელმა წარმართობისა და ქრისტიანობის მორიგებით მოხუცებს განაჩენი გამოუტანა, რადგან ისინი წარმართული რწმენა-წარმოდგენასაც დაუპირისპირდნენ (ხე ფეტიშია) და ქრისტიანულსაც (მსხმოიარე ხის მოჭრა აკრძალულია). ხოლო ხეიბარი ეფრემა უფრო ძვირფასია, ვიდრე მთელი სოფელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩოხელი, გ., (2020). პოეზია, პროზა, წერილები. - თბ.: პალიტრა L.
2. ჩოხელი, გ.,(1989). თევზის წერილები. - თბ.: საბჭოთა საქართველო.
3. აბაკელია, ნ., ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., (1991). ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი. - თბ.: კრიალოსანი.
4. ოჩიაური, ალ., (1988). ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. - თბ.: მეცნიერება.
5. ჯიყაშვილი, ლ., (2011). გუდამაყრელი იები. გოდერძი ჩოხელის მემუარები. - თბ.: პალიტრა L.
6. ოჩიაური, თ., (1977). ხევსურეთი და ხევსურლები. - თბ.: საბჭოთა საქართველო.
7. მაკალათია, ს., (2005). მთიულ-გუდამაყრელთა რწმენა // მზიანი რწმენის საუფლო / შეადგინეს ნანა კოტეტიშვილმა, ნათია ხორნაულმა და გიგი ხორნაულმა. - თბ., 2005. - გვ., 158-179.
8. იარაჯული, ლ., (2017). სამყაროს მხატვრულ-ესთეტიკური საზრისი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში: სადისერტაციო ნაშრომი. - თბ.
9. ნაზღაიძე, ნ., (2021). გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა: სადისერტაციო ნაშრომი. - თბ.

იყო და არა იყო რა, სიკეთის უკეთესი რა იქნებოდა?!

ნათია კოპაძე

მზე და მთვარე ერთმანეთს სანამ გაშორდებოდნენ და სანამ შუაში ვარსკვლავებს ჩაიყენებდნენ, ვიდრე საიდანღაც ღრუბელი გაჩნდებოდა, მიწა კი გამყარდებოდა და სანამ მზიას ზეზვა შეუყვარდებოდა, მანამდე იყო სიტყვა და ეს სიტყვა იყო - სიკეთე, რომელიც ჩურჩულებდა და ისე ქმნიდა სიტყვებს. მერე ის სიტყვები თამაშს იწყებდნენ და იქმნებოდა ზღვები, მედუზები, პინგვინები, ნაძვები... ერთხელ სიკეთემ რაღაც სიტყვა დაიჩურჩულა, ის კი ჰაერში დატრიალდა და ჯერ კვერცხი გაჩნდა, მერე გატყდა და ჭრელი, ულამაზესბუმბულიანი, კუდოსანი ფარშევანგი გამოიჩეკა.

სიტყვა დადიოდა, დადიოდა და გამუდმებით ჩურჩულებდა. ერთხელაც როცა წაიჩურჩულა, უცებ საიდანღაც ზეზვა წამოიმართა, შემდეგ დაჩურჩულებაზე მზია გაჩნდა. ერთმანეთსაც მალევე მიაგნეს. ყველა ამბობდა, აბა სიტყვა აქ რა შუაში იყოო, მაგრამ... გაიგებ? სიკეთე ხომ სულ ჩურჩულებდა და ჩურჩულებდა. რას გაიგებ, რას წაიჩურჩულებდა და როდის...

მზიასა და ზეზვას სიტყვა უსაზღვროდ, უკიდეგანოდ უყვარდათ. ამბობენ, რომ სიკეთესაც თავის ქმნილებებს შორის ყველაზე მეტად ზეზვა და მზია უყვარდა. სიტყვა მათთან მეგობრობდა კიდეც. ცეცხლს მიუსხდებოდნენ და რაზე აღარ საუბრობდნენ. ზეზვას და მზიას ეს საუბრები ხიბლავდათ და სიტყვას სულ სთხოვდნენ - ის ამბავი მოგვიყევი, გუშინ, გუშინწინ, გუშინწინის წინ, წინის წინის წინ და კიდევ წინისწინის წინის წინის წინ რომ გვიამბეო. სიტყვასაც უამრავი ამბის გამეორება უხდებოდა, არადა ახალი საჩურჩულოებიც უთვალვი ჰქონდა, ამიტომაც ზოგჯერ მიატოვებდა ხოლმე მეგობრებს და ხან ალთას წავიდოდა და ხან ბალთას.

ზეზვა და მზია დაღონებულები უცდიდნენ და უცდიდნენ სიტყვას. სიტყვა კი ყოველი დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო გრძელ და ლამაზ ამბავს ყვებოდა. მერე ისევ მიდიოდა. ზეზვას და მზიას უნდოდათ ეს ამბები არ წასულიყვნენ. რაღაც უნდა მოეფიქრებინათ, რადგან ტვინში ჩაწყობილი სიტყვები ხშირად ფრთებს ისხამდნენ და თავისუფლად დაფრინავდნენ. ზოგი შინ აღარც კი ბრუნდებოდა, ზოგიც, მათი შემქმნელივით, ხან როდის მოვიდოდა და ხან როდის, მაგრამ ზეზვას და მზიას მაინც ყველაზე მეტად სიკეთე ენატრებოდათ. როცა ის საჩურჩულოდ მიდიოდა, მზია წუწუნებდა: -აქ რომ იჩურჩულოს, რა, მთები ვერ დაიტევენ მაგის ნაჩურჩულარს თუ ზღვები ადიდდებიან?!

ზეზვა ხვდებოდა, რომ სიტყვა ვერასდროს გაჩერდებოდა. იმასაც კი ფიქრობდა, რომ, თუ სიტყვა სულ ერთ ადგილას დარჩებოდა, პლანეტა-დედამიწა ვერ გაუძლებდა და ჩამოვარდებოდა. მაგრამ მზიას მაინც მხარს უჭერდა და ისიც კარგა გვარიანად ქოთქოთებდა.

ერთხელ, მორიგი დაბრუნებისას, როდესაც კოცონთან ისხდნენ და კოჭას ჩაის ხვრეპდნენ, მზიამ ტვინში დაგროვილი სიტყვები შეკრიბა და გადაწყვიტა რომელიმე გამოეშვა, რათა ახლებისთვის პატარა ადგილი გამოეთავისუფლებინა. ამორჩევაში იყო, როცა უნებურად ადგა, ჯოხს სტაცა ხელი და რაღაც ფიგურების ხატვა დაიწყო. პირველი, რაც მან წაიჩურჩულა, იყო თავად მისი მეგობრის სახელი „სი-ტყვა.“ პირიდან რაღაც ფიგურები გამოფრინდნენ და ქალს ქვიშაზე ჯოხით მათნაირი ფიგურების დახატვა სთხოვეს. მზია ხატავდა ფიგურებს და თითოეულს სახელს არქმევდა. სახელები კი „ს ი ტ ყ ვ ა“-ში შემავალი თითოეული ბგერისგან შედგებოდა.

მერე ზეზვა მივიდა და ეს ქვიშაზე დახაზული ფიგურები ქვაზე გადაიტანა. მას ქვაზე ხატვა კარგად გამოსდიოდა. უკვე დახატული ჰქონდა სპილო და თავისი ბიძაშვილი ჯემალიც, უცნაური ჯოხით ხელში...

ზეზვამ ქვა ყველაზე ლამაზ ადგილას დადო. და მათ ჩაიწერეს, გადაწერეს სიტყვა. მას მერე

მზიას საყვარელ საქმედ იქცა ქვიშაზე გამოკვეთილი ფიგურებისთვის სახელების შერჩევა და დარქმევა. არც ზეზვა ამბობდა მათ გადახატვაზე უარს და სულ მალე უზარმაზარი კოლექცია შექმნეს.

გამოხდა ხანი და მზიასა და ზეზვას შეეძინათ ლილე. გაიზარდა ლილე-გოგო და მასაც მშობლებისნაირად შეუყვარდა სიტყვები. ლილეს შვილს - ცისიას დედაზე კიდევ უფრო მეტად შეუყვარდა ასოები და სიტყვები, რადგან ისინი ბაბუასა და ბებიასთან გატარებულ დროს ახსენებდნენ. თავის მხრივ, ცისია ცდილობდა შვილის, პაპუნასათვის ის სიყვარული და განსაკუთრებული მაგია ეგრძნობინებინა, ასოებს რომ ჰქონდათ.

და პაპუნას შვილს ერქვა ალუდა; ალუდას შვილს ერქვა ვარდო. ეს ის ვარდო იყო, რომლის სახელიც ვარდს ეწოდა და აგერ უკვე მერამდენე საუკუნეა ჰყვავის ბაღებსა და ეზოებში. და ვარდოს შვილს ერქვა ფაცია; და ფაციას შვილს - სულიკო; და სულიკოს შვილს - ჯენეტო; და ჯენეტოსას - ვახტანგი; და ვახტანგის შვილს - აგუნა.

აგუნა ის პირველი კაცი გახლდათ, რომელმაც ვაზი მოიშინაურა, ვენახი გააშენა და ღვინო დაწურა თავის თემში. და აგუნას შვილს ერქვა იმერი; იმერისას - კვირია; და კვირიას შვილს - ჟამიერა; და მისას - უშიშა; და უშიშას ასულს - ნენე; და ნენეს ძეს - წათე. ის მისი წითელი წაღებით იყო სახელგანთქმული. ამბობენ, რამდენიმე წყვილი ჰქონდა და სხვაფერ წაღებს არ ატარებდაო. და წათეს ჰყავდა ჭიაბერი, ხახარე, ცისა. და ხახარეს შვილებს ერქვათ: იჩქით, ეფემია, ჯარჯი, მაჩხო, არჩილი, სანათა; და ჯარჯის ასულს ერქვა იაი. იაი გაზაფხულს დაბადებულა მთაში, ჯერ კიდევ თოვლი რომ არ იყო დამდნარი და მისი სახელი გაზაფხულის მშვენებისთვისაც შეურქმევიათ.

და იაის ასულებს ერქვათ: ცოქალა, ძიძია, სანდუა, ფოთოლა, ზიზი, დუდუხანა. და ზიზიმ შვა კეკე, მოკოდია, ბორენა, ქაცო, ჯარჯი; და ბორენამ შვა უჩა, ქართლოსი, ყვარყვარე, ცისკარა, კესანე, ნუშია, შუშანიკ, სამაია. და შუშანიკის შვილს დაარქვეს გულსუნდა და გულსუნდას შვილებს - ბექთილ, დადაშ, პირიმზე, გორდა, ანზორ, კიწი; და გორდას ძეს უწოდეს ოტია და ოტიასას - დაჩი. ამბობენ რომ დაჩის ზღაპრები ძლიერ უყვარდა და მისი მამა ერთხანს მეზღაპრე იყო. დაჩის შვილს, ალუდას, ერთხელ ხილის დაწურვისას რაღაც მათრობელა შუშხუნა სასმელი გამოსვლია და ლუდი შეურქმევიათ მისთვის მეზობლებს. ალუდას შვილს ამბაკო რქმევია და რაც ამ სიტყვის ეტიმოლოგია გაუგია, მას მერე მოხვევნა მის საყვარელ საქმედ უქცევია. ამბაკოს შვილებს ერქვა ნათელა, კრავია, შოთა. ნათელას ჰყავდა ვაჟია, ხოლო ვაჟიას - ჯემალ და ჯემალს - ვარსქენი, თამრო, ბაბო, გაბო, ნინუცა, გრიგოლი და ამირანი.

და ამირანის შვილს ერქვა გიორგი გრძელი და მისას - მაკარი. და მაკარს ლეთეთიდან ყველაზე მეტად მზიას ამსგავსებდნენ, ვითომ ვინმეს ენახა ან რომელიმე მოლაპარაკეს ახსოვდა. პაპის პაპის პაპის პაპის პაპასაც არ ემახსოვრებოდა. მაკარს მამამ ისე შეაყვარა ასოები, რომ გადაწყვიტა ეს დიდი სიყვარული პროფესიად ექცია, არადა თავიდან ბაბუამისივით ბუხრის მილების წმენდა და მურში გახვევა მოსწონდა. ვინ იცის, იქნებ საწერ საშუალებაში მურის შერევის ტექნოლოგია სწორედ ლეთეთიდან მოდის და ეს პირველად მაკარს გამოუვიდა სრულიად შემთხვევით. იქნებ ასეა, იქნებ არა...! გარკვევას წინ რა უდგას?!

მზიამ და ზეზვამ რაც დაარქვეს ფიგურებს, მას შემდეგ უთვალავმა ზეზვამ და მზიამ გადააკეთ-გადმოაკეთეს სახელები. სხვა მზიებმა ისინი 33 ასოდ აქციეს და ამ ასოებმა უთვალავი სიტყვა შექმნა, აი, იმდენი, პირველი ზეზვა რომ ვარაუდობდა - პირველი სიტყვა თუ ჩურჩულს დედამიწაზე განაგრძობდა, პლანეტას რომ ჩამოვარდნა არ ასცდებოდა. ჰოდა, ეს სიტყვები წიგნებში ჩაიწერეს და წიგნები თაროებზე შემოაწყვეს. და, იქნებ რომელიმეში არის და შენ უნდა იპოვნო და მიაგნო როდესმე ნამდვილ ამბავს, თუ რით, საიდან და როგორ გადაწერა ეტრატზე მაკარი ლეთეთელმა სინური მრავალთავი...

19 ქრისტეშობისთვე 2022 წელი

ეძღვნება ეთერი ჭელიძეს, ჩემს ბებიას, რომელმაც წერა და კითხვა მასწავლა, ხოლო მოგვიანებით ასოებს „ბრიტვით“ მიფხეკდა რვეულიდან.

ეძღვნება ყველა გოგოსა და ბიჭს მანამ, სანამ ისინი სიტყვებს, ჯადოსნურ სიტყვებს შეიყვარებენ, ამ უკიდეგანო სიყვარულში „ზეზვასა და მზიას“ ტრადიციას გააგრძელებენ, სიტყვას ჩაიწერენ.



ბონდო არველაძე
არმენისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

კათალიკოს დომენტი III–ის ეპიტაფიის გამო

ქართველოლოგმა პარუირ მურადიანმა 1988 წელს გამოსცა მონოგრაფია — „სომხური ეპიგრაფიკა საქართველოში“ (რუს. ენაზე). ამ წიგნის ავკარგის განსჯას არ ვაპირებ, მაგრამ მასში დაშვებული ერთი უხეში შეცდომის შესახებ კი შეუძლებელია არ ითქვას. შეცდომა შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსის დომენტი III–ის ეპიტაფიას. დომენტი III ზეობდა 1660–1676 წწ–ში. ამ ხანებში მეფე იყო ვახტანგ I (შაჰნავაზი — 1660–1675). მემატიანის გადმოცემით — „დასუა მეფემან ბიძაშვილი თვისი დომენტი, კაცი ღირსი საყდრისა“[1]. ეს ის პერიოდია, როცა როსტომ–ხანის „წყალობით“ ქვეყანაში მაჰმადიანური ადათ–წესები დაინერგა, რამაც ქრისტიანული რწმენის საფუძვლები შეარყია. ამის შესახებ ვახუშტი გვაუწყებს — როსტომ–ხანის მეფობის დროს: „ზიარება სისხლისა და ხორცისა უფლის ჩუენისა სირცხვილად უჩნდათ, ამან (ვახტანგ V) კათალიკოზის დომენტით კუალად შემოიყუანნა აღსარებად და ზიარებად“[2].

კათალიკოსი დომენტი III იყო მეფის პოლიტიკის განუხრელი გამტარებელი. ენერგიულად მოჰკიდა ხელი საეკლესიო მართვა–გამგეობას, აღწერა და მოაწესრიგა საეკლესიო ქონება. მისი ინიციატივით აიგო „მჭადიჯვრის ცენტრალურგუმბათოვანი ეკლესია, რომელიც ერთადერთი უდიდესია გვიანდელი შუა საუკუნეების ტაძართა შორის“ [2]. მან განაახლა ანჩისხატის „შემუსრული“ ეკლესია, 1675 წელს ააგო მისი სამრეკლო და საკათალიკოსო ტაძრად გადააქცია, დიდი ამაგი დასდო სვეტიცხოველს, შეიძინა ყმა–მამულები და შეწირა ამ ტაძარს. გულანთებული მამულიშვილი ენერგიულად იბრძოდა ტყვეთა სყიდვისა და მაჰმადიანური წეს–ჩვეულებების აღსაკვეთად.

კათალიკოს დომენტი III-ის წყალობით გადაურჩა ანჩისხატი სამუდამო დაკარგვას. ამის შესახებ გვაუწყებს საარქივო დოკუმენტზე დაყრდნობით მოსე ჯანაშვილი: „... გუჯარი 352 (1664 წ.). ამ გუჯარიდამ ჩანს, რომ თბილისის ვაჭარს ამირჯანს და მისთა ზეთა: ზურაბას, მელქომსო და დავით ევანგულაშვილთ მოუტანიათ კეისრის იმპერიიდამ, ესე იგი, საბერძნეთიდამ, 10 ხატი: ანჩისა, მთავარანგელოზისა, იოანე ღვთისმეტყველისა, იოანე ნათლისმცემელისა და სხვ. ამ ხატების შესყიდვა მოუნდომებია კათალიკოზს დომენტი III–ს. მეფის შაჰნაოზის მეზარაფხანეთ ყველა ხატები დაუფასებიათ 1800 მარჩილი (ერთი მარჩილი — სამი აბაზი), ესე იგი, 1080 მანეთად, მაგრამ ევანგულაშვილებს დაუფასებიათ 2000 მარჩილათ და გინა კათალიკოზს ეს ფული არ მიუცია“ [3].

მაგრამ გარიგება მაინც შემდგარა და კათალიკოს დომენტი III–ს ანჩისხატი შეუძენია და დაუსვენებია თბილისის უძველესი საკათალიკოსო ღვთისმშობლის ეკლესიაში. მას ზარის ეკლესიას უწოდებდნენ. ზარის ეკლესიას იმიტომ ეძახდნენ, რომ თბილისში არაბების ბატონობის დროს მარტო ამ ეკლესიას ჰქონდა უფლება ზარის დარეკვისა. ამის შემდეგ, თბილისის ღვთისმშობლის ეკლესიას ანჩისხატის ტაძარი ეწოდა.

როგორც აღვნიშნეთ, კათალიკოსი დომენტი III გარდაიცვალა 1676 წ. დაკრძალულია

სვეტიცხოველში, რომლის დასავლეთის შესასვლელის მარცხენა კედელზე არის კათალიკოს დომენტი III–ის ეპიტაფია:

ბაგრატიონთა ძე
ბატონი კ(ა)თ(ოლიკო)ზი დომენტი. მიიცვალ
ა სეკტენბერის კბ გასულსა,
ქ(რონი)კ(ონჩვ ტნიდ.).

„ბაგრატიონთა ძე ბატონი კათალიკოსი დომენტი
მიიცვალა სეკტემბრის 22 გასულსა
ქორონიკონით 364 1125–1576 წ.“

შემდეგ, გვერდით, გარდაცვალების თარიღი სომხურად არის ამოკვეთილი: (რჭიე).

ამ ეპიტაფიის ქვეშ ამოკვეთილია ოსტატის მოსახსენებელი: „ფრიად ცოდვილის ასლამაზ ყარაშვილის დანაწერია, ვინც წაიკითხოთ, ღ(მერ)თ(მან)...“

კათალიკოს დომენტი III–ის ეპიტაფია პირველად ნახა მ. ბროსემ, მაგრამ ქართული ქორონიკონის გვერდით სომხური თარიღის არსებობის ფაქტი მხოლოდ დააფიქსირა, კომენტარი არ გაუკეთებია [4]. ეს ეპიტაფია მოინახულა სომეხმა სწავლულმა მ. სმბატიანცმა, რომელმაც ამომკვეთი ოსტატი სომხად მიიჩნია [5].

პ. მურადიანი წერს: „როგორც ჩანს, კათალიკოსის წარმოშობა მუხრანიდან, სადაც არცთუ მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ სომხები, მისი კუთვნილება ბაგრატიონების (ბაგრატიდების) გვართან, რომელსაც სომხები მიიჩნევენ თავიანთ ეროვნული ინტერესების მატარებლადაც, ეპიტაფიის შემდგენელს გადააწყვეტინა სომხური თარიღის მიწერაც“ [6]

ეს არის ამ ნაშრომის ძირითადი დასკვნა. ვნახოთ, რა კონკრეტულ ფაქტებსა და წყაროებზე არის იგი დაფუძნებული. ქართველი ბაგრატიონები სომხური ბაგრატიდებისგან რომ დამოუკიდებელი სამეფო გვარია, ეს დიდი ხანია, დამტკიცებულია მეცნიერებაში და ღია კარის მტვრევას არ შევუდგები.

პ. მურადიანმა, „სომხურენოვანი მკითხველი“ რომ მოუძებნოს აღნიშნულ სომხურ თარიღს, აურაცხელი სომხებით გაავსო XVII ს–ის შუა წლებისდროინდელი მცხეთა, მუხრანი და მიმდებარე ქართული სოფლები [6].

ერთ ქართველ მღვდელს, როგორც პ. მურადიანი შენიშნავს — „სომხური თარიღი“ ორნამენტად რომ მიუჩნევია, გაუგებარია, ეს რატომ მოწმობს „სომხურენოვანი მკითხველის“ არსებობას მცხეთაში. პირიქით, ქართველი სასულიერო პირი ვერც წარმოიდგენდა ბაგრატიონის საფლავზე სომხური წარწერის არსებობას და, შესაბამისად, კათალიკოს დომენტი III–ის გარდაცვალების ქორონიკონის გვერდით სომხურ თარიღს. ამიტომ უწოდა მას ორნამენტი.

მარტო საქართველოში კი არა, დედამიწის ზურგზე ანალოგიური ფაქტი არ მოიპოვება. ყველგან ბაგრატიონთა სასულიერო თუ საერო პირების გარდაცვალების ქორონიკონი მხოლოდ ქართულად არის შესრულებული, გამონაკლისს მარტო დომენტი III–ის ეპიტაფია წარმოადგენს და მისგან განმაზოგადებელი დასკვნის გამოტანა სწორი არ არის, რასაც პ. მურადიანი აკეთებს.

ამ ეპიგრაფიის ამომკვეთი ოსტატის ასლამაზ ყარაშვილის გასომხება ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე არ შეიძლება (გვ. 39). ამ გვარის ეტიმოლოგიას თუ მივყვებით „ყარ“ თურქულია და ნიშნავს — შავს. არსებობს მისი შესატყვისი ქართულძირიანი გვარებიც — შავიშვილი, შავიძე და ა. შ. შეადარეთ ყარაჩოხელ — შავჩოხელი). ხოლო თუ ასლამაზ ყარაშვილი ქართველი მონოფიზიტი ჰგონია მურადიანს, ამის საბუთი მას არ წარმოუდგენია და ამიტომ ვერ ვირწმუნებთ. ყარაშვილები არიან როგორც მართლმადიდებელი ქართველები, ისე — ქართული რიტის კათოლიკენი. სახელის მიხედვითაც ძალიან სცდება. ეს სახელი ქართულია და გავრცელებულია საქართველოში. მისგან არის ნაწარმოები ქართული გვარი — ასლამაზიშვილი[7]. მან ასევე ჰაიჰარად გაასომეხა — ბიჭიაშვილი, ჩეკურაშვილი, გაბრიელაშვილი, მუსხელიშვილი [7].

ქართული გვარების სომხურად წარმოჩენა მას სჭირდება იმისთვის, რომ რამენაირად დაამტკიცოს მცხეთაში სომხური

მოსახლეობის არსებობა XVII ს–ის შუა წლებში და ამით გაამართლოს დომენტი III–ის ეპიტაფიაში სომხური თარიღის არსებობა. მართალია, აცხადებს, რომ არ არის ცნობა მცხეთაში VIII–XVIII სს–ში სომეხთა არსებობის შესახებ, მაგრამ ეს არ უშლის ხელს XIX ს–ის მონაცემებით ამტკიცოს, თითქოს ჯერ კიდევ VI–VII ს–ში მცხეთაში სომხური მოსახლეობა იყო. ამისთვის იმოწმებს მ. ბროსეს, რომელსაც 1848 წელს მოუნახულებია მცხეთა. ბროსე წერს: „ქალაქში (მცხეთა) 80 ოჯახი იყო ქართული, ხოლო 40 — სომხური“.

განა იმით, რომ 40 სომხური ოჯახი ცხოვრობდა 1848 წელს მცხეთაში, მტკიცდება XVII ს–ში „სომეხი მკითხველის“ არსებობა?

ეს კიდევ არაფერი, შემდეგ მოაქვს „ქვის გამხეთქავი“ საბუთი: 1851 წელს მცხეთაში ღვთისმშობლის სომხური ეკლესია ყოფილა, მაგრამ არ შემორჩენილა. თუმცა ფოტოგრაფ ს. დარჩინიანს სვეტიცხოვლის ეზოში 1976 წელს უნახავს ქვის ფილა, რომელზეც სომხური და ქართული სააღმშენებლო წარწერა ყოფილა ამოკვეთილიო. ვინაიდან სომხური ქართულის იდენტურია, მოვიტან მხოლოდ ქართულ ტექსტს:

წელსა 1851
გებითა და შეწევნითა ღუთისათა
მე იოსეჰ ოჰანეზას ძე ეიენდიევმან
აღვაშენე ეს ყ(ოვლა)დ და წმინდა ღ(უთ)ის
მშობელისა მოსახსენებელი ჩემი და
მეუღლისა ჩემისა ნინოსი და ჩვენთა
წინაპართა გარდაცვალებულთა, ხოლო შესაწევნად სომეხთა გვართა მცხეთისათა.

ს. დარჩინიანმა ეს ორენოვანი წარწერიანი ქვის ფილა თუ მართლა სვეტიცხოვლის ეზოში ნახა, მაშინ, გამოდის ეს სომხური ეკლესია სვეტიცხოვლის ეზოში იდგა მაგრამ არსად არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში არ დასტურდება სვეტიცხოვლის ეზოში სომხური ეკლესიის არსებობა. ესეც არ იყოს, ქართველთა უძველესი დედაქალაქის და, რაც მთავარია, საკათალიკოსო ტაძრის ეზოში, ბაგრატოვანთა საგვარეულო განსასვენებელთან, სომხურმონოფიზიტური, მკრეხელური ეკლესიის აშენება გამორიცხულია. ამდენად, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ — ეს წარწერიანი ორენოვანი ქვა სპეციალურად არის მიტანილი გასაგები მიზეზით სვეტიცხოვლის ეზოში. ეს სავარაუდოა მოხდა XIX ს–ის შუა ხანებში, როცა სომეხთა გარკვეული რაოდენობა ჩანს მცხეთაში.

პ. მურადიანს დამოწმებული აქვს, აგრეთვე, თურქი ავტორი გურჯიზადე, რომელიც წერს: „როცა იბრაჰიმფაშას აცნობეს, რომ აბუმუჰამედყულიხანი გამგებლად დასვეს, განჯიდან თბილისისკენ მოაბრუნა სადავე, დამორჩილებულ და დაქვემდებარებულ სომეხთა ტომიდან 3000 რეია წამოიყვანა და დაასახლა თბილისში“. [8] მკვლევარი ცისანა აბულაძე შენიშნავს: „ეს ცნობა სხვა წყაროებში ვერ დავადასტურეთო“ . მაგრამ პ. მურადიანს ეს არ ადარდებს, მთავარია, მან სასურველ ინფორმაციას მიაგნო, ნამდვილია თუ ყალბი, ამას არ დაგიდევთ. „რეიათი ერქვა ყველა მიწერილ გლეხს XVII ს–ის შუა წლებიდან, რეიად იწოდებოდნენ მხოლოდ არამაჰმადიანები“ (გვ. 71). ეს ხდება XVIII ს–ის 30–იან წლებში. ამ საეჭვო ცნობაში ლაპარაკია სომეხთა გადმოსახლებაზე თბილისში. რა შუაშია მცხეთა?

კიდევ მეტი. მან ერეკლე II–ის დროინდელი მთელი ქართლი სომხებით გაავსო, რათა „სომხურენოვანი მკითხველი“ მოუძებნოს ხსენებულ სომხურ თარიღს. მაგრამ წყაროები სხვას მეტყველებენ. მაგალითად, „მუხრანის ნაჰიე 1728 წლის დიდი დავთრის“ მიხედვით XVII ს–ის დასასრულისა და XVIII ს–ის დასაწყისში მუხრანსა და მის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებთა სახელების 90 პროცენტი ქართულია [9]. ე. ი. მცხეთა და მის ირგვლივ მდებარე სოფლების მოსახლეობას „სომხური“ კი არა, ქართული ყოფილა.

პ. მურადიანს ბოლოს დამოწმებული აქვს XVIII ს–ის დასასრულისა და XIX ს–ის დასაწყისის ფრიად საეჭვო რეპუტაციის ავტორი არტემ არარატიანი, რომელიც წერს: „აღამაჰმადხანის ურდოებმა (1795) „ცხეტა“ სულ გადაწვეს, ააოხრეს, ხოლო სასულიერო პი-

რებმა გაქცევით უშველეს თავსო [10]. ბევრი კვლევა–ძიება არ არის საჭირო, რომ არტემ არარატიანის ამ ცნობით არ მტკიცდება „სომხურენოვანი მკითხველის“ არსებობა მცხეთაში, თუმცა პ. მურადიანი მაინც ცდილობს XVIII ს–ის 70–იანი წლების მცხეთაში სომეხთა მოუხსენებლობა გაამართლოს იმით, რომ თითქოს მცხეთა „დაბა“ იყო. ვეკითხები მას: სხვა დაბები თუ არის აღნუსხული „დემოგრაფიულ უწყებებში“ — სურამი, ხაშური, მცხეთამ რა დააშავა?

საქმე ისაა, რომ მცხეთაში არ იყო „სომხურენოვანი მკითხველი“ (აქ არ ცხოვრობდნენ სომხები). ამიტომ არ არიან აღნუსხულნი და არა იმიტომ, რომ დაბა იყო. მაგრამ ამის აღიარება მურადიანს არ უნდა, რადგან მის „თეორიას“ მაშინ საფუძველი ეცლება. მის ამ მანიპულაციას მეცნიერებაში ეწოდება — ფაქტების ტენდენციური ანალიზი. უფრო ზუსტად, ფაქტებზე ძალდატანება ჰქვია, რასაც ობიექტური, აკადემიური მეცნიერი არავითარ შემთხვევაში არ იკადრებს.

მაგრამ უფრო დიდი სიურპრიზი წინ გველოდება. პ. მურადიანი წერს: „იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა იმ წლებში მცხეთაში და როგორ ვერაგულად მოიქცა კათალიკოსი დომენტი III, დაწვრილებით მოგვითხრობს აბრაამ ერევანცი“.

კათალიკოს დომენტი III–ის უანგარო მოღვაწეობასა და მამულიშვილობაზე უკვე ვილაპარაკე და აღარ გავიმეორებ, მხოლოდ ვიტყვი: „კათალიკოს დომენტი III–ს მურადიანისეული დახასიათება, თითქოს „მოღალატურად“ დაიკავა საკათალიკოსო ტახტი, გაუგებრობაა. და აი, რატომ — პ. მურადიანი ერთმანეთში ურევს კათალიკოს დომენტი III–სა და კათალიკოს დომენტი IV–ს.

კათალიკოს დომენტი IV–ს (1705–1741) მართლაც არაერთი დანაშაული ჩაუდენია მისი ძმის, მეფე ვახტანგ VI–ის მიმართ. ამაზე მოგვითხრობს არა მარტო აბრაამ ერევანცი, არამედ ქართული წყაროებიც.

აბრაამ ერევანეცი (XVIII) მოგვითხრობს: „მაჰმადყულიხანი, რომელიც ლეკეთს გადავიდა, იქიდან წამოიყვანა ექვსი ათასი მეომარი, ხელმეორედ თავდასხმის დროს, 1713 წლის მაისში, კათოლიკოსის (დომენტი IV - ბ. ა.) დახმარებით ადვილად აიღო ქალაქი“[11]. ამ ღალატის საფასურად მაჰმადყულიხანი კათალიკოსს, დომენტი IV–ს კახეთის მხარის მიცემას წერილობით დაჰპირებია.

დომენტი IV–ს მეფე ვახტანგ VI–თვის ადრეც უღალატნია. 1713 წელს, როცა შაჰის მიერ თბილისში გამოგზავნილ იქნა ვინმე ხოლოფა, რათა შეერჩია მეფობის კანდიდატურა, დომენტი IV–ს თავის მომხრეებთან ერთად ვახტანგ VI–ის საწინააღმდეგო პოზიცია დაუკავებია.

კათალიკოს დომენტი IV–ს ცოლის შერთვა მოუსურვებია და სამეფო ტახტის მოპოვების მიზნით გამაჰმადიანებაც მოუნდომებია, რასაც მოჰყოლია მამამისის უკმაყოფილება, ამიტომ, იძულებული გამხდარა, განზრახვაზე ხელი აეღო [12].

კათალიკოს დომენტი IV–ის მძიმე დანაშაულზე მიანიშნებს ვახუშტი: „შეიპყრა სვიმეონ კათალიკოსმა (დომენტი IV — ბ.ა.) ზაკვით და წამოუვლინა ბაქარს, რათა აღმოხადოს თუალნი“ [13]. რუსუდან დედოფლის წყალობით კათალიკოსი სასჯელს გადარჩენილა.

მიუხედავად აღნიშნულისა დომენტი IV აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსია 1705–1741 წლებში. მას გარკვეული სამეცნიერო და საგანმანათლებლო სამუშაო ჩაუტარებია — შეუკრებია ქართული საერო და საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრება–წამების აღწერილობანი და შეუდგენია ჰაგიოგრაფიული კრებული; აგრეთვე შეუგროვებია ილარიონ ქართველისა და სხვათა საგალობლები. დომენტი IV–ს საკუთარი ხარჯით შეუსრულებია სვეტიცხოვლის, ანჩისხატის, მეტეხისა და სხვა ეკლესიების სარესტავრაციო სამუშაოები [14].

პ. მურადიანმა ეს ორი კათალიკოსი — დომენტი III (1166–1675) და დომენტი IV (1705–1741) ერთმანეთში რომ აურია, არ ვიცი, უცოდინრობით მოუვიდა თუ საკითხის მისთვის ჩვეული ზერელე კვლევის გამო, მაგრამ შედეგი ერთია — საქმე გვაქვს უხეშ შეცდომასთან. მას ამ შეცდომაზე აქვს აგე-

ბული ხსენებული ნაშრომი. აქედან გამომდინარე, მისი აღნიშნული დასკვნებიც უსაფუძვლო და მიუღებელია.

ვფიქრობთ, კათალიკოს დომენტი III–ის გარდაცვალების ქართული ქორონიკონის გვერდით სომხური თარიღი (იმავე 1676 წ. იმეორებს) შემთხვევითია. როგორც აღვნიშნეთ, ბაგრატიონთა სასულიერო თუ საერო პირების გარდაცვალებათა ქართული თარიღების გვერდით არცერთი უცხოენოვანი თარიღი არ დასტურდება და მათ შორის — არც სომხური.

ეს სომხური თარიღი გამონაკლისია. ასოთა მოხაზულობის მიხედვით, ასლამაზ ყარაშვილი მისი ამომკვეთი არ არის. იგი მოგვიანებით ვიღაც სომეხი ოსტატის მიერ არის შესრულებული. ეს, ალბათ, მოხდა XIX ს–ის შუა წლებში, როცა მცხეთაში სომეხთა გარკვეული რიცხვი ჩნდება. ეს კი სომეხთა მხრიდან მოულოდნელი არ არის. ანალოგიური ცუღლუტური ფაქტების მოტანა შეიძლება არც თუ მცირე რაოდენობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება // ქართლის ცხოვრება / ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. IV. - თბ., 1973. - გვ. 161.
2. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა // ქართლის ცხოვრება / ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. IV. - თბ., 1973. - გვ. 301.
3. ჯანაშვილი, მ. ანჩისხატის ეკლესია. 1 მარტი // დროება. – 1884. - 18 აპრ. (№ 83). - გვ. 1-3.
4. Brosset, M._F. Rapports sur un voyage archeologique dans is Georgie et dans l'Armenie, II-I St. – Peterburg, 1850 ciguieme, rapport. - გვ. 31.
5. გეღაქუნის (ახლა ეწოდება ახალი ბაიაზეთი) მაზრის „მაცნე“. - ეჯმიაწინი, 1896. - გვ. 368 (სომხ. ენაზე).
6. Мурадян, Паруйр. Армянская эпиграфика Грузии. – 1988. - стр. 30.
7. ახუაშვილი, ი. ქართული გვარ–სახელები. - თბ., 1994. - გვ. 570.
8. გურჯიზადე. თბილისის დაპყრობის წიგნი / თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ. - თბ., 1975. - გვ. 51
9. შენგელია, ნოდარ. მუხრანის ნაჰიე 1728 წლის თბილისის დიდი დავთარი // კრებ. „სამეცნიერო პარადიგმები“. - თბ., 2000. - გვ. 521–544.
10. Жизнь Артемия Араратского, издания подготовил К. М. Григорьян при участии Р. Орбели. - М., 1981. - с. 102.
11. აბრაამ ერევანცი. ომების ისტორია / სომხურიდან ქართულად თარგმნა და შენიშვნები დაურთო ლიანა დავლიანიძემ. - თბ., 1976. - გვ. 8.
12. დონდუა, ვ. ვახტანგ VI–ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712–1745) // საისტორიო ძიებანი. – ტომი I. – 1967. - გვ. 152.
13. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა // ქართლის ცხოვრება / ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. ტ. IV. - თბ., 1973. - გვ. 49.
14. საქართველოს კათალიკოს–პატრიარქები / რედ.: როინ მეტრეველი. - თბ. : ნეკერი, 2000. - გვ. 117–119.

ერეკლე მეორის სტამბა და პირობის წიგნი

ლია გიგაური

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კახეთისა და შემდგომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე, ერეკლე მეორე, თავის ქვეყანაში მეტი სინათლისა და განათლებისაკენ მიმსწრაფი, მარტყოფელ ქრისტეფორე კეჟერაშვილს - კარის მღვდელს ტიპოგრაფიის შესასწავლად პალესტინაში (კერძოდ, იერუსალიმში) აგზავნის. იგი იმ ავბედით ხანაში, ბრძოლათა ქარტეხილებში, პირდაღებული ირანისა და ოსმალეთის „კბილთა ღრჭენაში“, იმაზე ოცნებობდა, რომ მანამდე აყვავებული და მისი პაპის, ვახტანგ მეექვსის, დროს „გამეცნიერებულ“ საქართველოში წიგნიერება კვლავ ტრადიციად ექცია და კიდევ უფრო განემტკიცებინა. მეფე ერეკლე ევროპული განვითარებისა და გზის მაძიებელი, კათოლიციზმის შემწყნარებელი, მისიონერთა მოღვაწეობის დამფასებელი, მათ მიერ გახსნილი ქსენონებისა და სკოლების ხელშემწყობი იყო.

ერეკლე მეორის თანამედროვე და მისი ნათესავი კათალიკოსი ანტონ პირველი მაშინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს კულტურული ვითარების შესახებ წერს: „ეკლესიის ხატთათვის ნებითა ღვთისათა მხატვრები არიან და წიგნთათვის სტანბა არის და სხვა სახმარიც ხომ ყოველივე იშოვება ამავე ჩვენს საბძანებელში“. იგი ერეკლე მეფეს „წიგნთა საბეჭდავის ორჯერ მაახლად“ მოიხსენიებს. მწიგნობრობა ხომ სტამბაში დაბეჭდილი წიგნებით იწყებოდა. სტამბის ორჯერ განმაახლებელი მეფე კი იმას ნიშნავდა, რომ ერეკლეს ვახტანგისეული სტამბა ორჯერ ჰქონდა განახლებული, პირველად, 1750-51 და, მეორედ, 1762-63 წლებში. წიგნები იბეჭდებოდა „ბძანებითა მეფისა და კურთხევითა კათალიკოზისა“. ამგვარად, ღვთივ გასხივოსნებული მოქმედება იმთავითვე მეტად სასარგებლო და კაცთა ბუნების განმასპეტაკებელ საქმიანობად ითვლებოდა.

„რადგანაც ქალაქი ესე (ტფილისი) რყევასა შიგან ყოფილი შერევნისაგან მტერთასა, რომელთაც მიზეზითა საქმისა ამის (სტამბის - ლ.გ.) მოქმედება დაყენებულ იყო მრავალჟამ, ამისათვის ნივთნი და შესამკობელნი სახმარნი მოძღურისა ამის (უნგროვლახელის - ლ. გ.)

ერეკლე მეორე

შეცვალებულ იყვნენ და გახრწნასა მიწევნულ“. აქ საუბარია იმ სტამბაზე, რომელიც ვახტანგის დროს, კერძოდ, 1708-1709 წლებში დაარსდა და, რომელშიც 1723 წლამდე სულ 19 დასახელების წიგნი დაიბეჭდა. თურქთაგან სტამბის იავარქმნის შემდეგ მისი აღდგენა-აღორძინების საქმეს ერეკლე მეფემ მოჰკიდა ხელი. მეომარი და ცხენიდან ფეხჩამოუდგმელი მეფე სტამბისთვის არაფერს იშურებდა. წიგნები კი იბეჭდებოდა, მაგრამ არა „ევროპიული“ ხარისხის. ოსტატობა და ხელოვნება, პროფე-

სიული სრულყოფა აკლდათ ქართველ მესტამბეებს. მოწყობილობებიც მოძველებული და უმეტესწილად დაჟანგული იყო (ხშირი თავდასხმებისა და აოხრებების შედეგად მიწაში არაერთხელ დამარხული და ამგვარად გადამალული თუ ომიანობის ჟამს კაცთაგან ისედაც გაძარცვული სასტამბო იარაღები ადვილად გამოდიოდა მწყობრიდან). შემოსეული მტერი კი პირველად მწიგნობრობის კერას აოხრებდა ქვეყანაში სიბნელის დასათესად. აი, ასეთი ფიზიკური თუ სულიერი ჟამიანობის უმძიმეს პირობებში ცდილობდა მეფე ერეკლე განსწავლისა და მწიგნობრობის ჩირაღდნის ანთებას. ამის დასტურად გამოგვადგება წერილი, რომელიც ქართველ მეფეთა მუშრიბს, დავით ყორღანაშვილს, თავად ციციანოვისთვის მიუწერია 1803 წელს: „მეფემ ირაკლიმ ტფილისში სტამბის კარგათ გამართვა და მუშაობა რომ მოინდომა, თეთრი და კაცი გაგზავნა და სტანბოლიდამ სტამბის ოსტატი მოაყვანინა. ზოგი იარაღები და ნივთები თან მოიტანა (ოსტატმა - ლ. გ.) და ფასი მეფეს გამოართვა. რაც იარაღები და ან ნივთები უნდოდა და ან სახლები, ფიცრები, ტყავი თუ ქაღალდი, მეფემ თავისი ხარჯით გააკეთებინა. ამას გარდა, ზოგიერთი სტამბის იარაღი ძველთას მეფის ვახტანგის დროსი და ზოგი კიდევ მეფის თეიმურაზის და მეფის ირაკლის დროს პირველ წელიწადებში ნამუშევრებისა იყო დარჩომილი, ისინიც მოვიტანეთ და იმხანად სტამბას მართვა დაუწყევით...“

სტამბა ჯერ ანჩისხატის ეზოში, საპატრიარქო სასახლეში იყო, ხოლო შემდეგ (სავარაუდოდ, 1763 წლიდან) სამეფო ეზოში. მე-18 საუკუნის 80-იან წლებში ერეკლე მეფემ ახალი შრიფტი ჩამოასხმევინა და სტამბის მოსაწყობად ოსტატი კონსტანტინოპოლიდან გამოიხმო. თანაც, თავისი კარის მღვდელი, ზემოხსენებული ქრისტეფორე კეჟერაშვილი, სასტამბო საქმის სასწავლად იერუსალიმს მიავლინა. თუკი ვახტანგ მეექვსის დროს უნგროვლახელ ტიპოგრაფს ქართულისა არაფერი გაეგებოდა, ხოლო მის ქართველ მოწაფეებს კი - სტამბისა, ერეკლე მეფის დროს ვითარება სხვაგვარად შეიცვალა და უცხოეთიდან მოწვეულ ოსტატს ადგილობრივი ახალგაზრდა მოწაფეების განსწავლაც დაევალა. ერეკლეს განზრახვით, მას ტიპოგრაფიის საქმის მცოდნე ქრისტეფორე კეჟერაშვილიც უკვე



პირობის წიგნი. 1781 წელი

მომზადებული უნდა დახვედროდა, რათა შემდგომში სტამბას გამართულად ემუშავა.

ძველი სტამბის განახლების მაძიებელ ერეკლე მეორისთვის ვინმე „ბერძენთა ნათესავს“ მელიტონს მოუხსენებია, რომ „საძიებელი ეგე შენი ვერა სადა იპოო, უკეთუ არა დიდსა პოლისსა შინა“. ერეკლემ მყის მოსწრაფებით და ანაზდიჩქითობით წარგზავნა მოხსენებულივე იგი კაცი...მელიტონ მიმართ პოლისისა. მან აქ მონახა ხელოსნები, რომლებმაც შემდეგ, ერეკლეს საფასეთა წარსაგებლით, გააკეთეს ახალი სტამბა ტფილისში 1781-1782 წლებში.

თვით კონსტანტინოპოლელი ხელოსანი გვაუწყებს, რომ მას ძლიერ უქეს მეფე თავისი მწყალობელი ბუნებით და დიდძალი ფულის შეთავაზებით და ფიცით მაიძულესო, რადგან მე ძალიან მიმძიმდა ჩემი ოჯახობის, საქმის (წიგნის ბეჭდვა - ლ. გ.) მიტოვება. „შუამდგომლად აიყვანეს ჩვენი ნათესავი ჰაოსიანთა. პატრიარქი ყოვლად ღირსი ზაქარია და არხიმანდრიტი ანტონიოსისა და ბერძნისა მელიტონისა დაძალებით, როგორც იქნა თავს ვიდევი წარმოსვლაი“...

ხელოსანს 13 თვის განმავლობაში აუშენებია სტამბა (სასოწარკვეთილებას მისცემიან სასულიერო და სამეცნიერო პირები, მაგრამ, ერეკლე მეფის შიშით, ვერაფერი გაუბედავთ.) თავის სტამბაში ხელოსანს გაუკეთებია „ქართისაი პირი“ და „შესხმა ახლისა წიგნთსაბეჭდავისა“, „ვითარ გემოს ხილვად ახლისა ბეჭდისა“, სადაც გამოთქვამს სტამბის „განკეთილოვნების“ იმედს. ერთი ამ საქმის თანამედროვე სახელმწიფო მოხელის გადმოცემის თანახმად, სტამბის კეთილმოწყობა მეფეს 20000 მანეთი დასჯდომია. კონსტანტინოპოლელ მესტამბეს თან ჩამოუტანია ზოგი სასტამბო იარაღი, ზოგიც თბილისში სამეფო სახელოსნოებში დაუმზადებია (ასევე გამოუყენებიათ ვახტანგისეული თეგის ვარგისიანი მოწყობილობები).

ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი და საგულისხმო. ვინ იყო ეს „ბერძენთა ნათესავი“ მელიტონი, რომელიც ასე თამამად მიმართავს მეფეს? საიდან ან ვის მიერ გაიცნო იგი მეფემ? რატომ ჩქარობდა მეფე („მყის მოსწრაფებითა და ანაზდიჩქითობით“) სტამბის გამართვას, თუკი მან აქამდე ორჯერ მოახერხა მისი განახლება? რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო ერეკლე მეფისთვის სტამბის დანიშნულება და მნიშვნელობა, როცა ისედაც მატერიალურად „გულშეღონებული“ ქვეყნის მეთაურს „დიდძალი ფულის შეთავაზება“ უხდებოდა ამ საქმის მცოდნე გადამთიელი კაცისთვის. სასოწარკვეთილებას მიეცნენ სასულიერო და სამეცნიერო პირებიო,- წერს მემატიანე. არც ეს არის გასაკვირი, რადგან თავის ქვეყანაზე გულშემატკივარმა მამულიშვილებმა კარგად იცოდნენ, თუ რამდენად ძვირი დაუჯდებოდა მტრებთან მეომარ ქვეყანას სტამბის აღდგენითი საქმიანობის დიდხანს გაგრძელება.

ზემოაღნიშნულ საკითხებსა და კითხვებს ზედ ემატება კიდევ სხვადასხვა დარგის მეცნიერთა და ისტორიკოსთა განსხვავებული შეხედულებები. აკად. პაატა გუგუშვილი სარგებლობს ა. ცაგარელის ნაშრომით - „ცნობები ქართული წერილობითი ძეგლების შესახებ“, ხოლო ზაქარია ჭიჭინაძე წიგნში „ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღოღობერიძე და ქართული სტამბა (1627-1913)“ სტამბის აღდგენის საქმეში კონსტანტინოპოლიდან გამოხმობილ ძმებ პოღოს და ტერ დავით ოჰანეზოვებს ასახელებს. საიდან, რომელი წყაროდან აქვს ზ. ჭიჭინაძეს აღებული ეს ინფორმაცია, არ ჩანს.

თუ სომხურ წყაროებს გადავხედავთ და პოღოს ტიპოგრაფის ისტორიას გავეცნობით, ვნახავთ, რომ მე-18 ს.-ის მეორე ნახევარში იგი, მართლაც, მოღვაწეობდა ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქში. მოხსენიებულია, როგორც პოღოს არაპიანი, ოვანესის შვილი, საიდანაც მომდინარეობს მისი სახელდებაც პოღოს ოვანესიანად. მამამისი ოვანეს ასტვაწატურიანი ასევე ტიპოგრაფი იყო და შვილს მან შეასწავლა ბეჭდური საქმის ტექნიკა და საიდუმლოებანი. პოღოსი შემდეგში ისე დახელოვნებულა თავის პროფესიაში, რომ მას „სომეხ გუტენბერგს“ უწოდებდნენ. ისტორიაში მოხსენიებულია მთელი მისი ოჯახი, განსაკუთრებით, მისი ოთხი ვაჟი, რომლებიც ამ სფეროში მასთან ერთად იღვწოდნენ, თუმცა ძმების შესახებ ბევრი არაფერია ნათქვამი. პოღოს არაპიანს მიაწერენ აგრეთვე ქართული და თურქული ბეჭდური ასოების ჩამოსხმის ფაქტსაც და მას ამ ენებზე პირველი შრიფტის შემქმნელად მიიჩნევენ. იგი იმდენად მნიშვნელოვანი და პროგრესული ფიგურა იყო, რომ მისი საქმიანობით ოსმალეთის სულთანი მაჰმუდ მეორე პირადად დაინტერესდა და მას შემდეგ, რაც პოღოსი კონსტანტინოპოლში დაბრუნდა, მას დაავალა თურქული ასოების ჩამოსხმა ახალ წესზე და სულთნის სტამბის ზედამხედველადაც დანიშნა.

თუმცა პირველობა, ამ მხრივ, მაინც ერეკლე მეფეს ეკუთვნის. მან ყველას დაასწრო და სომეხი ტიპოგრაფი თბილისში მოიწვია ძველი სტამბის აღსადგენად და გასაახლებლად, რადგან, როგორც ზაქარია ჭიჭინაძე წერს, „ამ დროებაში დაიხოცნენ ყველა ის ოსტატნი, რომელნიც ვახტანგ მეფის სტამბის დროიდან განაგებდნენ, ამიტომ მათ მაგიერ სხვა ხელოსნები გამოვიდენ.“

მართალია, სომხურ წყაროებში ზოგან პოღოსის ეჩმიაწინში ჩასვლის თარიღად მე-18 ს.-ის 70-იან წლებს მიიჩნევენ, თუმცა ჩვენ ეს ამბავი, ზოგიერთი სომეხივე მეცნიერის მსგავსად, ანაქრონიზმად მიგვაჩნია. განუწყვეტელი მიმოსვლა (მით უმეტეს, იმ დროში) საშიშროებასთან ერთად დიდძალ თანხებთანაც იყო დაკავშირებული. თანაც, პოღოს არაპიანს სულთნის სტამბასთან ერთად საკუთარი სტამბაც ჰქონდა და ეს საქმე დიდ დროსა და

ენერგიას მოითხოვდა. ერეკლე მეფეს მარტო მისი „გამოპატიჟება“ 8000 დრაჰკანი დაუჯდაო,- ამბობენ სომეხივე ისტორიკოსები და ძალიანაც უკვირთ,- ეს იმ დროისთვის უზარმაზარი თანხა იყოო.

სტამბა ეჩმიაწინში, მართლაც, დაარსდა გრიგოლ განმანათლებლის სახელზე 1771 წელს (1772 წელს სტამბა უკვე მუშაობას შეუდგა) კათალიკოს სიმეონ ერევანცის (1763-1780) ღონისძიებითა და მადრასში მცხოვრები ჯუღელი გრიგოლ ხოჯაჯანიანის ხელშეწყობით. ასევე, კათალიკოსის თანხმობითა და იმავე ადამიანის დახმარებით, 1776 წელს სტამბას მიუშენეს ქაღალდის ქარხანა. სტამბის დაარსების შესახებ მის შესასვლელში არსებული წარწერაც გვაუწყებს. ასე რომ, სომხური სტამბის დაარსების მიწერა პოღოს ოვანისიანისთვის საფუძველშივე ბათილდება. ამ შემთხვევაში მისი სახელი აუცილებლად იქნებოდა წარწერაში მოხსენებული.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ კათალიკოს სიმეონ ერევანცის დროს პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის მეზობელ ქვეყნებთან ერევნის სახანოსა და ქართული სამეფო-სამთავროების მხრიდან საგრძნობლად შეიცვალა. კათალიკოსს კარგი პიროვნული ურთიერთობები ჰქონდა ოსმალეთთან, სპარსეთთან (ერევნის სპარსული სახანოდან გამომდინარე) და მეფე ერეკლესთან. თუ მანამდე ოსმალეთი აქტიურად ერეოდა კათალიკოსის არჩევის საქმეებში, სიმეონის ძალისხმევით, ამ საქმეებში ჩარევა ირანული სახანოსა და ერეკლე მეფის ხელში გადავიდა. კათალიკოსი ყველა და, მეტადრე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებს, უპირველესად, ქართველთა მეფეს ეკითხებოდა. ამიტომ იყო, რომ შემდეგშიც ეჩმიაწინის კათალიკოსების ეს ტრადიცია გაგრძელდა.

1780-83 წლებში (ქართული შრიფტის გამზადებისა და სტამბის აღდგენის შემდეგ) პოღოსი გარკვეული ხნით ცხოვრობდა აგრეთვე ეჩმიაწინში და სტამბის საქმიანობაში, მის დახვეწაში თავისი წვლილი შეიტანა (კათალიკოს ლუკას კარინეცის (1780-1799) დროს). თუმცა ლუკას კარინეცის ისტორიაში (სომხური ისტორიის დივანი, 1894), იქ, სადაც საუბარია სტამბის განახლებაზე, პოღოსის სახელი არ ჩანს, ვერც კონდაკებში მივაკვლიეთ მის ხსენებას. თუმცა კათალიკოსი ერეკლესადმი მიწერილ ერთ-ერთ კონდაკში ძალიან აქებს მას, მის განახლებულ სტამბასა და იქაურ გამოცემებს.

ზაქარია ჭიჭინაძე პირველ ასოთამწყობთა და მბეჭდავთა შორის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასახელებს სტამბოლიდან მოსულ მესტამბეს, ამომწყობსა და მბეჭდავს, რომელიც მეფის თხოვნით მოვიდა თფილისში 1780 წელს“ და ტერ დავით ოჰანეზოვს, რომელიც „პოღოსის ძმა, სახლი კაცი“ ჰგონია. „ ესეც სტამბოლიდან მოვიდა თფილისში 1780 წელს. ეს ორი პირი მეფისთვის სტამბოლიდან ბერძენთ მელიტონმა მოიყვანა და მეფეს ეახლნენ. მალე ქართული ენაც შეისწავლეს და 1781 წლისთვის ძველი სტამბაც განაახლეს. ეს იყო იმ დროს მეორე სტამბა თბილისში, სადაც ეს სტამბოლელი სომხები შრომობდნენ. იქ ამათ ქართულ ენით მალე წერა დაიწყეს და 1782 წელს გამოსცეს ამ განახლებული სტამბის ისტორია, სადაც აქებენ დიდათ მეფე ერეკლეს. ეს წიგნი გაზეთის მსგავსად არის დაბეჭდილი.“

იმ პირობის წიგნში, რომელიც პოღოს ვარპეტსა და ერეკლე მეფეს შორის დაიდო 1781 წელს, არაფერი წერია პოღოსის ძმაზე ან სახლიკაცზე - დავითზე. აღნიშნული წიგნის სომხური ნაწილის ორიგინალი და ფოტოპირი მოვიძიე ერევნის მატენადარანის საარქივო განყოფილების „მაცნეში“ და, ამასთან, გავეცანი სწორედ ამ ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებულ ა. ადამიანის სტატიას „ქართველთა მეფე ერეკლე მეორისა და ტიპოგრაფ პოღოს ჰოვჰანისიანის პირობის წიგნი“.

ცნობილია, რომ არსებობს ერეკლე მეფისა და პოღოს ოვანისიანის ხელშეკრულების ორი პირი - ერთი შედგენილია სომხურასოებიან თურქულ, ხოლო მეორე სომხურ ენაზე. პირველ მათგანს ხელს აწერენ მეფე ერეკლე და ასევე მოწმეები, რომელიც დადასტურებულია მეფის ხუთენოვანი (ქართული, სომხური, ლათინური, ბერძნული და თურქული) ბეჭდით, ხოლო მეორე (სომხურ) ვარიანტს ხელს აწერს პოღოს მწიგნობარი ოვანისიანი და დამტკიცებულია სომხურ, რუსულ, თურქულ და ბერძნულ ენებზე დაწერილი სახელებიანი ბეჭდით. ამ უკანასკნელს ხელს აწერს აგრეთვე ორი მოწმე ბერძნული ხელმოწერით.

ა. ადამიანი თავის სტატიაში გვიყვება პოღოს ვარპეტის ოჯახობის დამსახურებაზე

ქართული, თურქული და სომხური ტიპოგრაფიების დაფუძნებისა თუ განახლების საქმეში და აღნიშნავს, რომ „ვარპეტ პოღოსმა სომხური ტიპოგრაფიის აღორძინების საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა. მისი პაპა, მამა, ძმები, ვაჟიშვილები და კიდევ რამდენიმე ნათესავი ამ საქმით ყოფილან დაკავებული.“ მისი სიტყვებიდან გამომდინარე, თუკი მთელი სანათესაო ამ საქმეს მისდევდა, ადვილი შესაძლებელია, რომ მას თან ხლებოდა რომელიმე მათგანი, რომელსაც თვითონ ოსტატი მსახურად მოიხსენიებს.

ზემოაღნიშნული „პირობის წიგნის“ უკეთ გასაცნობად გადავწყვიტე, მეთარგმნა მისი სომხური ვარიანტი და ასე შემომეთავაზებინა თქვენთვის. მით უმეტეს, რომ მისი სხვა ქართული თარგმანი არ არსებობს. თანაც, ვცადე თარგმანის ენა მე-18 საუკუნის მწიგნობრული ენისთვის მიმემსგავსებინა.

„შეწევნითა ღვთისაითა იქმნა ესე წელსა 1781-სა (ათას შვიდას ოთხმოცდაერთსა), მაისის 23-სა კონსტანტინოპოლს.

ძალითა ამ პირობის წიგნისაითა, რაიცა მიეცა მას თიფლისს მჯდომი ქრისტესგვირგვინოსანი ქართველთა მეფის ერეკლეს ბძანებითა და ბეჭდით იმაზედ, რომ მე, ქვემორე ხელისმომწერი მესტამბე პოღოს მწიგნობარი აღნიშნულსა წელსა ამავე მაჰტესი მელიტონისა და ერთისა ჩემისა მსახურისა თანა წარსვლად ვარ დედაქალაქსა თიფლისს მისი უდიდებულესობის ფერხთა წინაშე იქ ჩემი ტიპოგრაფიის დასადგენად, ასოთა ქართულისა ენისათა ჯერ ხეზე ამოსატვიფრად, შემდეგ სპილენძის ფორმაში გამოსაყვანად და იქიდან ტყვიასა შიგან ჩასასხმელად, რათა რაგინდა რა წიგნი მთხოვონ, ასოები ისე მექნას გაწყობილი უკეთესის ხარისხის მურითა და ზეთითა, რომ ყოველსა წიგნსა გავმართავ ყოვლითა ხელოვანებითა ტიპოგრაფიისათა და რაოდენიცა გინდა მოწაფე მომცენ, უშურველითა გულითა ვასწავო ყოველგვარი ხელობანი და იდუმალნი გზანი ტიპოგრაფიისანი, რაითამცა არა დავიტოვო რა ჩემთვის და მუნამდის არა დაუტევო ისინი, ვირე არ გაიწაფების თითოეული შეგირდი და არ დადგების მარჯვე ხელოსნად. გარდა მცენარეულ-ყვავილოვნისა და სურათხატოვანის ორნამენტებისა, აგრეთვე წითელისა მელნითა გაწყობილი ასომთავრულისა ასოებისა და სათაურებისა, რამეთუ არა ხელმეწიფების მცენარეთა და სურათოვანთა ორნამენტთა ჭრა და შერევნა წითელისა მელნისა. თუცა არცა სხვა ერთა ასოთა ამოტვიფრისა და მათი დასწავლისა მოვალე ვარ, არა თავს ვიდევ ეგევითარი სწავლანი. გარნა თუ სათხოვარსა მთხოვენ და ღვთით შევიძლებ საქმესა ამას, უცხოთა ასოთა ამოტვიფრასაც ვიზამ და ყოველსა ღონეს ვიძიებ ამა საქმისა გულისათვის, თუ დროიცა იქმნა, რამეთუ დროსა დიდსა მოითხოვს ამგვარი ქმნულებანი. აჰა, ესერა არს კიდეც მიზეზი ჩვენის პირობის წიგნისა, რომ მაჰტესი მელიტონისაგან ერთისა წლისა სასყიდელისა, 3500-ის ყურუშისა ხელწერილი მივიღე, რამეთუ რაოდენსა წელსა და თთუესა დავშთე მანდ მათისა საქმისაებრ (რაოდენსაც საქმე მოითხოვს, მთარგ.), ყოველსა წელსა 3500-ისა ყურუშისა აღებად ვარ, გარეშედ დიდისა მიეთ-მოეთებისა. რა დროსა რაოდენი დრამი დამჭირდეს, ავიღო, ხოლო ამისა გარდაის თუ გზასა ზედა წასვლა-მოსვლისა (მიმოსლვისა, მთარგ.) ხარჯები (დედანში „მასრაფი“, მთარგ.) მექმნა საქმისა მიზეზითა და ანუ რაოდენსაცა ხანსა მზა ვარ დარჩენად და შემდგომად უკანასა გზასა დადგომად, ჩემისა და მსახურთა ჩემთა თან მტანებელთა ხარჯებისა გასტუმრება ზედა გიცთ, რაითა არა მიცს ხარჯთა გასტუმრება ერთისა დრამისაცა ჯიბითგან ჩემთა. ხოლო ჩემისა მსახურისა გასამრჯელოდ წელიწადსა შინა 150- ისა ყურუშისა მიცემად მოვალე ხართ, რამეთუ ჩემგან იმას არა მიეცემის.

აჰა, ესერა პირობა ვქმენით 1781-სა, მაისის 23-სა და იმავესა დღესა, ოდეს ფიცი ვქმენით (ვეფუცეთ ურთიერთას, მთარგ.), ვეწიეთ გზასაცა, რაითამცა დღესა მას დამენიშნა გასამრჯელოცა საქმისა ამისათვის. 3500-ისა ყურუშისა ერთისა წლისა საფასური (თამასუქი, მთარგ.) მივიღე მელიტონისა მაჰტესისაგან, ვინათგან შემდეგისა წლისა მაისისა 23-მდე სრულად მექნას ხელფასი საქმისა ჩემისათვის და ამისა შემდგომად ყოველსა წელსა 3500-ისა ყურუშისა აღებად ვარ უფლისა ჩვენისა ნებითა, რაითამცა ცოცხალ ვიქმნე. ეს თამასუქი მივიღე მაჰტესისა მელიტონისაგან ზემოთ მოხსენიებულის მეფის ირაკლის ვექილისა და შუამავლისაგან, რომელმანცა გადმომცა ხელწერილი ესე, თავისისა

ხელისაგან მოწერილი დამტკიცებად საქმისა. აგრევე მეცა, ჩემისა ხელისა მოწერით დამიმტკიცებია და დამიბრუნებია მისთვის თანხმობისა ნიშნად, რამეთუ მივიღენ პირობანი ამ წერილისანი.

დიდებითა ჩვენისა უფლისა ქრისტესითა, მონა ღვთისა პოლოს მწიგნობარი ჰოჰანისიანი.

ბეჭედი

მოწმე ღვთის სახელით

გეორგიოს ზავთრის/მოწმე (ბერძნულ ენაზე)

ისაიას კირილე მღვდელი/მოწმე (ბერძნულ ენაზე)

და კიდევ დიმირდის (დიმიტრი) /მოწმე (სომხურ ენაზე)

როგორც ვხედავთ, ტექსტი ბევრად უფრო მეტი ინფორმაციის შემცველია, ვიდრე ეს მანამდე სხვადასხვა ისტორიკოსთან თუ ისტორიოგრაფთან ჩანდა. პირველსავე სტრიქონებში ქართული წყაროების ბერძენი მელეტეოზი „მაჰტესი მელიტონად“ მოიხსენიება. მაჰტესს (არაბ. სიტყვა მუქადესი, მუქდასი, სიტყვასიტყვით „სიკვდილნანახი“, სიკვდილის მხილველი) იმ ადამიანს უწოდებდნენ, ვინც წმინდა მიწას მოილოცავდა (პილიგრიმი). პოლოსი თავის თავს ოვანისიანად მოიხსენიებს, ანუ ოვანესის შვილად და თანამგზავრად და თანაშემწედ ირჩევს თავის მსახურს, ხოლო მსახურის ვინაობა არ ჩანს. უდავოა, რომ ოვანისიანი არის მთავარი ოსტატი, რომელსაც გასამრჯელოდ წელიწადში 3500 ყურუშს უხდიან, ხოლო მის თანმხლებ პირს - მხოლოდ 150 ყურუშს. თანაც ოსტატი ხაზგასმით მიუთითებს,- მე არა ვარ მოვალე, ჩემს მსახურს ჩემი ჯიბიდან რამე მივცეო. ასოების გამზადებას რაც შეეხება, პირობის წიგნიდან კარგად ჩანს ის საშუალებები, რომლებსაც მაშინდელ საბეჭდავ მოწყობილობებში იყენებდნენ (ხესპილენძი-ტყვია-მური-ზეთი).

აი, რას წერს ზაქარია ჭიჭინაძე სტამბის მურის კეთებაზე: „1708 წელს სტამბის მეთაურმა ოსტატებმა (იგულისხმება ორი ხელოსანი ბუქარესტიდან - ლ. გ.) იხმარეს ყოველ ნაირი ღონის ძიება და თიფლისში გააკეთეს სტამბის შავი კრასკა, ანუ მური. ესენი საქმით ისეთი ოსტატები აღმოჩნდნენ, რომ შავს წამალს გარდა, მათ წითელი წამალიც გააკეთეს. მაშინ წიგნების დასაბეჭდათ წითელ წამალსაც ხმარობდნენ.“

პოლოსის თბილისში მოსვლის ჟამს სტამბის განახლებას თავიდან შესდგომიან. ოსტატი უკეთესის ხარისხის მურსა და ზეთზე საუბრობს, ხოლო წითელი მელნის შერევაზე უარს ამბობს,- მე ამისი და სურათხატოვანი ჩუქურთმებისა არა გამეგება რაო.

როგორც ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს, მოგვიანებით მღვდელმა კეჟერაშვილმა, მესტამბემ, გააკეთა სტამბის წამალიც... „1796 წელს შავი და წითელი წამლის კეთება, ამ კეჟერაშვილის გარდა, სხვა არავის სცოდნია.“

ირკვევა, რომ ქართლში სტამბის დაარსების ჟამს ვლახეთიდან მოსულმა ოსტატებმა ბევრი რამ გააკეთეს, მათვე დაიწყეს ადგილზე შავი და წითელი საღებავის დამზადება, მათ ამ წამლის კეთება სხვებისთვისაც უსწავლებიათ, თუმცა მას შემდეგ, რაც თურქებმა სტამბა ააოხრეს, ოსტატებიც მიმოიფანტნენ (ან რუსეთში გაიხიზნენ) და 1750-51 და 1762-63 წლებში, თუნდაც 1780 წელს სტამბის განახლების მოსურნე მეფეს ძველი ოსტატებიდან აღარავინ დახვედრია ადგილზე. აქედან გამომდინარე, გასაოცრად აღარ უნდა მოგვეჩვენოს მე-18 ს-ის მეორე ნახევრის მატერიალურად „ყოველგნით შეიწრებული“ ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურის მხრიდან ასეთი თავგამოდება და ზრუნვა სასტამბო საქმეზე, მით უმეტეს, რომ აქ ოსტატთა შემოყვანის გარდა, კიდევ სხვა რამეც ბევრი იყო საჭირო - უნდა შემოეტანათ დაზგები, სასტამბო იარაღ-ინსტრუმენტები, საღებავის მასალა, ქაღალდი, პირობის წიგნში მითითებულ ყოველწლიურ 3500 ყურუშსა და ცალკე კიდევ 150 ყურუშზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელიც იმ დროისათვის უბრალო თანხა როდი იყო.

ამის შემდეგ და ამავე მიზეზით ქრისტეფორე კეჟერაშვილის მივლინება სასტამბო საქმის შესასწავლად და მასში დასახელოვნებლად მეფე ერეკლეს უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მისი სტამბითა და წიგნით ჩაეყარა ხელახალი საფუძველი ქართულ მწიგნობრობას. და ეს ყველაფერი არ იქნებოდა, რომ საქართველოს და, კერძოდ, ქართლ-კახეთს, არ მოვლენოდა ერეკლე მეფე, ერეკლე მეორე - ქართველთა განმანათლებელი, მეომარი და მწიგნობარი მეფე.



ჟაკლინ სირაძე
მწერალი, ლიტერატურათმცოდნე

ბოლშევიზმი - ქართული ეთნოსის (იმდროინდელ) სარკედ
გოჩა კაპანაძის სპექტაკლ „ჯაყოს ხიზნების“ მიხედვით

1. გონების ფხიზელი თვალი - „თივის“ მძიმე შოლტი

სპექტაკლის პირველივე წუთიდან სცენაზე უხვად დაფენილი თივის ზედმეტად მქისე სუნი „უხეშად“ შემოდის მაყურებლის ცნობიერებაში... და ეს ისე, თითქოს ის მძიმე შოლტის ფუნქციას ასრულებდეს. ამით რეჟისორი მაყურებელს შეახსენებს, რომ ის ბრეხტის თეატრშია და, მაშასადამე, არ უნდა იქცეს პასიურ მოწმედ, არ უნდა „უნანავებდეს“ სცენაზე წარმოდგენილ მოვლენას, ამბავსა თუ სურათს. ამიტომაცაა, რომ მომზადებული მაყურებელი მყის განიშორებს უპირველეს შთაბეჭდილებას, რომ თითქოს ის იმ ბაგაში მოხვდა, სადაც იესო ქრისტეს დაბადების მისტერია უნდა აღსრულებულიყო, მაგრამ სწორედ ეს „უხეშობა“ - თივის მქისე სუნი მიახვედრებს, რომ აქ ადამიანის სულიერი დაცემის ავისმომასწავებელი, საზარელი ამბავი გათამაშდება და ამაში არც არაფერია გასაკვირი ან მოულოდნელი.

დღეს აქ ჩვენ რეჟისორ გოჩა კაპანაძის იმ სპექტაკლ - „ჯაყოს ხიზნებს“ დავესწრებით მარჯანიშვილის თეატრში, რომელიც უკვე თითქმის სამი წელია ანშლაგით მიმდინარეობს.

2. სოციალიზმის არსი - „ქართული ანტიქრისტეს დროებითი აღზევება“

სპექტაკლის დაწყებამდე მაყურებლის მზერას იპყრობს სცენის მარჯვენა მხარე, მის სიღრმეში განთავსებული, ფეხზე მდგომი მიხეილ ჯავახიშვილის უზარმაზარი პორტრეტი და რატომღაც (მაყურებლის გასაკვირად) მუდამ ევროპულ სამოსში გამოწყობილი მწერალი აქ, ამჟამად, ქართული ჩოხით გვევლინება. ამის გასაღები ნ. ბერდიაევის, თ. დოსტოევსკისა და ჭ. ამირეჯიბის მოსაზრებებში შეიძლება ამოვიკითხოთ, რომლის თანახმად სოციალიზმის არსი და შინაარსი ქრისტესა და ანტიქრისტეს შერკინებაში მდგომარეობს. ალბათ, ამ აზრით ჩაწერს მიხეილ ჯავახიშვილი უბის წიგნაკში:

- „სატანას მხოლოდ ქრისტე მოერევა. მარქსის შხამს მხოლოდ სახარება გაჰკურნავს. ყოველივე დანარჩენი უქმი ლაყბობაა და მეტი არაფერი“ (ხაზგ. ჟ.ს.).

ეს ბრძოლა ანტიქრისტეს დროებითი გამარჯვებით მთავრდება სოციალიზმის დროს, რომელსაც მიწიერ სამყაროში მოაქვს იმ სამი ცდუნების დაფუძნება, რაზედაც ოდესღაც უდაბნოში იესო ქრისტემ უარი განაცხადა.

არც მიხეილ ჯავახიშვილის რომანში და არც სპექტაკლში სამი ცდუნება მკაფიოდ არ არის გამოხატული, მაგრამ ჯაყოს მხეცობა, სისასტიკე, მზაკვრობა, ბოროტება და ვერაგობა, სწორედაც ბოლშევიზმის სულს, შინაარსს, ანტიქრისტეს ბუნებას იმეორებს. სპექტაკლში რეჟისორის მიერ ავტორის - მიხეილ ჯავახიშვილის - ქართულ სამოსში, ჩოხაში გამოწყობა მიანიშნებს, რომ ბოლშევიზმი სულაც არ გახლავთ რაღაც განყენე-

ბული, ციდან ჩამოვარდნილი რისხვა. რომანსა თუ სპექტაკლში თეიმურაზ ხევისთავი, ქართველი არისტოკრატი და თავადი, ჯაყოს შვილების ნათლიაცაა, ეს ხაზგასმა მიანიშნებს, რომ ამბავი არამარტო ქართულია, არამედ სწორედ თეიმურაზის უნიათობამ დაანათლა ჯაყოს ეს მხეცობა, ეს ბოროტებაცა და ველურობაც...

ერთგან ხომ ჯაყო (რომანში) პირდაპირ ეუბნება თეიმურაზს: - „ღმერთმა რა იცის შენი საქმე? შენ იქნებოდე ქალაბიწა. ღმერთს ნუ დააბრალებ“.

სპექტაკლში მოთხრობილი ამბავი ქართულია, საქართველოს იმ უტყუარი ისტორიის წარმომჩენი, რომელიც რომან „ჯაყოს ხიზნებში“ ასახა მიხეილ ჯავახიშვილმა, რამაც განაპირობა კიდეც 1937 წელს მწერლის დახვრეტა. ასე იქცა „ქართული კალამი გოლგოთის ჯვრის ორეულად“, ქართული ეთნოსის, ბოროტი ბედისწერის მემატიანედ, თავად მწერალი კი გოლგოთის მთაზე აღმავალ მაცხოვარს მიემგავსა.

ბრეხტი წერს, რომ „ყოველი ცალკეული მოვლენა განისაზღვრება თავისი ძირითადი ჟესტით“. ის ერთგვარი „წერტილია“, აქ იკრიბება, აქიდან განისაზღვრება ყველა მოქმედება, ყველა მოვლენა თუ გამოთქმული მოსაზრება. აქ ასეთი ძირითადი „წერტილია“ „ანტიქრისტე“ ჯაყო, რომლის მთავარი ჟესტი ღვთაებრივის დამცრობა - დაუფლება - დაკნინებაა, ღვთაებრივის არარად ქცევაა. აკი შესაბამისად, რომანსაც და სპექტაკლსაც „ჯაყოს ხიზნები“ ჰქვია.

3. ძირითადი „წერტილის“ გამომხატავი - ორი სურათ-მოვლენა

ამ ძირითადი „წერტილის“ გამოსაკვეთად მაყურებლის წინაშე გოჩა კაპანაძე ორ სურათ-მოვლენას წარმოგვიდგენს:

სცენის მარცხენა მხარეს საფრთხობელა დგას, რომელიც რომანში თეიმურაზის, ხოლო სპექტაკლში მარგოს აზრით, საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას გამოსახავს. როგორც ნაწარმოებში, აქაც - სპექტაკლშიც: „დაბალ ბოძზე **ჯვარივით გაკრულია** გადატეხილი **სიათას თოფი**. (ხაზგ. - ჟ.ს.). ამ ბოძზე და თოფის ხარიხაზე, ჩამოუცვამთ რკინის აბჯარ-ჯავშანი - თვალმრგვალი ჯაჭვი, სამკლაურები, შუბი და საბარკულები, დასკლინტულ რკინის მუზარადზე, რომელსაც უუძველესი წარწერა ჰქონდა - „ალლაჰ ილ-ალლაჰ“, ზემოდან კი კაჭკაჭი სჩხავის“. თავისი მოსაზრების, ბოლშევიზმი - ქართული სარკის, გამოსაკვეთად, რეჟისორი საფრთხობელის ძირში განათავსებს საქართველოს ისტორიის საგულისხმო წიგნს: „ქართლის ცხოვრება“ და ამ ყველაფერს, როგორც უკვე აღვნიშნე, დაჰყურებს თუ დასჩხავის კაჭკაჭი;

სცენის სიღრმეში, შუაში, კი მაყურებელი აღმოაჩენს საკმაოდ დიდი ზომის ღვთისმშობლის ხატს, რომელიც სპექტაკლის დაწყებისთანავე, მყისიერად იცვლება საწოლით. მასზე გადაფარებული წითელი ქსოვილი მაყურებლის წინაშე დემონსტრაციულად, ნელ-ნელა იხსნება და ჩვენ წინაშე რატომღაც ორი მარგო ჩნდება. აქ იკითხება თეიმურაზის სიტყვები: - „ჩემო ერთავ! ჩემო წამებულო მარგო! ჩემო ჯვარცმულო ანგელოზო!“ ერთგან თეიმურაზი მას მარგალიტსაც კი უწოდებს. სპექტაკლის მსვლელობისას თანდათან იკვეთება ორი მარგოს სახის საიდუმლო: ერთი გონებას განასახიერებს (მსახიობი თინათინ კობალაძე), მეორე კი - ინსტინქტს (მსახიობი ლელა მახნიაშვილი).

ამგვარი ინტერპრეტაციის მიღმა წარმოგვიდგება მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკებიდან“ ეს ჩანაწერი: „ინსტინქტის და გონების ბრძოლა“... ბოლშევიკების მოსვლის

შემდეგ უსახსროდ, უსაქმოდ და უიმედოდ დარჩენილი თეიმურაზის შემყურე მარგოს შესახებ მიხეილ ჯავახიშვილი წერს: - **„მარგოს გულში ბოროტმა ინსტინქტმა გაიფაჩუნა“** (ხაზგ. ჟ.ს.).

4. ბოლშევიზმის სული - როგორც ანტიქრისტეს „ქართულად“ აღზევება

რეჟისორი თვალსაჩინოდ აპელირებს ბოლშევიზმის არსზე - რომელმაც ქართული ეთნოსის სახე მოირგო. ამის ნიშნად ჯაყო (მსახიობი რამაზ ხომასურიძე) ცხადდება შავი ფერის ქართული ფაფახით, რომანში კი მას ახურავს ოსური ნაბდის ქუდი, ატარებს ვერცხლით შეჭედილ თეიმურაზის პაპისეულ ხანჯალს. ტლანქსა და ბეჭგანიერ გოლიათს, ხალვათი სიარულისთვის, ის თეძოზე აქვს ჩამოკიდებული. უაღრესად მომხიბლავი და დამაჯერებელია მსახიობის პლასტიკა. ჯაყოს სცენაზე გამოჩენა ქართული საცეკვაო მუსიკის ზარზეიმური ყიჟინითა და რიტმითაა დამუხტული. თითქოს ის - მუსიკა, ადამიანის ბუნებაში არსებულ რაღაც ველურ, რაღაც მხეცურ ბუნებას გვამცნობს „ქართულ ენაზე“. მაყურებელში ეს საცეკვაო რიტმი თავისი ომახიანი „შეძახილით“, ზარზეიმურობით, - ზედმეტად თავმომწონე ბაქიბუქობით, შემპარავი ირონიულობით, თითქოსდა მუსიკის ენაზე გადმოგვცემს ჯაყოსაგან ასე ხშირად მოხმობილ ფრაზას: - „მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!“

სცენაზე ჯაყოს შემოსვლას მოსდევს მისი ნათესავების შემოყოლა. ისინი არიან მისი ძმები და ბიძები: ქეშელა, გიბა, ტელა, მეშთა და ბრინკა. ეს არის დასამახსოვრებელი სცენა - ყველას, ჯაყოს მსგავსად, შავი ფაფახი ახურავს თავზე და ყველა ერთმანეთს ჰგავს. ამ სცენაში ეს უსახო მასა, სახეზე აფარებული რაღაც ნაცრისფერი ქსოვილით, თავისი თავზარდამცემი თავმომწონებითა და თავდაჯერებულობით, თითქოს ბრეიგელის ერთ-ერთი სურათიდან გადმოსულ ბრბოს სახეებს აცოცხლებს.

5. რეჟისორის ნოვატორობა - მსახიობი „მწერალ-დამკვირვებლის“ ამპლუაში

სპექტაკლში გამოკვეთილია მარგოსა და თეიმურაზის საუბარი (როგორც უკვე აღვნიშნე, ორი მარგოდან ერთ-ერთი გონებას, მეორე კი ინსტინქტს განასახიერებს). ის მარგო, ვინც გონებას განასახიერებს საფრთხობელიდან, ანუ იმდროინდელი საქართველოს ბედის განმასახიერებელი სიმბოლოდან, ნელ-ნელა, სასოებით იღებს თითოეულ საგანს: ეს ხან თოფია, ხან უძველესი ხანჯალი, ხან კი „ქართლის ცხოვრება“. რეჟისორის უაღრესად საინტერესო ჩანაფიქრით ამ მარგომ კარგად უწყის საქართველოს ისტორიის მნიშვნელობა, მისი დანიშნულება და ამასთანავე გრძნობს მის სავალალო მდგომარეობას.

რეჟისორ გოჩა კაპანაძის ნოვატორობა იმაში გამოიხატება, რომ, როცა მარგო (გონების სიმბოლო) მოწიწებითა და სიყვარულით იღებს საქართველოს ისტორიას - „ქართლის ცხოვრებას“, მსახიობი მიხეილ ჯავახიშვილის ადგილს იკავებს თითქოს, რადგან ის ავტორ-მთხრობელი ხდება. ამით ისევ გაესმება ხაზი ბრეხტის თეატრისთვის ყველაზე არსებით მხარეს - მსახიობი უნდა გაუცხოვდეს თავისი პერსონაჟისგან. და ისე გამოდის, რომ მარგო (გონება) - ეს იგივე მიხეილ ჯავახიშვილია. ეს ბრწყინვალე მიგნებაა, რითაც როლანდ ბარტისეული განაცხადი: - „ავტორი მოკვდა“, იცვლება ახალი განაცხადით: - „მსახიობში მოკვდა პერსონაჟის გამომსახველი მსახიობი“. და ჩვენ შევყურებთ მარგოს (გონება), რომელსაც დამკვირვებლის სახით, თავად ავტორი - მიხეილ ჯავახიშვილი ჰყავს. ისევ გავიმეორებ, ეს მსახი-

ობის გაუცხოების შესანიშნავი ნიმუშია... მარგო (გონება) ერთდროულად საყვედურობს და ეალერსება თეიმურაზს - სთხოვს, რომ შეძლოს ბრძოლა და რაღაცის შექმნა (მსახიობი თავისი მომხიბლავი და დახვეწილი ჟესტებით კარგად გამოხატავს თავდაჯერებას, მაღალ ზნეობასა და სიმტკიცეს), თუმცა მისახვედრია, რომ თეიმურაზმა გადაწყვეტილება უკვე მიიღო ნაშინდარში გადასვლის თაობაზე. მარგო (გონება) სპექტაკლში ისეთივე განაცხადს აკეთებს, როგორიც ერთი შეხედვით უკვე მოცემულია - ხაზგასმულია რომანის ტექსტში, თუმცა რეჟისორმა უკვე კარგად ნაცნობი ტექსტ-მოცემულობის შინაარსი ახალი ინტერპრეტაციით „განავრცო“, რადგან ამ ტექსტს მაყურებლის თვალთახედვიდან წარმოთქვამს არა მარგოს (გონება) როლის შემსრულებელი მსახიობი, არამედ ის ავტორის, მიხეილ ჯავახიშვილის, როგორც მსახიობის „დამკვირვებლის“ სიტყვებად აღიქმება: - „არც თანახმა ვარ, არც უარს ვამბობ, შენვე გადასჭერი. მე გემორჩილები. მაგრამ თუ შენი საქმე უარესად წავიდეს, მე ნუღარაფერს ნუ დამაბრალებ“.

6. მრუშობა, როგორც ბოლშევიზმის უსახო სახე

რეჟისორი გოჩა კაპანაძე ამ სპექტაკლის მეშვეობით არაერთგზის მოახერხებს წაგვაკითხოს მის მიერ ინტერპრეტირებული ამონარიდები მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკებიდან“:

- „იმ ხანებში (ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ - შენიშვნ. ჟ.ს.) სიყვარული მოკვდა და იმის მაგივრად მეძავობა და მრუშობა გამეფდა“.

ან

- „ვიყიდო ფრეიდის ფსიხოსექსუალობა“;

ან

- „მარგო ისტერიით გახდა ავად სქესის ნიადაგზე. ჯაყომ მოარჩინა“.

ან;

„ჯაყო - თათქარიძე“.

რეჟისორის ძალიან საინტერესო ჩანაფიქრის თანახმად, ჯაყოს მიერ ტყეში მარგოზე ძალადობა, მრუშობისა, თუ მეძავობის სცენები წარმოდგენილია, როგორც ბოლშევიზმის სახე და ნიშანი იმისა, რომ ის სულსა და მის მთავარ მახასიათებელზე - მეხსიერებაზე არც არავითარ კვალს არ ტოვებს. სპექტაკლში ის დაუნახავია, როგორც არარსებული რამ. ამის მინიშნებად რეჟისორი იღებს თეთრ ზეწარს (დაუწერელ დაფას - ტაბულა რასა-ს), რომელზედაც მოძრავი, გამობურცული ჟესტებით მაყურებელი ხვდება, რომ მის მიღმა მიმდინარეობს ჯაყოსა და მარგოს ურთიერთობა. მაყურებლისთვის ეს სცენა აღიქმება, როგორც უსახო ფიგურების მოძრაობა, რომელიც მყისიერად ქრება, როგორც არარსებული ზმანება.

ანდრე მორუა ერთგან წერს, რომ „თავდაპირველად სიყვარული ისეთივე ინსტინქტი იყო, როგორც შიმშილი, ან წყურვილი. ინსტინქტის ვნებად, შემდეგ კი გრძნობად გადაქცევისათვის საჭირო იყო, რომ სურვილს, რასაც ცხოველში წმინდა სექსუალური ხასიათი აქვს, ინდივიდუალური ხასიათი მიეღო...“.

ჯაყოსთვის სიყვარული ისევ და ისევ, მხოლოდ და მხოლოდ ინსტინქტია, რადგან ის მხოლოდ სხეულის ენას „ცნობს“ და „ფლობს“. ამიტომაც მისი ხშირად მოხმობილ ფრაზაში: - „მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!“, ეს ვიცი - მხოლოდ პრაქტიკული გონების დამცრობილი სახეა; ეს ვიცი - მხოლოდ „სხეულის ენის“ უპირატესობის გამჟღავნებაა.

ახლა მინდა ყურადღება გავამახვილო სპექტაკლში ხაზგასმულ ბრეხტის თეატრის მთავარ მახასიათებელზე. ამისთვის გოჩა კაპანაძე ახალ გასაღებს გვთავაზობს ორი მარგოს შემთხვევაში.

სპექტაკლის დასაწყისში თეიმურაზს მარგოს (გონება) სახით ჰყავს ერთგული და დამჯერი მეუღლე, მშვენიერი, ფერ-ხორციანი აღნაგობით (მსახიობი თინათინ კობალაძე). მაგრამ ჯაყო, მოუმზადებელი მაყურებლის დასაბნევად და გამოსაფხიზლებლად, ხშირად იმეორებს თავის ცნობილ „ტირადას“ - „კარგი ვაჟკაცის ხელში დედაკაცი გასუქდების...“. ეს იმის აღსანიშნად, რომ მარგო თეიმურაზის ხელში გახდა, დაილია. არადა

მაყურებელი სცენაზე ხედავს ვარდივით გაფურჩქნულ, მშვენიერ მანდილოსანს და პირიქით, როცა ჯაყოს გვერდით აღმოჩნდება, მარგო (ინსტინქტი) ის პირველ მარგოზე ბევრად გამხდარია, თუმცა ისევე საოცრად მომხიბლავი (განასახიერებს ლელა მახნიაშვილი). მომზადებული მაყურებელი ხვდება, რომ ამით მსახიობის გარდაქმნის შესაძლებლობაზე არა მხოლოდ უარი განაცხადა რეჟისორმა, არამედ ხაზგასმით, კატეგორიულად გაემიჯნა გარდასახვის ჩვეულ, ტრადიციულ ხერხს.

ჯაყოს მიერ მარგოს დაუფლების შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილი რომანში ჩაწერს: - „... მარგოს ჩაზნექილი გულიდან თითქო მძიმე ლოდი აეხსნა. გაღვიძებულმა ძარღვებმა სიცოცხლის ჟრიამული მოჰმართეს და დუბელა სისხლმაც ჩუხჩუხი ასტეხა.... იმ ღამიდან მას გრილ სულში შარავანდედი ჩაესახა, რომ მისი დაობლებული ტანი საამურის შანთით დაიდაღა, დაუტევნელის სიხარულით გაიჟღინთა და სხივნაკრავ კოკორივით გაიფურჩქნა“.

ეს ტექსტი სპექტაკლში ფროიდის ენაზე იკითხება. ჯაყოზე ამხედრებულ მარგოს (ინსტინქტი) ხელში მათრახი უჭირავს, მხიარულად უტყლაშუნებს და თავის ნებაზე ათამაშებს მას (მსახიობი ლელა მახნიაშვილი შესანიშნავად ართმევს როლს თავს) ნიშნად იმისა, რომ სიცოცხლის წყარო ძალაუფლებად იქცა.

თეიმურაზი ხედავს, რომ **„მარგოს დიდრონსა და შავ თვალებში ეხლა პირუტყვის დამცხრალი ვნება და მძუვნობიდან დაბრუნებულის მაძღრობა უღვივის“** (ხაზგ. - ჟ.ს.).

ერთგან თეიმურაზი პირდაპირ მიმართავს მარგოს: **„...რას იკრიჭებით ქალბატონო ფალუს?“**

აი, ამ სცენის შემდეგ იწყება ჯაყოს მიერ ანბანისა და კითხვის დაუფლება. აქ რეჟისორი ცდილობს ჩამატებული ახალი ტექსტით მაყურებელს შეაგრძნობინოს ის დიდი საშიშროება, ის კომიკური თავზარდაცემულობა, რაც ჯაყოსაგან ვერდის მუსიკის შეფასებაში გამჟღავნდება: - „აი, კარუზოი!“

აი, ამ დროს თითქოს დიდი ღირებულებანი უწონადონი ხდებიან ამ პატარა კაცის მიერ.

ეს ანალოგიურია იმისა, ჯაყო თეიმურაზს ვიღაც უბირ და უვიც ბრინკასთან რომ აიგივებს და მას ამ ზედმეტი სახელით მიმართავს.

ანალოგიური კომიკური თავზარდაცემულობა გვიპყრობს, როცა რომანში თეიმურაზი ცდილობს ჯაყოს განუმარტოს, რომ დედამიწა თავისი ღერძის ირგვლივ ტრიალებს, რაზედაც ჯაყო იქედნურად ხარხარებს, რადგან სჯერა, რომ წიგნის კითხვისგან თეიმურაზს გონება აბნევია.

7. სპექტაკლი სპექტაკლში

სპექტაკლის მსვლელობისას მომზადებული მაყურებელი მუდამ შეიცნობს რეჟისორ გოჩა კაპანაძის მიერ საფუძვლიანად შტუდირებულ ნააზრევს მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკებიდან“, სადაც ვკითხულობთ: - „ჩემი ჩანაწერების გმირები იკრიბებიან და მასამართლებენ. კარგი თემაა“ (მ. ჯავახიშვილი „უბის წიგნ.“ 1924 წ.).

რომანში არ ფიგურირებს სპექტაკლის ერთ-ერთ სცენაში წარმოდგენილი სამი ქალი. თითქოს ეს სცენა სპექტაკლის სცენარიდანაა ამოვარდნილი, მაგრამ აჩენს ისეთ პრეცედენტს, რასაც პიკასო თავისი შემოქმედების ბოლო პერიოდის ფერწერაში ქმნიდა - სურათს სურათში სვამდა.

ეს სამნი - ელისაბედი (თამარ გოგიძე); ქეთევანი (ანა ხურციძე) და თეკლა (მადონა ტეხური), რეჟისორის ჩანაფიქრით (რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის ცნობილ მოსაზრებას ხორცს ასხამს), განასახიერებენ სამ არისტოკრატ ქალბატონს, იმ არისტოკრატიას, რომელშიც ჩანს ქართველი ერის ხასიათი და სულიერება.

ქალბატონები მაგიდის ირგვლივ საუბრობენ იმ საშინელ დროებაზე, რომელშიც მდაბიო, უსახო მასა - ბოლშევიკებისა, განათლებული არისტოკრატიის არა მარტო შევიწროებას, არამედ მის სრულ განადგურებას შესდგომია.

ერთი ამბობს: - წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო. მეორე იმაზე საუბრობს, თუ როგორ დაიშრიტა, გაჰქრა სიყვარული, მაშასადამე, სამყაროს საზრისი. რომანში კი თეიმურაზი აძაგებს ამ დროებას

ივანესთან საუბარში. მას „რკინის დროებას“ უწოდებს და დაამატებს: „... ეხლა ყველაზე ძნელი საშ...შოვნელი გული ყოფ...ფილა. სიყვარული მოკვდა...“

ივანე მას ეწინააღმდეგება: - „რად მოკვდა, თემურ? მართალია ანაფორა გავიხადე, მაგრამ ქრისტეს მოძღვრება ეხლა ძვალრბილში მაქვს გამჯდარი...“ აი, ეს პარალელი მაფიქრებინებს, რომ სპექტაკლში წარმოსახვითი სამი ქალის საუბარი, შესაძლოა, შთაგონებულია და იმეორებს რომანის სამეულს: პეტრე - ივანე - თეიმურაზი.

აი, ამაზე კამათისას, ქალბატონებთან სტუმრად მოდის მარგო (ინსტინქტი). მას აკითხავს ჯაყო და ფამილარულად მიმართავს: - მარგუშა! თან მოითხოვს, რომ ის სახლში დაბრუნდეს, რაზედაც ქალბატონი თეკლა მრისხანედ შესძახებს: - „შენი ადგილი იცოდე, ჯაყო!“

გაწბილებული, შერცხვენილი მარგო ადგილს ვერ პოულობს. თითქოს მისი წრე (არისტოკრატიის მთელი საზოგადოება) მას თავისი საქციელის შეუსაბამობაზე, უმსგავსოებაზე მიანიშნებდეს.

ეს სამნი, სპექტაკლში გამოჩენილი ქალბატონები, თითქოს არა მარტო მოწმეები არიან ამბისა, არამედ მოსამართლის როლსაც ირგებენ, რადგანაც, სავარაუდოდ, რეჟისორის ჩანაფიქრით, სპექტაკლს გარედან, დამკვირვებლის თვალთახედვიდან აღიქვამენ.

8. პიროვნებისა და ერის ორი პოლუსი

სპექტაკლში ჯაყოს არსებობა არ განიხილება, როგორც ერთი პატარა ადამიანის ბოროტი ძალა, რომელიც ანადგურებს მხოლოდ თეიმურაზ ხევისთავს, არამედ იგი უპირისპირდება საზოგადოდ ქართველობის სულიერებასა და მის ნიშანსვეტს - რწმენას.

რომანის მსგავსად, სპექტაკლშიც ვხედავთ, თუ როგორ ირყევა თეიმურაზი რწმენასა და ურწმუნოებას შორის, როგორი სასოებით კითხულობს სახარებას, მაგრამ მასში ისევ და ისევ ისადგურებს ის თავზარდამცემი არსებობა. ის ნიჰილისტური დამოკიდებულება, რომელიც არამარტო რწმენას ურყევს, არამედ მუდმივ ჩასჩიჩინებს, რომ მთელი ქართველი ერი წარმართია, რომ არ არსებობს ქართული სული, ქართული კულტურა, ქართველობა, როგორც ფსიქიური და ეროვნული ერთეული, რომ არ არსებობს თვით კაცობრიობაც კი. ამის მინიშნებად ყველა სცენაში მოჩანს გაოცებისა და გაკვირვების ზღვარზე მდგომი, გაუბედავი თეიმურაზი, რომელსაც ხელში მუდამ წიგნი უჭირავს უნიათოდ, ურწმუნოებას კი ჩასჩურჩულებს იმ ლეკვის მძორი, რომელიც მის კისერზეა ჩამოკიდებული და ყარს.

უკვე ბევრმა კრიტიკოსმა აღნიშნა, რომ ძაღლი დემონურ ძალას, მეფისტოფელს განასახიერებს. მაგრამ თუ გოეთეს „ფაუსტი“ ახერხებს არ დამარცხდეს უდიდეს ბრძოლაში, არ დაკარგოს თავისთავში ღვთიური და ადამიანური ნაპერწკალი მაშინაც კი, როცა სული მეფისტოფელისთვის აქვს მიყიდული, ბოლშევიზმმა თეიმურაზ ხევისთავი ისე დაშრიტა, რომ მასზე ჩამოკიდებული ეს დემონური ძალაც პატარა აყროლებულ მძორად იქცა და ვერ იქცევა იმ გზნებად, რომელიც მას სამოქმედოდ აღძრავს. თეიმურაზ ხევისთავს წართმეული აქვს მთავარი ნიჭთაგანი, რაც ღმერთმა უბოძა - თავისუფალი არჩევანის უფლება და ნება.

9. კითხვებით დასრულებული სპექტაკლი

არაერთი საინტერესო დადგმის შემდეგ (ამ მხრივ, უდაოდ გამორჩეულია თემურ ჩხეიძის გახმაურებული სპექტაკლი „ჯაყოს ხიზნები“), გოჩა კაპანაძე ამავე სახელწოდების სპექტაკლში ისევ ახერხებს გაგვაოცოს, დაგვაინტერესოს ახალი თეატრალური ფორმის მოძიებითა და რომანის ისევ ახლებური,

ღრმა წაკითხვით, რაც პიტერ ბრუკის თეატრალური პროგრამის აქსიომატური მოთხოვნის ერთგვარი აღსრულებაცაა.

რეჟისორი ახერხებს ისე გაიაზროს კარგად ნაცნობი პიესა, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ განსხვავებულად ჩაგვახედოს მიხეილ ჯავახიშვილის იმ რთულ ნააზრევში, რომელშიც ადამიანის ანგელოზური და მხეცური საწყისები ერთმანეთს ერკინება; რომელიც ასახავს ერის მთლიანობის რღვევას რწმენის დამცრობის ნიადაგზე და თითქოს ჩაგესმის კიდეც თეიმურაზ ხევისთავის მიერ წარმოთქმული ქრისტეს სიტყვები: - „განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა იყარეს წილი“.

რეჟისორის ნააზრევი ზუსტია და ღრმა, ამას ადასტურებს სპექტაკლის პირველი სცენა, რომელშიც თვითონ ჯაყო არ ფიგურირებს, ნიშნად იმისა, რომ „აქ“ მისი ადგილი არ არის, მაგრამ ის ასეა წარმოდგენილი:

1. (მარცხენა მხარეს) - საფრთხობელა - საქართველოს ბედი - თეიმურაზი;
2. (შუაში) - ღვთისმშობლის ხატი და ორი მარგო - ა) ინსტინქტი და ბ) გონება;
3. (მარჯვენა მხარეს) - მიხეილ ჯავახიშვილის უზარმაზარი პორტრეტი ქართული ჩოხით და - პატეფონი (უსარგებლო საგნის სახე).

მაყურებლის მოულოდნელად, ბოლო სცენაში ჯაყოს სწორედ ის მარგო (ინსტინქტი) კლავს, რომელიც მასში ჯაყომვე გააღვიძა. ის ძალა, სიცოცხლის ის დაუოკებელი ვნება, სიცოცხლის ის ჟინი, რომელიც დაიბადა ჯაყოსთან ურთიერთობის დროს...

და რას გვეუბნება ამით რეჟისორი?

- ხომ არ ნიშნავს მარგოს მიერ ჯაყოს მოკვლა იმას, რასაც მეფისტოფელი წარმოთქვამს გოეთეს „ფაუსტში“? - „ვარ იმ ძალის ნაწილი ერთი, დღემუდამ ბოროტს რომ იზრახავს და სჩადის კეთილს“ (ი.ვ. გოეთე „ფაუსტი“, გვ. 66. მთარგმნ. დ. წერედიანი).

მაყურებელი ხვდება, რომ მარგოს დაუფლებით ჯაყო ანადგურებს არა მარტო მის სილამაზეს, არამედ უპირველესად მის სულიერებას, ამცრობს თეიმურაზის რწმენას.

ჯაყოს მოკვლა ხომ არ ნიშნავს, რომ ბოროტება ანადგურებს ბოროტებას, თავისთავს?

ან იქნებ, მარგო, რომელიც გაორდა, დანაწევრდა ამ მკვლელობით, თავისთავში ბოროტების ამოძირკვით საკუთარ თავს აღადგენს?

აკი მიხეილ ჯავახიშვილი ერთგან წერდა: - **„საჭიროა, უეჭველად საჭიროა სიმართლის აღდგენა, ანგელოზის მოძებნა და პოვნა... ვინც (ერმა და პიროვნებამ) თავისი გულიდან ანგელოზი განდევნა, ან დაჰკარგა, მან გათავისუფლებული ალაგიც ყიყვსა და ეშმაკს დაუთმო)“** (ხაზგ. - ჟ.ს.).

სპექტაკლი თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას გვთავაზობს, რადგან მკვლელობის სცენას არ მოჰყვება ერთგვარი განვრცობილი განმარტება და ის გვტოვებს ღია სისტემის წინაშე.

მე კი თავისთავად, როგორც ერთი მაყურებელი, ვფიქრობ, რომ ჯაყოს მოკვლით ისევ აღსდგა, ისევ გაცოცხლდა თეიმურაზის მთავარი კითხვები:

- რა არის ჭეშმარიტება?

- რა არის სამართალი?

- რა არის ცხოვრება ესე?

და როგორც მაშინ, როცა ეს კითხვები დასვა თეიმურაზმა და აღმოაჩინა, რომ მკერდზე აღარ ჰქონდა აყროლებული ძაღლის მძორი და მას, მწიგნობარს, აღარც ლეშის სუნი ასდიოდა, სწორედ ასევე თეიმურაზი განიწმინდა და განთავისუფლდა ძაღლის ლეშისგან მარგოს მიერ ჯაყოს მოკვლით.

და როცა გაცნობიერებული გვაქვს, რომ ვიმყოფებით გოჩა კაპანაძის, ანუ ბრეხტის თეატრში, რომლის თანახმადაც: - **„თეატრი აქტიურად უნდა ჩაებას სინამდვილეში, რათა ამ სინამდვილის ამსახველი აქტუალური სურათების შექმნის უფლებაც ჰქონდეს და საშუალებაც** (ხაზგ. - ჟ.ს.)“. **(ბ. ბრეხტის „პატარა ორგანონი“)**. ამ აზრის მოყოლით, მარგოს მიერ ჯაყოს მოკვლა ჩვენ შეიძლება წავიკითხოთ, როგორც თანამედროვე საზოგადოების მიმართ წარმოთქმული მკაცრი გაფრთხილება: სახედაკარგულმა საზოგადოებამ, მასად ქცეულმა ქართველობამ, თავისთავში უნდა მოკლას ის უსახურება, ის უვიცობა, ის მხეცობა, რომელსაც ჯაყო განასახიერებს.

თბილისის ბაროკო ფესტივალი 2022

დავით გიგინეიშვილი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ხელოვნების კრიტიკოსი

ქართველი მუსიკათმცოდნეებისა და მუსიკის მოყვარული მსმენელების სასიამოვნოდ, თბილისში კვლავაც ჩატარდა ბაროკო ფესტივალი. შარშანდელი ბაროკო ფესტივალის ფარგლებში ექვსი საღამო დაიგეგმა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაზე საინტერესო - სახელგანთქმული იტალიური ბაროკო ორკესტრის L'Europe galante გასტროლი არ შედგა, რამაც მუსიკის მოყვარულებს გული დაწყვიტა. დარჩენილი სპექტაკლები მიეძღვნა, როგორც საგუნდო, ასევე ინსტრუმენტალურ მუსიკას. პროგრამა საინტერესოდ ჩამოყალიბდა, რამაც მსმენელს უნიკალური საშუალება მისცა, ჩვენში სრულიად უცნობი ბაროკო ეპოქის ბოჰემიის კომპოზიტორ იან დისმას ზელენკას (Jan Dismas Zelenka, 1679-1745) შემოქმედება გაეცნო. ზელენკა უკანასკნელი დეკადების აღმოჩენაა - მისი საეკლესიო ნაწარმოებები პრაქტიკულად უცვლელად შენარჩუნდა საქსონიის საჯარო ბიბლიოთეკაში. ცოტა რამ არის ცნობილი ზელენკას ბიოგრაფიაზე. 1710 წელს იგი დაინიშნა დრეზდენის მმართველთა კარის ორკესტრის მუსიკოსად. ეს საქსონიის აღმავლობის ის პერიოდია, როდესაც მისი მმართველის, აუგუსტ მძლავრის მხარდაჭერით, მუსიკას და, ზოგადად, ხელოვნებას დიდი გასაქანი ეძლეოდა. პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, დრეზდენის მმართველთა კარზე ორი რელიგიური მიმდინარეობა დამკვიდრდა. ტრადიციულს, ლუთერანულს, ბახის მუსიკა ემსახურებოდა, ხოლო კათოლიკურისთვის მუსიკის შექმნა ზელენკას დაევალა, რისთვისაც მიიღო „საეკლესიო მუსიკის კარის კომპოზიტორის" წოდება. იგი ამ პოსტს ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლომდე, 1745 წლის დეკემბრამდე. ზელენკამ შემოქმედების ბოლო პერიოდში შექმნა ხუთი დიდი მესა, რომელიც წმინდა სამების მესით (Missa Sanctissimae Trinitatis ZWV 17) იწყება. ეს მესა მან 1736 წელს დაწერა და იგი მინორულ ტონალობაშია, რაც, როგორც ვარაუდობენ, მისი ჯანმრთელობის გაუარესებას ასახავდა. ეს გრანდიოზული ნაწარმოებია, სადაც საგუნდო ფუგებს ენაცვლება საგუნდო ნაწილები სოლო ინსტრუმენტებით, ჩართული სოლო არიებითა და ვოკალური ანსამბლებით. ეს შთამბეჭდავი, 22 ნაწილიანი დიდი მესა, ფესტივალის გახსნაზე, 9 ნოემბერს შესრულდა რუსთაველის მცირე დარბაზში. საქართველოს სინფონიეტას (თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი) მხარს უბამდა აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა და სპექტაკლს უძღვებოდა გერმანელი დირიჟორი კორნელია ფონ კერსენბროკი. ის არაერთხელ იყო თბილისის ბა-

ჰელსინკის ბაროკო ანსამბლი

იან დისმას ზელენკა

როკო ფესტივალის მონაწილე და მისი საშემსრულებლო მანერა არ იყო უცხო ქართველი მსმენელისთვის. ზელენკას მესა შესრულდა ფორტისიმოებისა და ტემპების მორიდების გარეშე - რაც გვიანი კლასიციზმისა და რომანტიზმის ეპოქის მუსიკას უფრო შეეფერებოდა და არა ბაროკო ეპოქის დროს შექმნილს. სამწუხაროდ, ორკესტრისა და გუნდის ბალანსი არ იყო დაცული - ამიტომაც ორკესტრის ჟღერადობა ჭარბობდა. აფხაზეთის კაპელა არ გამოიყურებოდა ცუდად, მაგრამ სოლო ნომრებში მამაკაცების ვოკალური შეუფერებლობა მუსიკის სტილთან ძალიან თვალსაჩინო იყო: ბანი ტემბრალურად შეუსაბამო, ტენორს კი ტექნიკა ღალატობა. ამ მხრივ, ქალბატონები გაცილებით უკეთესები იყვნენ და ამ დაუფარავი ხარვეზების მიუხედავად, შესრულება იყო წარმატებული. პირველ რიგში ჩვენ ცოცხლად მოვისმინეთ ზელენკას დიდი მესა, რომელიც ჩანაწერებშიდაც კი ძალზე მწირად არის წარმოდგენილი. მეორე კი ეს აღმოჩნდა დიდებული მუსიკა, რომელიც ჰაიდნის ფართოდ აღიარებულ საგუნდო მუსიკის (მესები) ღირსეულ წინამორბედად მოგვევლინა. კონცერტმა ჩემში აღძრა სურვილი მეტად ჩავუღრმავდე ზელენკას საგუნდო მუსიკას, რომელსაც აქამდე რამოდენიმე ნამუშევრით ვიცნობდი.

11 ნოემბრის წარმოდგენა მიეძღვნა საეკლესიო-საგუნდო მუსიკას: პირველ განყოფილებაში ადრეული მუსიკის ფრანგული ანსამბლი Ensemble Organum წარდგა. ეს ანსამბლი 1982 წელს დააარსა მარსელ პერესმა, ის ძირითადად საფრანგეთში მოღვაწეობს. გუნდის სპეციალიზაციაა შუა საუკუნოვანი საეკლესიო მუსიკა. ანსამბლი ნაყოფიერად მოღვაწეობს უკანაკნელი 30 წლის მანძილზე, მისი ძირითადი სამყოფელი იყო სენოკისა (Senanque) და ღვაიომონდის (Royaumont) საბატოები. ამჟამად ისინი შეცვალა მოისაკის (Moissac) სააბატომ. ანსამბლი რეგულარულად გალობს ტაძრებში. მათ ჩაწერეს მრავალი კომპაქტ-დისკიც ევროპული შუასაუკუნოვანი მუსიკის შესრულებით. თბილისში გუნდმა, რომელიც შედგებოდა ოთხი წევრისაგან, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის მუსიკა შეასრულა. ეს ნამდვილად ახალი გამოწვევა იყო ქართველი მსმენელისთვის: მუსიკა, მისი ესთეტიკა და შესრულების სტილი. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზი აივსო ლამაზი და უცნაური ჰანგებით. იგი სრულიად შესაბამისი აღმოჩნდა ამ ანსამბლის ვოკალური სტილისთვის. სპექტაკლის მეორე ნაწილში ქართული ხალხური მუსიკა შესრულდა. საქართველოს სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავმა“ ააჟღერა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური მუსიკა - იმერულს ჩაენაცვლა კახური, იქით გურულმა პოლიფონიამ მოიწონა თავი თავისი კრიმანჭულით, რომელსაც შემდგომში ლირიული მეგრული მოჰყვა. მრავალსახეობა იყო გასაოცარი და მიუხედავად ანსამბლის მცირერიცხოვნებისა (არა უმეტეს 9 კაცისა), დარბაზი ხმებით აივსო. მსმენელიც გახალისდა, აპლოდისმენტებმა იმატა. ქართულმა ხალხურმა მუსიკამ საოცარი კონტრასტი შექმნა ევროპულ შუასაუკუნოვან ლიტურგიასთან. თუ პირველი გვიბიძგებს განმარტოების, თვითშემეცნებისა და უფალთან გზის ძიებისაკენ, ხალხური შემოქმედება უკვე ყოველდღიურობის ანარეკლია - სადაც იუმორი, შრომა, გართობა და სევდა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

13 ნოემბერს შესრულდა კამერული კონცერტი „ბახი და მისი რჩეულები“. აჟღერდა როგორც იოჰან სებასტიან ბახის, ასევე

მისი თანამედროვე კომპოზიტორების მუსიკა. მათ რიცხვს მიეკუთვნება ვივალდი, მარჩელო და ზელენკა. დანამდვილებით ცნობილია, რომ ბახი იცნობდა მათ შემოქმედებას და კიდევაც გადაუმუშავებია ზოგიერთი მათი ნაწარმოები. შესრულდა ბახის საორკესტრო სუიტა დო მაჟორი (BWV 1066), მარჩელოს სახელგანთქმული რე მინორული ჰობოის კონცერტი გადამუშავებული ვიოლინოსთვის, ვივალდის რე მინორული სავიოლინო კონცერტი (RV565) და ზელენკას სოლ-მაჟორული კონცერტიდან ZWV186 მხოლოდ ერთი ფრაგმენტი. სამწუხაროა, რომ მარჩელოს კონცერტი არ შესრულდა ორიგინალურ ვერსიაში და ზელენკა არ წარდგა მისი საუკეთესო კამერული ნაწარმოებით - ტრიო სონატებით ZWV181, თუმცა ამას სხვა შემსრულებლები სჭირდება.

15 ნოემბერს ფესტივალმა ისევ საგუნდო მუსიკის კონცერტი წარმოადგინა და ისევ პრემიერები: კლასიციზმის ეპოქის ბრაზილიური საგუნდო მუსიკა და ზელენკას სხვა საეკლესიო ნაწარმოებები, ხოსე მაურისიო ნუნეს გარსიას „Laudate Dominum Omnes Gentes“ და ჟოაო დე დეუს დე კასტრო ლობოს დამკრძალავი ანთემები. ეს მოკლე საგუნდო ნაწარმოებები ორკესტრთან ერთად როსინისა და დონიცეტის მესების გამოძახილივით იყო: კოხტა, ლამაზი, იტალიურ სტილში და მეტი არაფერი. ზელენკას საეკლესიო მუსიკა აღმოჩნდა მეტად შთამბეჭდავი, ორიგინალური და მომაჯადოებელი. პირველ რიგში ეს ეხება მის სახელგანთქმულ დო მინორულ „Miserere“ ZWV57 ს, რომელიც მან 1837 წელს დაწერა აღდგომის კვირისთვის. ნაწარმოები ოთხნაწილიანია, სადაც დასაწყისი უცნაური დისონანსებით არის სავსე. მასში თემა მიყავს სიმებიანებს რითმული გამეორებებით აჟიტირებულ მანერაში, მერე უკვე მოდის საგუნდო ნაწილი, სადაც ფსალმუნის ძირითადი ტექსტი ვითარდება. Gloria patri და Sicut erat შეადგენს მეორე და მესამე ნაწილს და ნაწარმოებს კრავს მიზერერეს განმეორება - მაგრამ მასში მუსიკა იმეორებს ძირითად აჟიტირებულ თემას, მაგრამ ეს პირველი ნაწილის ნამდვილი გამეორება არაა. მუსიკალური თემა ვითარდება საკმაოდ მკაცრ და მარტივ სტილში, რამაც მაშინდელი მსმენელი სრულებითაც არ მოხიბლა ნაწარმოების პირველი შესრულების დროს. ამიტომაც ერთი წლის თავზე ზელენკამ მასში სოპრანოს არია დაამატა, რითაც გარკვეულად იმ დროისათვის დრეზდენის კარზე გაბატონებულ გალანტურ სტილს სცა პატივი. ზელენკას მეორე შესრულებული ნაწარმოები - Nisi Dominus ZWV92 მოკლე ერთიანი ფსალმუნია, სადაც შფოთიანი და სევდიანი თემა დომინირებს ორკესტრისთვის, გუნდისა და ოთხი სოლისტისთვის. ისევ კონტრასტები სიმებიანების და უფრო მეტად ჩელოების მხრიდან. ამ საღამოს აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელასა და საქართველოს სინფონიეტას ზვიად ბოლქვაძე ხელმძღვანელობდა. მის ხელში გუნდი არ დაჯაბნილა და ბალანსი ხმებსა და ორკესტრს შორის დაცული იყო. მაგრამ მისმა ინტერპრეტაციამ, სადაც მიზერერეს პირველსა და ბოლო ნაწილში უჩქარესი ტემპი შეარჩია, ცნობილი გერმანელი მუსიკოსის თომას ჰენდელბროკის (ბალთაზარ ნოიმანის გუნდისა და ორკესტრის დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის) ინტერპრეტაცია გამახსენა. სხვა ბაროკო ჩანაწერებში შედარებით თავშეკავებულმა თ.ჰენდელბროკმა ზელენკას მიზერერე მწვავედ, აქცენტებითა და ამ ნაწარმოების ყველა არსებული ჩანაწერებთან შედარებით, ყველაზე სწრაფად შეასრულა. ბოლქვაძემ დისონანსებზე გაამახვილა ყურადღება სიმებიანების აქცენტებით, რაც ჩვენს ორკესტრს, რომელიც წლიდან წლამდე, სიმებიანების შესამჩნევი დისბალანსით, ასრულებს კონცერტებს ბაროკო ფესტივალზე, ეს ნამდვილად არ გაუჭირდებოდა. დარბაზი დაიმუხტა ზელენკას მუსიკით და მოიხიბლა შემოთავაზებული თანამედროვე სწრაფი რითმითა და მსმენელისათვის უჩვეული კონტრასტული დინამიზმით. ეს მუხტი თავად ბოლქვაძესაც გადაედო და მან კონცერტის მიწურულს კიდევ გაიმეორა ზელენკას მიზერერეს უკანასკნელი ნაწილი.

27 ნოემბერს ჰელსინკის ბაროკო ორკესტრის საღამოს მოუთმენლად ველოდი. უცხო-

ეთიდან კოლექტივის ჩამოსვლა უკვე დღესასწაულია, მით უფრო, როდესაც ჩვენში იშვიათად შესრულებულ ნაწარმოებებს შემოგვთავაზებენ. მაგრამ კონცერტზე აღმოვაჩინე, რომ მხოლოდ 5 წევრი ჩამოვიდა: 2 მევიოლინე, ერთი ვიოლაზე შემსრულებელი, ერთიც ვიოლონჩელზე და რა საკვირველია, ერთი - კლავესინისტი- აპო ჰაკინენი. პროგრამაში იყო ი.ს. ბახის კლავესინის ცნობილი კონცერტები BWV1054 და 1052. ასეთი შეკვეცილი შემადგენლობით ბახის კონცერტები კლავესინის დომინირებით არ შესრულდა. არც ინსტრუმენტი ჟღერდა და არც ინტერპრეტაცია იყო სოლო ინსტრუმენტის წამოწევით, როგორც ეს, მაგალითად, ჟან რონდოს ჩანაწერებშია, რომელიც, სხვათა შორის, თბილისის ბაროკო ფესტივალის სტუმარი არაერთხელ იყო. კონცერტები კვინტეტის სტილში შესრულდა, სადაც სიმებიან ინსტრუმენტების თემა უფრო გამოიკვეთა და კლავესინი, როგორც ანსამბლის ერთ-ერთი ინსტრუმენტი გამოჩნდა. სავარაუდოდ, ასეთი ინტერპრეტაცია ბახის დროინდელ შესრულების მანერას ასახავდა, როდესაც დღეს, ჩვენთვის ჩვეული ინსტრუმენტის დომინირება არ იყო მიღებული. შესრულების ამ მანერით მეტი ბახისეული პოლიფონია გამოიკვეთა, მაგრამ დაიკარგა კონცერტების ის მასშტაბურობა და ღერძი, რომელიც მეოცე საუკუნემ და მისმა მუსიკოსებმა ჩვენში წარმოშვეს, რადგან სოლისტი სრულიად გაზავდა და გაფერმკრთალდა სხვა ინსტრუმენტების ხმაში. კონცერტზე ასევე შესრულდა ბახის წინამორბედი ჩრდილოეთგერმანელი ბაროკო კომპოზიტორების ნაწარმოებები: იოჰან ადამ რაინკენისა და ანდრეას კირჰოფისა. პირველი იყო ცნობილი ორგანისტი ჰამბურგში, და მის შემოქმედებას ბახი ნამდვილად იცნობდა, რადგან მისი ნაწარმოების საფუძველზე ბახმა თავისი მუსიკა შექმნა. კირჰოფისა და რინკენის სუიტები პასტორალივით გამოჩნდა ბახის ფონზე, მაგრამ ეს ნამდვილად სასიამოვნო პასტორალი იყო.

თბილისის ბაროკო ფესტივალი ასე დასრულდა. სამწუხაროდ, მან ვერ წარმოგვიდგინა ბაროკო მუსიკის მაღალი კლასის შემსრულებლები, მაგრამ ქართველი მსმენელი ბევრ ახალ ნაწარმოებსა და კომპოზიტორს გაეცნო. ტრადიცია გრძელდება, ველით ფესტივალს მომდევნო წლებშიც.

დირიჟორი ზვიად ბოლქვაძე

გაზეთ „დროების“ რედაქტორები 1866-1885 წლებში



გიორგი წერეთელი

სერგეი მესხი



კირილე ლორთქიფანიძე

ილია ჭავჭავაძე

ივანე მაჩაბელი